ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 5 დეკემბერი 2000 №234 (1256) | ფასი 50 თეთრი


## გაჩერება «მეოცე საუკუნე»
## ლოკომოტივი პირველი ჩამოდგა

საკვირაო მატჩებით მეთორმეტე ეროვნულის საშემოდგომო ეტაპი კი გასრულდა, მაგრამ ქართული ფეხბურთის საუკუნე ჯერ არ დამთავრებულა. 6 და 10 დეკემბერს რჩეული 8 კლუბი საქართველოს თასის მეოთხედფინალშიც ითამაშებს, მანამდე კი აი, რა გაირკვა: მეცამეტე ტურში ჩემპიონ „ტორპედოს“ გამსწრებმა თბილისის „ლოკომოტივმა“ პირველობა არც ბოლო ხანს კარგად მოთამაშე „დინამოს“ დაუთმო — ექსჩემპიონს შვიდმატჩიანი უდანაკარგო სერია შეაწყვეტინა და ამიტომაც საშუალედო ჩემპიონის „წოდება“ მასზე ალალია.

საქართველოს ჩემპიონატი
12
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

### 17 ტური

3 დეკემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| დინამო | 0 |
| ლოკომოტივი | 1 |
| ბათუმი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| სიონი | 0 |
| კოლხეთი | 4 |
| ტორპედო | 5 |
| დილა | 0 |
| გორდა | 0 |
| იბერია | 0 |
| თსუ | 0 |
| მერანი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 43 |
| ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 39 |
| დინამო | 17 | 12 | 1 | 4 | 43:17 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26:12 | 32 |
| კოლხეთი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:14 | 27 |
| მერანი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 24 |
| ბათუმი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | 21 |
| სიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:27 | 16 |
| გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:22 | 16 |
| დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13:32 | 15 |
| თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17:32 | 14 |
| იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3:35 | 2 |

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები



კვირას ეროვნულზე: „დინამო“ — „ლოკომოტივი“ 0:1. საშემოდგომო ეტაპის დინამოელი ბომბარდირი ზაზა ზირაქიშვილი (მარცხნივ) და ლოკომოტიველი მცველი ვალერი აბრამიძე

ბადრი კითიაშვილის ფოტო



ვახტანგ ნაცვლიშვილი

## 28 ქულა, 13 დაფარება, 11 მოხსნა
## ნაცვლიშვილმა ჭერი ასწია

საქართველოს ჩემპიონატი

**ჩვეულებრივი ამბავი:** ბათუმის „ბასკომ“ შაბათ-კვირას შინ გამართული ორივე მატჩი დამაჯერებლად, დიდი უპირატესობით მოიგო და კვლავ დაუმარცხებლად ლიდერობს საქართველოს ჩემპიონატს. დაარსების დღიდან „ბასკოს“ ბათუმში არ წაუგია.

**უჩვეულო ამბავი:** ამ მატჩებზე დანიშნული ერთ-ერთი მსაჯი, ზურაბ აბაშიძე ავად გახდა და ბათუმში ვერ ჩავიდა. შეხვედრათა კომისარმა გიზ ქიქოძემ ჩემპიონატის დებულება მოიშველია და მსაჯის გამოყოფა მასპინძელ გუნდს დაავალა. ასე რომ, დავით ბერეკაშვილს ბათუმელი მწვრთნელები შეეშველნენ — შაბათს გარი ...ნინი, კვირას — დავით ჯორბენაძე.

**განსაკუთრებული ამბავი:** საქართველოს ნაკრების და „ბასკოს“ კაპიტანმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა სამი რეკორდი დაამყარა: ორი — ეროვნული, ერთიც — პირადი.

იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდები

დელის მსოფლიო პირველობის მესამე რაუნდმა ჩვენი ბოლო ორი იმედი, ზურაბ აზმაიფარაშვილი და ნანა იოსელიანი გაიყოლა. იოსელიანს რუმინელმა კორინა პეპტანმა მოუგო, აზმაიფარაშვილმა ექს-საბჭოელ ამერიკელთან, ბორის გულკოსთან წააგო.

## გუგამ დაიგუგუნა




გუსტავო კუერტენი: პირველის პირველი ემოცია

ეს დღე გუგას სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრება, თქვა დამარცხებულმა ანდრე აგასიმ გუსტავო კუერტენზე და მსოფლიოს ჩემპიონატის — მასტერსის თასის ფინალში გამარჯვება პირველმა მიულოცა.

ცხადია, ამ უპრესტიჟულესი ტურნირის მოგება მართლაც დიდი ამბავია, მაგრამ ზემონახსენები სიტყვები აგასის სხვა გარემოებამ ათქმევინა. საქმე ისაა, რომ ბრაზილიელმა ლისაბონში გამარჯვების წყალობით წლევანდელი სეზონი კლასიფიკაციაში პირველმა დაასრულა და ამ ბოლო დროს მომძლავრებული რუსი მარატ საფინი ახლოს არ გაიკარა, თანაც მაიკლ ჩანგის მერე პირველია, ვინაც პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის ერთმანეთის მიყოლებით დამარცხება შეძლო.

ერთი სიტყვით, გუგამაც დაიგუგუნა!

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

# 17 ტური

# სამის ფასი ერთი

## დინამოსთვის ცამეტი მართლაც თარსია

თბილისი
3 დეკემბერი
14 საათი
ეროვნული
5 000 (ტევადობა 70 900)

**დინამო 0:1 ლოკომოტივი**

0:1 ქიქვეიშვილი (77)
დინამო: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე ა. სახვაძე, შაშიაშვილი, ზამთარაძე (გ. ვ. მიქაძე 83), დათვაძე (მაზიაშვილი 71), სიჭინავა, გადელია, ზირაქიშვილი, ჯინჭარაძე
სათადარიგონი: ბათიაშვილი; კანდელაკი, ბურდული, ჭ. გოგოლაძე, რუხაძე
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, გილაური, კვარაცხელია, ქიქვეიშვილი, გოგიჩაიშვილი (გონჩაროვი 59), გ. შენგელია (ხუროძე 70), რუსია (პარამონოვი 59)
სათადარიგონი: ასლანაძე, დავითაშვილი, დ. არჩვაძე, გაჩუა
გაფრთხილება: ქემოკლიძე (30), გილაური (68), გადელია (79), ბალაშვილი (84), ხუროძე (90)
მსაჯები: მ. მალალურაძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**კობა ინასარიძე**

„ლოკომოტივმა“ საქმის ნახევარი უკვე გააკეთა. ზამთარში პირველობა დაიბევა და უახლოესი მდევარი „ტორპედო“ ოთხი ქულით მოიტოვა. 28 თებერვლიდან 22 მარტამდე ანუ პირველი წრის ბოლომდე კი რკინიგზელებს ისეთი კალენდარი აქვთ, არა მგონია, ეს უპირატესობა ხელიდან გაუშვან, საჩემპიონო მეტოქეები მიიახლოვონ, თუ კიდევ არ დაშორდნენ. თუმც ერთიცაა, მეორე წრიდან ხომ ქულებში სხვაობა ნახევრდება.

„დინამომ“ კი შვიდმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა. „ლოკომოტივთან“ 13 წუთიც რომ გაეძლოთ, სატურნირო ცხრილის სამეულში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბებოდა. არადა, მატჩი ისე დაიწყო და ჭიჭვეიშვილის გოლამდეც იმგვარად გაგრძელდა, ფრე ყველაზე მოსალოდნელი შედეგი ჩანდა, ბევრიც ალბათ ასე ფიქრობდა, მაგრამ, ალბათ, არა რკინიგზელთა მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი. აბა, სხვას ვერაფერს ვიტყვით, თუ მის ცვლილებებს გავითვალისწინებთ. 70-ე წუთიდან ძოძუაშვილის გუნდი ერთბაშად სამი დასვენებული თავდამსხმელით თამაშობდა. გადამწყვეტიც ეს მომენტი აღმოჩნდა.

პირველი ტაიმი ჩემპიონატის ლიდერთა მეტოქეობას არ ჰგავდა. ორივე გუნდი მეტს საკუთარ კარზე ფიქრობდა და შეტევაზე ნელ-ნელა გადადიოდა. მომენტებიც კანტიკუნტად შეიქმნა, მნიშვნელოვანი და სახიფათო კი არაფერი ყოფილა.

შესვენების შემდეგ „დინამო“ ოდნავ გააქტიურდა, ზირაქიშვილი და დათვაძეც ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ ერთხელ ლომაიამ იყოჩაღა, მეორედ კი დათვაძემ ახლოდან, ვარდნაში ლამაზად რომ დაარტყა, ბურთი კარს საერთოდ ააცილა. ეტყობა, ამან იმოქმედა „ლოკომოტივზე“. მერე პირობითად სტუმრებმაც გამოიღეს ხელი, ჭიჭვეიშვილმა და კვარაცხელიამ სცადეს გატანა, თუმც ბურთი მიზანში ვერ მოარტყეს.

ამასობაში კი ძოძუაშვილის ჯერიც დადგა. ყველასთვის მოულოდნელად რკინიგზელთა მწვრთნელმა კაპიტანი და ლიდერი გოგიჩაიშვილი შეცვალა, თუმცა მატჩის შემდეგ თქვა, მას ტრავმა აწუხებდაო. ეს ეტყობოდა კიდეც გოგიჩაიშვილის თამაშს, მაგრამ მისი გამოცდილების მქონე ფეხბურთელის შეცვლა მაინც ცოტა გასაკვირი გახლდათ. ძოძუაშვილმა კი იცოდა, რასაც აკეთებდა. იქვე მწვრთნელმა რუსის ტანმაღალი პარამონოვი ამჯობინა, 10 წუთში კი „ლოკომოტივი“ ერთმა თავდამსხმელმაც გააძლიერა. აშკარა გახდა, რკინიგზელთა მწვრთნელს ასეთი თამაში, მით უმეტეს, შედეგი არ აკმაყოფილებდა. „დინამოს“ მწვრთნელმა ძოძუაშვილის სამს ერთი შეცვლით უპასუხა — დაღლილი დათვაძე მაზიაშვილით შეცვალა.

სულ ცოტა ხანში კი კულმინაციური მომენტიც დადგა. „ლოკომოტივმა“ მარჯვნიდან შეუტია, გონჩაროვმა საჯარიმოსკენ ჩააწოდა, ბურთს პარამონოვი შესწვდა და თავით მის უკან მყოფ ჭიჭვეიშვილს დაუგდო, დინამოელმა მცველებმა დააგვიანეს, ჭიჭვეიშვილს ვერ დაუფარეს, რკინიგზელმაც ზამთარაძე ჩამოიშორა, ბურთი საჯარიმოში შეიგდო, ფეხებში ჩამხტარ გრიშიკაშვილსაც დაასწრო და გამარჯვებისა გაიტანა.

„ლოკომოტივი“ ამან დააკმაყოფილა. სამი ქულისთვის ეს ერთადერთი გოლიც საკმარისი გახლდათ და აქცენტი საკუთარი კარის დაცვაზე გადაიტანა. რევაზ არველაძემ ზირაქიშვილსა და გადელიას მესამე თავდამსხმელი — მიქაძეც წაახმარა, მცველი შეცვალა, ნახევარმცველი უკან დასწია, გუნდმაც ანგარიშის გათანაბრება სცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, „ლოკომოტივი“ დაცვაში უშეცდომო იყო.

***რევაზ ძოძუაშვილი, „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი:***

— ველოდი, რომ დაძაბული თამაში იქნებოდა. ყველაფერი ერთ გოლს, იღბალს უნდა გადაეწყვიტა. გამტანი მოიგებდა, ასეც მოხდა. მიხარია, რომ პირველი ადგილი შევინარჩუნეთ და უახლოეს მდევარს კიდევ გავუსწარით. გოგიჩაიშვილმა კი მესამე მატჩი ფეხმტკივანმა ითამაშა. გამაყუჩებელი ნემსი ჰქონდა გაკეთებული. ახლა სამთვიანი დასვენება გვაქვს და, ალბათ, ჩემპიონატის განახლებამდე გუნდში რამდენიმე ცვლილება მოხდება.

***რევაზ არველაძე, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:***

— არა უშავს, ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ და თებერვლიდან კვლავაც უნდა ვიბრძოლოთ. ამ წაგებით ქვეყანა არ დაქცეულა. მატჩის ლოგიკური შედეგი კი, ვფიქრობ, ფრე უფრო იქნებოდა, თუმც ისიც სათქმელია, იღბალი ძლიერს უღიმის-ხოლმე. დღესაც ასე იყო. ჩვენს ბოლოდროინდელ მეტოქეთა შორის ყველაზე ძლიერად სწორედ „ლოკომოტივმა“ ითამაშა. ჩვენ დღევანდელ მატჩს, ეტყობა, რაღაც დავაკელით, ახლა ფირს ვნახავთ და შეცდომებს გავაანალიზებთ. მატჩის ბოლოს, რაღა თქმა უნდა, ჩვენ ვა-ბანკზე წავედით, რა აზრი ჰქონდა 0:1-ს წავაგებდით თუ მეორესაც გავუშვებდით. სამწუხაროდ, დღევანდელ „დინამოში“ ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. თებერვლიდან ალბათ ამავე კონტინგენტით ვითამაშებთ.



ეს-ესაა, დავით ჭიჭვეიშვილმა (№8) იოსებ გრიშიკაშვილს გაუტანა



დინამოელებმა ანგარიშის გათანაბრება საჯარიმო დარტყმითაც სცადეს, მაგრამ მეკარე გიორგი ლომაიამ არ დაანება

## ინგლისი

XVI ტური

**სანდერლენდი 2:0 ევერტონი**

1:0 რაე (45), 2:0 ფილიპსი (65)

## საფრანგეთი

II დივიზიონი

XXII ტური

**ნიორი 1:1 მონპელიე**

## გერმანია

XV ტური

II ბუნდესლიგა

**მიონხენგლადბახი 2:0 ჰანოვერი**

## იტალია

სერია B

XIV ტური

**კოზენცა 1:2 კიევო**

# რა აკავშირებს ქართულ რკინიგზას რონალდოსთან?

**რამდენიმე** დღის წინ თბილისის „ლოკომოტივს“ კიდევ ერთი უცხოელი სტუმარი ჰყავდა. გუნდის მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილის ვაჟის, მიხეილის, მოწვევით თბილისში ორი დღე დაჰყო იტალიელმა ფიფას აგენტმა ჯოვანი ბრანკინიმ, რომელიც თავის, კერძო ასოციაციასაც პატრონობს.

რაღა თქმა უნდა, ბრანკინი „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებით არის დაინტერესებული და მათთან და კლუბთან მოსალაპარაკებლად ჩამოვიდა. ის იტალია — საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრებს დასწრებია და ლოკომოტიველთა გვარებიც ჩაუნიშნავს.

— ჯოვანი ბრანკინიმ „ლოკომოტივის“ მშენებარე სტადიონი დაათვალიერა, კლუბის პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძეს შეხვდა და თბილისიდან კმაყოფილი გაემგზავრა — გვითხრა „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა.

ახლა კი ეს იტალიელი კაცი რკინიგზელთა რამდენიმე ფეხბურთელის ტრანსფერზე დაიწყებს მუშაობას და გამორიცხული არ გახლავთ, ახლო მომავალში რკინიგზული გუნდი ორ-სამ მოთამაშეს შეელიოს.

ჯოვანი ბრანკინი რამდენიმე ცნობილი მოთამაშის და თვით რონალდოს აგენტია.

**ძოზა ინასარიძე**

# რეგიონული ლიგაც მაცდური პერსპექტივაა

**ბოლოსწინა** ადგილი: ასეთი მონაგარით შეხვდება თსუ ახალ ათასწლეულს და გუნდში ალბათ არც საკადრო ცვლილებები დააყოვნებს.

ამ სეზონში მწვრთნელთა ცვლა თსუ-ში უკვე მოხდა, როცა თასის გათამაშების მერვედფინალში სტუდენტებმა წყალტუბოს „სამგურალის“ ბარიერი ვერ გადალახეს, გუნდი მთავარმა მწვრთნელმა თენგიზ კაციამ დატოვა და მის სანაცვლოდ „ვიტ ჯორჯია 2“-დან მერაბ კოჭლაშვილი გაამწესეს. ახალი მწვრთნელის დებიუტი არც თუ ურიგო გამოდგა, მე-15 ტურში თსუ-მ ფოთელებს მხოლოდ ქულა გაატანა „არმაზიდან“, თუმც მერე ორივე მომდევნო თამაში წააგო.

ფაქტია, თუ ასე გაგრძელდა, სამტრედიის „იბერიას“ დარად სტუდენტებსაც პირველ ლიგაში დაქვეითება მოუწევთ. რას აპირებს გუნდის ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელი? ამ შეკითხვით მივმართეთ მერაბ კოჭლაშვილს, რომელმაც გვიპასუხა: „შესაძლოა გუნდში გარკვეული ცვლილებები მართლაც მოხდეს, არის რაღაც ჩანაფიქრები. პირადად მე კი, „მერანთან“ თამაში რომც მომეგო, გული მაინც „ვიტ ჯორჯია 2“-სკენ გამიწევდა. არ მინდა, დაწყებული საქმე მივატოვო. თსუ-ში მხოლოდ წლეულს დარჩენილი სამი თამაშისთვის მომიწვიეს მე-15 ტურის წინ. „ვიტ ჯორჯია 2“ უმაღლეს ლიგაში უნდა გადავიყვანოთ და ეს აუცილებლად მოხდება, უბრალოდ, დროის ამბავია“.

„ვიტ ჯორჯია 2“ რეგიონული ლიგის ცენტრალურ ზონაში პირველი წრის მერე მესამეა და „ამირანს“ 5, „დინამო 2“-ს კი 2 ქულით ჩამორჩება.

**დავით თაგართქილაძე**

# გორდას ფუნქცია

რუსთავი
3 დეკემბერი
14 საათი
ფოლადი
1 500 (ტევადობა 10 700)

## გორდა 0:0 იბერია

გორდა: ნიკურაძე, გაბელაია, ა. ბურნაძე, ბექაური, ლაშა სილაგაძე, ზ. ლაბაძე (მიშველიძე 46), მელაძე, კეტიაშვილი (მ. სახვაძე 77), ჯელაძე, ივერიანი (ლ. კაპანაძე 61), ალადაშვილი
სათადარიგონი: გონგაძე, ბერიძე, მჭედლიძე, წიკლაური
იბერია: ვარდანიძე, გ. ნოზაძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ლ. ხმალაძე, ონიანი, ყურაშვილი, ზ. მეტრეველი (ჩიმაკაძე 90), გიგიაძე, ბიწაძე, მუმლაძე
სათადარიგონი: ჩომახიძე, ქოლაძე
გაფრთხილება: ბურნაძე (36), ყურაშვილი (42)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

პაატა კვანტალიანი რუსთავიდან

მეთორმეტე ეროვნული ჩემპი-[...]ნატის რიხით დამწყები რუსთავუ[...]ლი კლუბი სავალალო დღეშია. ექვ[...]ეულში შესვლას ვინღა ჩივის, გორ[...]ელებს ლიგაში დარჩენაც უკვე საპ[...]რობლემოდ ქცევიათ. გუშინწინ სულ[...]ც წაიხდინეს თავი და აუტსაიდერ, [...]მლის პირას მყოფ „იბერიას“ ვერ [...]ძლიეს დამღლელ და მოსაწყენ მატ[...]ში. და მაინც, რა იყო წლეულს „გო[...]დას“ ფუნქცია? ალბათ ის, რომ ნა[...]სი მოეწმინდა მასზე გაცილებით [...]ძლიერებულ სამტრედიელთათვის. თა[...]დ განსაჯეთ, რა სირცხვილი ელო[...] „იბერიას“ ორი შეხვედრა სწორედ [...]გორდასთან“ რომ არ ეთამაშა, სწო[...] ამ მატჩებში მოახერხეს სამტრე[...]ელებმა იმ ორად-ორი ქულის აღე[...] რომელიც დღეს აქვთ.

[...]მლის პირას მყოფი „იბერია“ ვა[...]ჩენთ და აქვე ვთქვათ. ბურუსითაა [...]ული სოსო ფრუიძის გუნდის ბე[...] ნამატჩევს, პრესკონფერენციაზე, [...]ტრედიელთა მთავარ მწვრთნელს [...]ლი წლიდან გაძლიერებაზე რომ [...]ვეკითხეთ, ნაღვლიანად აიჩეჩა მხ[...]ები, რა გაძლიერებაზეა საუბარი, [...]ოცა ვინც მყავს, ესენიც წასვლას [...]არებენ, მეტიც, იქნებ გუნდი დაი[...]ლოს კიდეცო. ფრუიძის თქმით, ორ [...]ვარაში გადაწყდება „იბერიას“ ყო[...]ნა-არყოფნის საქმე და თურმე მრა[...]ლი ფაქტორი არსებობს საიმისოდ, [...]ომ გუნდმა მწარე ხვედრი გაიზია[...]ოს.

[...]პრესკონფერენციაზე დანა პირს არ [...]ხსნიდა მასპინძელთა მთავარ მწვრ[...]ნელ იასონ ალადაშვილსაც. მან სა[...]გებოდ გაუსვა ხაზი თავდამსხმელთა [...]ერტულობას და გუნდის ზედმეტ თა[...]დაჯერებულობას. რომ ვერ მოიგეს, [...]ის უმთავრესი მიზეზად კი შავოს[...]ბი მიიჩნია: „მსაჯები პირდაპირ ნა-დირობენ „გორდაზე“, ნებისმიერ გუნდს უხარია აქ ჩამოსვლა, იციან, რომ თემიდის მსახურთაგან არანაირი პრობლემა შეხვდებათ. დღეს მსაჯმა ორჯერ პენალტიც არ დაგვინიშნა, რამდენჯერმე დროის გაყვანისთვის მოწინააღმდეგე უნდა გაეფრთხილებინა, მაგრამ ასე არ მოიქცა“.

მწვრთნელი მწვრთნელია და ბუნებრივია, თავის გასამართლებლად საკუთარი შეხედულებები გააჩნია, მაგრამ პირადად მე მასპინძელთა წარუმატებლობის მთავარი მიზეზი თავად „გორდა“ მგონია. იასონ ალადაშვილს არაფერი უთქვამს იმაზე, რომ ორი-სამი ფეხბურთელის გარდა არცერთ მასპინძელს არაფერი გაუკეთებია მოსაგებად, მეტიც, ფეხბურთელთა დიდი ნაწილი იმდენად უსახურად და უგერგილოდ ირჯებოდა, რომ ასეთ გუნდთან „იბერიას“ დამარცხება საცოდაობა იქნებოდა. ალადაშვილს არც იმაზე უთქვამს რამე, რატომაა გამუდმებით საჯარიმოში უაზრო ჩაწოდებებით რომ ცდილობს მისი გუნდი ფონს გასვლას. მხოლოდ ამგვარი არსენალით წარმატებაზე ფიქრი ხომ სასაცილო და არაფრის მომცემია.

ალექსანდრე ბურნაძე, კახა ალადაშვილი, ლაშა სილაგაძე — აი, ის სამი ფეხბურთელი, რომელიც კვირას „ფოლადზე“ იბრძოდა, მაგრამ, ბუნებრივია, სამეულის თავდადებამ საერთო საქმეს ვერ უშველა. „იბერიას“ 90 წუთის განმავლობაში არ გასჭირვებია „გორდას“ ერთფეროვანი იერიშების მოგერიება და მეტი კლასი რომ ჰქონოდა, სამ ქულასაც წაიღებდა რუსთავიდან.

მასპინძლები პირველად 39-ე წუთზე დაემუქრნენ მეტოქის კარს, მაგრამ ვარდანიძემ იოლად აიღო საჯარიმოში შეჭრილი ჯელაძის სუსტი დარტყმა, ტაიმის ბოლო წუთზე კი სტუმრებს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. სოსო გიგიაძის ჯარიმას ონიანი დაუხვდა, მან წამით დაასწრო ნიკურაძეს და თავით ოდნავ ააცილა ცარიელ კარს.

ეს იყო და ეს. მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში სტუმრებს სახეირო არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ „გორდაც“ ერთობ უფხოდ უტევდა და მატჩის დროც თვალსა და ხელს შუა ამოიწურა. საინტერესო კი ის იყო, რომ შეხვედრის არბიტრმა კახა მესხმა 92-ე წუთზე ოთხი წუთის დამატება ბრძანა, რეალურად კი ორწუთნახევარი ათამაშა გუნდები.

დაბოლოს, ლატარიის იმედად „ფოლადზე“ მისული ათასხუთასამდე მაყურებელი გაწბილებული დარჩა. სტადიონის ადმინისტრაციის განმარტებით, გაყიდული ბილეთები ლატარიის მოწყობის ხარჯებს ვერ გასწვდა. თუმცა ახალდანერგილი წამოწყების გაგრძელებას მომავალი წლიდან მაინც ვარაუდობენ.



სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი შაბათს დიღმის ბაზას ესტუმრა

# დაბრუნება ედემში

## სად დადის ირაკლი მეძმარიაშვილი უძმეგზე და როგორ სძინავს რევაზ არველაძეს

— რამდენი წელია, რაც აქ, დიღმის ბაზაზე არ ყოფილხართ? — ჰკითხეს შაბათს, დილით, თბილისის „დინამოს“ სტუმარს, ირაკლი მეძმარიაშვილს.

— 15 წელი იქნება — უპასუხა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ.

15 წელი დიდი დროა მოსანატრებლად და გასაკვირი არც იყო, რომ დანიშვნიდან ათი (შეხვედრებით დატვირთული) დღის თავზე დეპარტამენტის თავმჯდომარემ უქმე დღეს დასვენებას დიღმის ბაზის და მისი ბინადრების მონახულება არჩია.

როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო. პატივცემულ სტუმარს ა ლა ფურშეტიც შესთავაზეს, მაგრამ შეთავაზებული წითელი ღვინო თავად იუარა, ამიტომაც ფეხბურთელების გაცნობისთანავე ექსკურსიაზე წაიყვანეს.

მარშრუტი: ბაზის საცხოვრებელი კორპუსი — მძლეოსნობის დარბაზი — დიდი საწვრთნელი მინდორი — ყველა ამინდის მოედანი.

ბოლო პუნქტი იმ ნაძვის ძირი იყო, სადაც ღია ცის ქვეშ პრესკონფერენცია შედგა.

მეძმარიაშვილის მეგზურმა, „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა რევაზ არველაძემ საპრობლემო საკითხები წამოჭრა:

— გაზის, შუქის და წყლის დავალიანება, 17, 14 და 38 ათასი ლარი, ეგებ გაგვიყინონ, დღეიდან ნახარჯს კი გადავიხდით;

— იქნებ ვინმემ გაგვაგებინოს, ვისია „დინამო“, სად უნდა ჩავდოთ მე და ჩემმა მეგობრებმა ფული, რომ გუნდს დროზე ეშველოს;

— ურიგო არ იქნებოდა, ყველა ამინდის ისეთი მოედანი, როგორიც დეპარტამენტის წინა თავმჯდომარემ, კახი ასათიანმა გვაჩუქა, ერთიც გვქონდეს;

— ამ უბალახო მოედნების ხეირიანად მოვლის საშუალება რომ მოგვცა, ორიდან ერთს დავასვენებდით-ხოლმე და არც ერთი გაპარტახდებოდა;

— ბაზის წინ გამწკრივებული ჯიხურების აღება რომ შეიძლებოდეს, აგერ, იმ დაუმთავრებელ შენობაში [...] სავაჭრო ცენტრს გავხსნიდით;

— ერთი სიტყვით, აქაურობას ხელი რომ შეევლებოდეს, ძველებურად ედემის ბაღი იქნებოდა.

თხოვნა-სურვილების გარდა არველაძემ რეალური სიტუაციაც ჩამოაყალიბა:

— გუნდს ხელფასს საკუთარი ჯიბიდან ვუხდი და, იმედია, ამ თანხებს არ დამიბეგრავენ. შეკრების მოწყობა მხოლოდ მატჩისწინა დღეს ხერხდება და 250 ლარი ჯდება. ფეხბურთელებს დილის ვარჯიშის მერე შინ ვუშვებ და სალამოს, იმ დროისთვის ვიბარებ, როცა შუქს გვაძლევენ. ოთახები ოდნავ მაინც თბება, მერე კი თბილად ვიცვამთ, თავზე ქუდს ვიხურავთ და ისე ვწვებით დასაძინებლად. სახლებში მაინც რომ ჰქონდეთ უკეთესი პირობები, შეკრებაზე სულ უარს ვიტყოდი — საკუთარი გასაჭირი სტუმარს გულახდილად გაუზიარა „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა.

— როცა აქ მოვდიოდი, ვიცოდი, ძველებური სიტუაცია აღარ დამხვდებოდა, მაგრამ თუ დიღმის ბაზა ასეთ დღეში იყო, ვერ წარმომედგინა — გაპარტახებული ბაზის ხილვით გამოწვეული გულისტკივილი არც მეძმარიაშვილს დაუფარავს.

ჩემი სპორტსმენობისას სხვანაირად იყო, ასეთი სიტუაცია რომ მაშინ შექმნილიყო, მოედანზე არ გამოვიდოდიო, დაამატა დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

გარდა ამისა, ირაკლი მეძმარიაშვილმა „დინამოს“ სატურნირო მდგომარეობა, ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების სისტემაც მოიკითხა და ექსჩემპიონის მწვრთნელისგან ფედერაციის გამოგონების ქება მოისმინა — გათამაშება ასე უფრო დაძაბულიაო.

ბოლოს კი, მინი-პრესკონფერენციისას მეძმარიაშვილმა ეს თქვა:

— ფინანსთა სამინისტროსთან სპორტისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის გაზრდაზე ვლაპარაკობთ. ბიუჯეტი გაიზრდება, მაგრამ საკმარისი არ იქნება. რაც შეეხება ჩემს დღევანდელ სტუმრობას, რა თქმა უნდა, მორალური მხარდაჭერის აქცია იყო და არა ფინანსური.

ვახტანგ გზირაძე




სტუმრა-მასპინძელი: ირაკლი მეძმარიაშვილი და რევაზ არველაძე

# სუპეროთარი

მცხეთა
3 დეკემბერი
14 საათი
არმაზი
250 (ტევადობა 3 000)

## თსუ 0:1 მერანი

[...] რონტიაშვილი (27)
თსუ: მამარდაშვილი, ზვ. ლაბაძე, ხარებავა, არეშიძე, [...]ცირიძე, ადამია (ბოკერია 76), წუწუნავა, ახალაძე, მესხი (ვადაჭკორია 18, ბ. ნოზაძე 46), ერაძე, [...]ღიანი
სათადარიგო: მორჩილაძე
მერანი: დევაძე, ბაჯელიძე (თოლორდავა 87), [...]ბაძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, კობქაშვილი, [...]ლექვაძე (კოშკაძე 76), დ. გოდერძიშვილი, რონტიაშვილი (კაკუბავა 60), ჭინჭარაული, მინაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია; გ. ილურიძე, მუხინი, [...]ლაგავა
გაფრთხილება: არეშიძე (12), ახალაძე (32), რონტიაშვილი (32), ბოკერია (88), მინაშვილი (89)
მსაჯები: ს. ქვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, [...] (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

მოსაგები თამაში ჰქონდა „მერანს“ და მოიგო კიდეც. გამოფხიზლდა საზამთრო არდადეგების დამდეგს ავჭალელთა გუნდი — ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა. თსუ კი ვერ გამოდგა კერკეტი კაკალი „მერანისთვის“, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ სტუდენტები მორიგი მარცხისთვის განწირულნი იყვნენ — ყოველივე მატჩის დასაწყისშივე გახდა თვალშისაცემი.

თუმც ადვილი შესაძლებელი გახლდათ, შეხვედრა არალოგიკურად ჩამთავრებულიყო. მერანელები დამამთავრებელ ფაზაში ბევრს ცოდავდნენ და მათი აშკარა უპირატესობა მხოლოდ ერთი, მეტად არაორდინარული გოლით გამოიხატა.

არც ჩვენთან და არც სხვაგან განებივრებულნი არ არიან ისეთი გოლებით, რომლებიც ხან შემთხვევით გადის, ხან მეკარის კურიოზული შეცდომით და ხან ასეთი გოლების გატანის ოსტატების ძალისხმევით. „არმაზზე“ კი განგებამ ასე ინება — ოთარ რონტიაშვილმა მარცხენა ფლანგიდან მარჯვენა ფეხით ლონივრად, კარგად დაატრიალა ბურთი და კუთხური ჩააწოდა, მაღლა აჭრილმა ბურთმა დავით მამარდაშვილისთვის მეტად უხერხული, რთული ტრაექტორია მოხაზა, ქარმაც მეკარის საწინააღმდეგოდ დაუბერა და რონტიაშვილმა გამარჯვების გოლი შეაგდო, ისეთი, ამ საქმის ნაღდ სპეციალისტ სუპერმარიო ბასლერსაც რომ შეშურდებოდა.

გოლის შემდეგ მერანელებს მალევე შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. ბაჯელიძის პასით მინაშვილმა ოდენ თსუ-ს კარის ძელი შეაზანზარა, გოდერძიშვილმა კი მამარდაშვილს ვერ აჯობა. სტუმრები ცდილობდნენ, მინდორზე სიტუაცია კიდევ უფრო გაემწვავებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ — ეგ იყო, მკვეთრად გახსნილი თამაში გაჩაღდა.

საერთო სურათი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. „მერანს“ მოედნის ცენტრში ბატონობა და მწვავე იერიშები ფუჭად დაურჩა — დავით ჯიშკარიანის გუნდს აშკარად აკლია ისეთი მოთამაშე, რომელიც თამაშს დააბალანსებს, მოპოვებულ უპირატესობას ნაყოფიერს გახდის. გოლის გატანის უკეთესი შანსი ისევ მინაშვილს ჰქონდა, რომელმაც ორმოციოდე მეტრი ბურთიანად დაუბრკოლებლივ გაირბინა, პირისპირ მამარდაშვილს გადაეყარა, მაგრამ მეკარე ვერ დაჯაბნა.

მოგვიანებით ტრავმირებულმა მამარდაშვილმა მინაშვილის სახიფათო თავურიც მოიგერია.

სტუდენტებმაც გაიბრძოლეს, როცა წუწუნავამ „მერანის“ საჯარიმოს მისადგომებთან ყოჩაღად იბრძოლა, 17-18 მეტრიდან ძლიერად, ოღონდ ოდნავ არაზუსტად გაისროლა.

შეიძლება ითქვას, რომ აკაკი დევაძეს საქმე ამ მატჩში არ მისცემია და მისი ლამაზი ნახტომი მხოლოდ ერთხელ ვიხილეთ — ცქიფურიშვილმა თავით ოდნავ განზე დაუგდო ბურთი და სტუდენტებს არაფრისგან კუთხური რომ არ მოენადირებინათ, მერანელთა მეკარემ თავის ოსტატობა ამისთვისღა გამოაჩინა.

–ერთი სიტყვით, ყველაფერი „სუპეროთარის“ გოლმა გადაწყვიტა.

*მერაბ კოჭლაშვილი, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი:*

— დაცვის ბურჯი კახა ებრალიძე ავადმყოფობის გამო გვაკლდა, მესხი პირველივე ტაიმში დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა, ტრავმამოუშუშებული იდგა კარში მამარდაშვილი, კოტე გუგუნავა კი სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე უნდა წარსდგეს და თამაშის უფლება არ ჰქონდა, რის გამოც სათადარიგოებში მეკარე არც გვყავდა. ვულოცავ მერანელებს გამარჯვებას, მათ ეს დაიმსახურეს, თუმც გოლის გატანაში ქარიც დაეხმარათ. ასე რომ, ღდეს ჩვენი დღე არ იყო.

*დავით ჯიშკრიანი, „მერანის“ მთავარი მწვრთნელი:*

— ბიჭებმა დიდი შემართებითა და მონდომებით ითამაშეს, მათი მადლობელი ვარ. თუ ასე გავაგრძელებთ, ექვსეულში დავრჩებით. მატჩი ჩვენი კარნახით მიმდინარეობდა და აუცილებლად უნდა მოგვეგო, ფრეს ვერ შევეგუებოდით. მინდა, მადლობა ვუთხრა მსაჯებსაც. ამ ჩემპიონატში პირველად მოხდა, რომ „მერანის“ მატჩში კარგად და ობიექტურად იმსაჯეს.



კვირას ბათუმში: „ბათუმი“ — „ვიტ ჯორჯია“ 1:1.
ვიტელ ჯაბა მუჯირს (№5) და გიორგი ყიფიანს (№20) ბათუმელი გელა ქორიძე (№6) და ავთანდილ ღლონტი (№7) იჭერენ

# ლაზათიანი და ტალახიანი

ბათუმი
3 დეკემბერი
14 საათი
დინამო
3 000 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 1:1 ვიტ ჯორჯია**

1:0 ა. მუჯირი (58პ), 1:1 კობიაშვილი (83)
ბათუმი: ბედიაშვილი, გველესიანი, მინდაძე, პაპიძე მჟავანაძე, გელა ქორიძე, ღლონტი, დარჩიძე, ყულეჯიშვილი, აფხაზავა (ბეჟანიძე 87), ა. მუჯირი
სათადარიგონი: ჯაში, ქაცარავა, ცინარიძე, თედორაძე, სახარულიძე, სიამაშვილი
ვიტ ჯორჯია: მერლანი, სავკაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი (დოლიძე 46), დოლმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დეკანოსიძე (ც. გოჩაშვილი 38), გიორგი ქორიძე, ყიფიანი (სულთანიშვილი 73), ლ. მელქაძე
სათადარიგონი: სტურუა, ინწკირველი, გვაზავა, თავაძე
გაფრთხილება: დოლიძე (67), მელქაძე (68), ა. მუჯირი (78)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ი. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი (ყველა თბილისი); ჰ. ანიაშვილი (გორი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

**ალარაა** „ბათუმის“ საშველი: აგერ, მესამე წელია, „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხებას ლამობს, მაგრამ არაფერი გამოსდის. არადა, კვირას დიდი შანსი ჰქონდა და მაინც ვერ გამოიყენა.

დიდებული თამაში გაჩაღდა „დინამოზე“ — ერთობ ლაზათიანი და იმავდროულად ტალახიანიც. სულზე მოუსწრო არდადეგებმა ბათუმის მოედნის საფარს, თორემ რაც გუშინწინდელი ბრძოლისას აიზილა ყველაფერი, მას შემდეგ იქ ბურთაობა წარმოუდგენელი იქნებოდა.

მინდორს სიმწვანე ალაგ-ალაგ, უფრო კიდეებში შემორჩა. ერთი რამითაც იგრძნობოდა ამ ფერის ნაკლებობა. ეს „ვიტ ჯორჯიაზე“ ითქმის, რომელიც აჭარაში ჩასვლისას მწვანე რისხვასავით ატყდებოდა თავს „ბათუმს“.

ამჯერად თეთრ და მოგვიანებით ტალახში ამოგანგლულ მაისურებში გამოწყობილი ბათუმელები დომინირებდნენ. მათ ყველაფერი გამოსდიოდათ, ერთის გარდა — ბოლო ფაზაში სიზუსტე აკლდათ. მაღალი ტემპი პირველი წუთიდან არ დაცემულა და თქვენ წარმოიდგინეთ, დარი და კარგი მინდვრის საფარი რომ ყოფილიყო, რა იქნებოდა.

„ბათუმმა“ თავიდანვე გამოაჩინა კლანჭები და საწყის 15 წუთში სულ მცირე სამჯერ შეეძლო გატანა. ამათ შორის მეათე წუთზე შექმნილი მომენტი უნდა გამოვარჩიოთ. საჯარიმოს კიდეში კობიაშვილმა და ჭანკოტაძემ ბურთი ვერ გაიყვეს — აფხაზავას ჩააბარეს და ამანაც საჯარიმოში მარჯვნიდან შესულმა კარის წინ, შვიდიოდ მეტრში მდგომ ყულეჯიშვილს დაუგორა, რომელსაც დარტყმა უხეირო და უზუსტო გამოუვიდა.

ამასობაში ვიტელებმა ცოტათი განმუხტეს სიტუაცია. ბურთიც გააგორგამოაგორეს და ცენტრშიც გაბატონდნენ. აი, წინ კი სიმწვავე აკლდათ. ეულად შებმოდა ლევან მელქაძე მცველებს და მიუხედავად მცდელობისა, არაფერი გამოსდიოდა.

ტაიმის ბოლო წუთები კვლავ მასპინძლებისა იყო და სტუმართა მცველებს დიდი ჯაფაც დაადგათ. ერთ ეპიზოდში თავად ვიტელებმა გაირთულეს საქმე, როცა დოლმელაშვილს თავური აეჭრა საკუთარი კარისკენ — მერლანმა იყოჩალა, ნახტომში ბურთი ხაზზე გააქვავა. სულ ბოლოს კი ვიტელთა მეკარემ აფხაზავასაც აუღო, ოღონდ მომხდურს ჩინებული პოზიციიდან დარტყმა სუსტი გამოუვიდა.

„ბათუმის“ ყველა ფეხბურთელი რიგიანად რიგდებოდა, მაგრამ მჟავანაძის, ღლონტისა და განსაკუთრებით ამირან მუჯირის აღნიშვნა ეგების. მჟავანაძე და ღლონტი ფუტკრებივით შრომობდნენ, გამუდმებით მოძრაობდნენ და ლამის ყოველ შეტევაში მონაწილეობდნენ.

აი, ამირან მუჯირი, მართლაც გამორჩეული იყო ყველასგან. შეტევის სასურველი მიმართულებით წარმართვა და ზუსტი პასების დარიგება მუჯირს ჩინებულად გამოსდიოდა. შეტევაში გარჯილ ყულეჯიშვილსა და აფხაზავას გახსნას უმალვე „ბათუმის“ გამთამაშებლის იშვიათი სიზუსტის გადაცემები მოჰყვებოდა, რაც „ვიტ ჯორჯიას“ კართან უცილობლად ხიფათს მოასწავებდა.

თამაშის განახლებას არავითარი სიახლე არ მოუტანია. ისევ მასპინძლები უტევდნენ და ათი წუთის განმავლობაში აფხაზავას და ყულეჯიშვილს ორჯერ რიგიანი შანსი გაუცუდდათ.

ასეთმა ძლიერმა ზეწოლამ „ვიტ ჯორჯია“ მაინც გატეხა. 57-ე წუთი იყო, მჟავანაძემ ეფექტური პასით აფხაზავა მერლანს რომ შეატოვა. მოიერიშე დასარტყმელად კი გაემზადა, მაგრამ ვინ აცადა — დოლიძე ვარდნაში ჩაუწვა, ტალახში ვერ მოზომა, ისე გასრიალდა და აფხაზავა ძირს დაანარცხა.

ლევან ფანიაშვილმა, პენალტიაო, ბრძანა და ამირან მუჯირმა ჩვეული სიდინჯით უნაკლოდ დაარტყა — მერლანი ერთ მხარეს გადახტა, ბურთი კი მეორეში გავიდა.

„ბათუმმა“ მოგების სუნი იგრძნო და მეორის გასატანადაც დაიგეშა. თუმცა კვლავ უზუსტობა უშლიდა ხელს და მარტო ენთუზიაზმით ვერაფერი იხეირა.

მოგვიანებით ინანა კიდეც. ვეტერინარებმა მოვლენათა ეპიცენტრი ბათუმელთა კართან გადაიტანეს.

სტუმრებმა პირველ ტაიმში ერთადერთხელ დაარტყეს და ისიც არაზუსტად. პირველად კი ბედიაშვილის შეწუხება მე-60 წუთზე მოახერხეს, როცა მელქაძემ შორიდან პირდაპირ მეკარეს დაუმიზნა.

ათ წუთში უკვე სერიოზული პრობლემა შეექმნათ მასპინძლებს. ბედიაშვილი გამოსვლაზე შეცდა, მელქაძის თავიდან კი ბურთი დოლმელაშვილს მიუვიდა და ხუთიოდ მეტრში იგი ცარიელ კარსაც დაემუქრა. თუმცა ივარგა მინდაძემ, რომელმაც წარმოუდგენელ ვარდნაში შეძლო ბურთის კუთხურზე მოგერიება.

იქიდან ჩაწოდებულზე საქმე საჭოჭმანოდ გახდა. ვარდნაში ჩაწოლილ გველესიანს ბურთი ხელზე მოხვდა და ფანიაშვილი ვიტელთა გარემოცვაში მოექცა. ასეთივე სიტუაცია მეორე ტაიმის დასაწყისში საპირისპირო მხარესაც შეიქმნა. მაშინ ერთ-ერთ ვიტელს ბურთი შემთხვევით შეეხო ხელზე. ჰოდა, არბიტრიც სწორად მოიქცა, არც მაშინ და არც მერე საპენალტო არაფერი იყო.

„ვიტ ჯორჯიას“ მნიშვნელოვანი ქულა თენგიზ კობიაშვილის ზუსტმა თავურმა მოუტანა. მანამდეც შეეძლო გატანა ვიტელ მცველს. 75-ე წუთზე ერთობ აქტიური გოჩაშვილის მკერდით დაგდებული ბურთი მან შეუჩერებლივ გაგზავნა კარისაკენ. ოდნავ უზუსტოდ, თორემ გოლი გარდაუვალი იყო.

83-ე წუთზე გოლი მაინც გავიდა. კუთხურიდან ჩაწოდებულ და კობიაშვილის ზუსტ თავურს ბედიაშვილი ოდენ ხელებით წაეპოტინა.

მდგომარეობა ერთობ დაიძაბა და ფანიაშვილს ორი წუთით თამაშის გაჩერება მოუხდა. გოჩაშვილისა და მუჯირის წაკინკლავებამ დასავლეთ ტრიბუნის რამდენიმე პლასტმასის სკამი შეიწირა, რომელთა ნამსხვრევები გაავებულმა გულშემატკივრებმა მოედანზე მოისროლეს.

ბოლო წუთები დრამატული გამოდგა. წამატებულ წუთებზე ჯერ გოჩაშვილს შეეძლო ბათუმიდან სამი ქულის წამოღება, მაგრამ პაპიძემ არასდიდებით არ დაანება. ხოლო სულ ბოლოს ღლონტი აღმოჩნდა მერლანთან პირისპირ, თავზეც კი გადაუგდო ბურთი, მაგრამ ძალა არ ეყო და მცველმა ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანა.

მსაჯის სასტვენის გაგონებისას ვიტელებმა ერთობ გაიხარეს, ზღვისპირელებს კი დანა პირს არ უხსნიდათ. როგორი საქმეა, ესოდენ მნიშვნელოვანი ორი ქულის დაკარგვა, თანაც ბოლო შვიდ წუთში. თუმცა მათი მეტოქე ხომ „ვიტ ჯორჯია“ იყო. ვეტერინარებთან მოგება ბალამის შეგირდებს, ეტყობა, არ ძალუძთ. ტრადიციაა ასეთი, თორემ „ბათუმს“ გუშინწინ რომ მოეგო ალალი იქნებოდა.

# რამ წააქცია ალა?

ბოლნისი
3 დეკემბერი
14 საათი
თემურ სტეფანია
1 000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 0:4 კოლხეთი**

0:1 ე. გვასალია (44), 0:2 გოგიაშვილი (62), 0:3 ე. გვასალია (71), 0:4 ჭანტურიძე (83)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე (ისიანი 52), გამცემლიძე (დიმიტრიშვილი 46), სოლოღაშვილი, მოსეშვილი, წიწვიძე (მ. სამხარაძე 68), კ. მეტრეველი
სათადარიგონი: დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, დემურიშვილი
კოლხეთი: მ. გვასალია, ტორჩინავა, ქუნთელია, პაპავა, ჭანტურიძე, ხუჭუა (მაჭავარიანი 74), ე. გვასალია, კვირკველია, ახალკაცი, გოგიაშვილი, ღლანიძე
სათადარიგონი: ჩემია; ბჟობია, გ. ჩიტაია, კრასოვსკი, მაღლაკელიძე, ფანჩულიძე
გაფრთხილება: ირემაშვილი (29), ასპინძელაშვილი (37), გოგიაშვილი (47), მოსეშვილი (42), ტორჩინავა (59), ე. გვასალია (67)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან

**პირველი** ტაიმის დასრულებას წუთილა უკლდა, როცა მასპინძელ ქომაგთა თავკაცი, ბევრისთვის ცნობილი ალა, შეტორტმანდა, სახეზე მკვდრის ფერი დაედო და გული შეუწუხდა. ტრიბუნა ალას საშველად წამოიშალა, „სიონის“ ფეხბურთელები მსაჯს და თანამსაჯს შემოეხვივნენ, ხოლო „კოლხეთი“ ელდარ გვასალიას გოლს და დაწინაურებას ხარობდა.

თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა, გულშეღონებული ალა მალევე მოასულიერეს, „სიონის“ თავკაცმა სპარტაკ არჩვაძემ და წესრიგის დამცველებმა მსაჯ-თანამსაჯისკენ გაწეული ფეხბურთელები დააშოშმინეს, მატჩი განახლდა, დასრულდა ტაიმი. მსაჯებმა მშვიდობით მიაღწიეს გასახდელს. მერე საშიშროებაც არსაიდან დამუქრებიათ. დარჩა მხოლოდ გინება და არა მარტო შავოსანთა, არამედ სტუმართა ზოგიერთი წარმომადგენლის მისამართითაც.

კი მაგრამ, რამ წააქცია ალა? „კოლხეთის“ გოლმა თუ „სიონის“ სუსტმა თამაშმა? ალბათ, ორივემ ერთად. ამას მსაჯთა ზოგიერთი (ჩემი აზრით) შეცდომაც დავუმატოთ და ყველაფერი გასაგები გახდება.

მატჩი თავიდანვე პრინციპული და დაძაბული იყო, „სიონმა“ საწყის ხუთ წუთში უპირატესობა კი მოიპოვა, მაგრამ მერე მასპინძლები ერთთავად კოლხთა საჯარიმოში მაღალ გადაცემებს მიჰყვნენ და ამით სტუმართა საიმედოდ მოთამაშე დაცვას ვერაფერი დააკლეს.

„კოლხეთი“ დაახლოებით მეთხუთმეტე წუთიდან გაუშინაურდა მასპინძელთა საჯარიმოს. სახიფათო რეიდები განახორციელეს კვირკველიამ და ახალკაცმა, გვასალიას კი ვოლკოვმა აუღო ძლიერად, მაგრამ მახვილ კუთხიდან დარტყმული. მერე ღლანიძემ გაისროლა საჯარიმოს სიახლოვიდან და ისევ ვოლკოვმა იყოჩაღა.

„სიონიც“ უტევდა, მაგრამ ხიფათს ვერ უქმნიდა სტუმართა კარს. მასპინძელთა მაქსიმუმი ან კუთხური იყო, ანაც მეკარე მამუკა გვასალია ეუფლებოდა საჯარიმოში ჩაკიდულ ბურთს.

დადგა გადამწყვეტი 44-ე წუთი. გიორგი გოგიაშვილმა ელდარ გვასალია გაიყვანა გარღვევაზე, რომელმაც ბურთი საჯარიმოში შეიგდო, კარს მარჯვნიდან მიუახლოვდა და თეიმურაზ ვოლკოვს შორიეულ კუთხეში გაუტანა.

არ დავმალავ, მეც და ბევრ სხვასაც მოეჩვენა, რომ თითქოს გვასალიამ ბურთის დასამორჩილებლად მარჯვენა ხელი წაიხმარა. ამას, ცხადია, ცენტრალური რგოლის სიახლოვეს მდგომი არბიტრი დოგრაშვილი ვერ დაინახავდა, მაგრამ ვერც თანამსაჯმა კიკაჩეიშვილმა შენიშნა და დაიწყო...

ტყუილს არ ვიკადრებ, მსაჯებს ხელით (გნებავთ, ფეხით, ანაც თავით) არავინ შეხებია. იყო პროტესტი, მტკიცება იმისა, რომ ფოთელმა ხელით ითამაშა, გინება და დაახლოებით ხუთწუთიანი შესვენება თამაშში.

მეორე ტაიმი ათი წუთის დაგვიანებით დაიწყო. მასპინძლებს გასახდელიდან გამოსვლა შეაგვიანდათ, მსაჯებს უფრო მეტად.

შემდრკალი ჩანდა „სიონი“. შეტევას ეძალებოდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. 62-ე წუთზე კი გოგიაშვილმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა. „კოლხეთის“ გამთამაშებელმა შეტევა ცენტრიდან წამოიწყო, ღლანიძესთან კედელი გაითამაშა, მცველიც ჩამოიტოვა და საჯარიმოს მიახლოებულმა აუღებელი დაარტყა ცხრიანში — მეკარე არც განძრეულა.

ამის შემდეგ ელდარ გვასალიამ და ჭანტურიძემ თითოც გაიტანეს და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა. მსაჯები მეტად არავის შეუწუხებია, სტუმარი — მით უმეტეს. ყველა თავის გზას ეწია და აღაც მძიმე ნაბიჯებით გავიდა სტადიონიდან.

არ ვამართლებ ბოლნისელებს, ყველაფერზე აყალმაყალი და დავიდარაბა ხომ არ უნდა ატეხო. პირველად როდი ხდება „თემურ სტეფანიაზე“ მსგავსი ინციდენტი.

მსაჯების ბოსტანშიც მომიწევს კენჭების გადაგდება. მათ ორივე გუნდის საზიანოდ დაუშვეს გარკვეული შეცდომები.

„კოლხეთის“ მიმართ გამოთქმული ბრალდებებიც, რომლებიც ბოლნისში მოვისმინეთ, არ არის პირველი. მიუხედავად ამისა, კვირას ფილიას გუნდი მეტოქეზე ძლიერი იყო.

...მაგრამ. იქნებ ფედერაციამ ბოლნისში ერთი კომპეტენტური პირი მიავლინოს და კარის სიგრძე-სიმაღლე ერთხელ და სამუდამოდ გაზომოს. შეიძლება ყოველი მატჩის წინ ერთი და იმავე პროცედურის ჩატარება?! დაძაბულობის გარდა ამას სიკეთე არ მოაქვს. ჩემპიონატის წინ სტადიონის მ... მლებმა კომისიამ შეამოწმა, მერე ს... მსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელმა... გარკვეული სამუშაოები ჩაატარებ... სტადიონის პერსონალს. მერე კიდე... იყო ვიღაც. კვირას მატჩის დელეგ... ტად წოდებულმა (ინსპექტორში ა... აგერიოთ, ეს მისია ილია მჭედლ... შვილმა შეასრულა) ჯემალ გაბის... ნიამ გააკონტროლა სტადიონის მდ... გომარეობა. არ კმარა, ხალხო?!

*სპარტაკ არჩვაძე, „სიონის“ მთავა... რი მწვრთნელი:*

— თავიდანვე დაძაბული, საინტერე... სო თამაში იყო, მაგრამ მსაჯის ერთმა... შეცდომამ წელში გაგვტეხა. ყველას დიდ... პატივს ვცემ, მაგრამ ასეთი უსამართ... ლობაც არ შეიძლება.

*სოსო ფილია, „კოლხეთის“ მთავა... რი მწვრთნელი:*

— ვფიქრობ, მატჩის ბედი მეორ... სართულზე უპირატესობამ და ჩვენი... გაცილებით სწრაფმა თამაშმა გადაწ... ყვიტა. მასპინძლებმა სცადეს, საჰაერ... ორთაბრძოლებში ეჯობნათ ჩვენთვის... მაგრამ ამაოდ. ჩემი აზრით, „კოლხე... თი“ დღეს უფრო ორგანიზებული იყო...

ქუთაისი
3 დეკემბერი
14 საათი
ტორპედო
1 500 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 5:0 დილა**

1:0 გაბიდაური (42), 2:0 იონანიძე (43), 3:0 გაბიდაური (53), 4:0, 5:0 ჯანაშია (67, 85პ)
ტორპედო: ზოიძე, ახვლედიანი (მ. ბობოხიძე 60), თურმანიძე (თავბერიძე 73), ხვადაგიანი, ზ. არჩვაძე, გაბიდაური, კ. კვეტენაძე (შალამბერიძე 27), ძამ... საშვილი, ასათიანი, იონანიძე, ჯანაშია
სათადარიგონი: ჭანტურია; მახვილაძე, შენგელაძე, ვაჩიბერაძე
დილა: თ. ილურიძე, აკოფიანი (მ. ბურნაძე 81), გრიგალაშვილი, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, სავარელიძე, ლომიძე, რევაზიშვილი, ფეზუაშვილი, ხორგუაშვილი (ხოხობაშვილი 68), ეჯიოშვილი (ხაჩირაშვილი 87)
სათადარიგონი: სოლოღაშვილი; ა. ხმალაძე, ტუ... ლუში, ციცქიშვილი
გაფრთხილება: ფეზუაშვილი (77), ძამაშვილი 78), ჯანაშია (80)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. დოლიძე, მ. ჟორჟოლიანი; ზ. ჯვარიძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

# ინგლისი

### XVI ტური

**ჩელსი 2:1 მანჩესტერ სიტი**
1:0 ძოლა (28), 2:0 ჰასელბაინკი (45), 2:1 დიკოვი (82)
ჩელსი: დე გუა, ბაბაიარო (ჰარლი 75), ლებეფი, დესაი, მელხიოტი, მორისი, გუდიონსენი (ჰოიეტი 59), დალა ბონა, ძოლა, ტერი (ბოგარდი 79), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ჰორლოკი, პრიორი, ჰაუი, შარვე, გოტერი, ჰაალანდი, ტიატო (ვიკენსი 67), უიტლი, ვანჩოპე (დიკოვი 46), რაიტ-ფილიპსი
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: ტერი
34 971 მაყურებელი

**არსენალი 1:0 საუთჰემპტონი**
1:0 ვიეირა (85)
არსენალი: მანინგერი, ლუჟნი, კიოუნი, ადამსი, სილვინიო (დიქსონი 46), ვიეირა, ლიუნგბერგი, გრიმანდი, პირესი (კანუ 65), ვილტორდი (ანრი 60), ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ელ ხალეჯი, დოდი, ლუნდეკვამი, ოკლი, დრეიპერი (გიბენსი 87), ტესემი, კაჩლული, ბრიჯი, დევისი, ბიტი (როსლერი 77)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: დევისი, კაჩლული
38 036 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:1 ნიუკასლი**
1:0 დაბლინი (4), 1:1 სოლანო (82)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, სტოუნი, საუთგეიტი, ბერი, ალფაი, ა. რაიტი, ჟინოლა (სამუელი 79), ბოატენგი, ლ. ჰენდრი, დაბლინი, მერსონი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, გომა (დომი 36), აკუნია, ა. შიუზი (კოლდუელი 20), გრიფინი, სპიდი, სოლანო, ლი (ლუა ლუა 75), კორდონე, დაიერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: რაიტი, ჰენდრი, სპიდი, დომი
34 255 მაყურებელი

**ბრედფორდი 2:1 ქოვენთრი**
0:1 ალოიზი (64), 1:1 კოლიმორი (80), 2:1 ბიგრი (83)
ბრედფორდი: კლარკი, ნოლანი, მოლენარი, აზერტონი, მიერსი (ბიგრი 65), მაკკოლი, მაკკინლი, ობრაიენი, კარბონე, უინდასი, კოლიმორი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
ქოვენთრი: კირკლენდი, ბრინი, უილიამსი, კონჯიჩი (ჩიპო 80), ბ. ქუინი, ტომპსონი (ბელამი 84), ტელფერი, პალმერი, ოსტიჩი, ჰაჯი, ალოიზი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: პალმერი, ოსტიჩი, მაკკინლი, კლარკი, კარბონე
15 523 მაყურებელი

**იფსვიჩი 0:1 დერბი ქაუნთი**
0:1 დელაპი (28)
იფსვიჩი: ბრანაგანი, უილნისი (ბრემბლი 46), კლაპამი, მაკგრილი, ვენუსი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, მეჯილტონი, ჯონსონი (შოუკროფტი 49), სტიუარტი, ჯ. რაიტი (როიზერი 76)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
დერბი ქაუნთი: პოომი, ვესტი, კარბონარი, პაუელი, დელაპი, ბარლი, ს. ჯონსონი, კრისტი (დ. ბარტონი 76), მარტინი (მიგინბოთემი 82), ერანიო (მორისი 55), რიგოტი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: უილნისი, დელაპი
22 003 მაყურებელი

**ლესტერი 3:1 ლიდსი**
1:0 სევიჯი (8), 2:0 აკინბი (17), 3:0 ტაგარტი (29), 3:1 ვიდუკა (75)
ლესტერი: როისი, როუეტი, ფ. სინკლერი (იმპი 72), დავიდსონი, მ. ელიოტი, ტაგარტი, ლენონი, სევიჯი, იზეტი, აკინბი (ოუქსი 89), იდი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, რადებე, ვუდგეიტი (უილკოქსი 38), რ. ფერდინანდი, მატეო, ბოიერი, დაკური, მ. ჯოუნსი (კიუელი 61), ა. სმიტი, ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ლენონი, სმიტი, რადებე
გაძევება: რადებე (67)
21 486 მაყურებელი

**ლივერპული 3:0 ჩარლტონი**
1:0 ფიში (ნს.კ.), 2:0 ჰესკი (78), 3:0 ბაბელი (90)
ლივერპული: ვესტერფელდი, ციგე (მერფი 69), ჰიპია, ენჩოსი, ბაბელი, ჯერარდი, კარაგერი, ფაულერი (შმიცერი 69), ბარმბი, მაკალისტერი (ჰამანი 83), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ჩარლტონი: კიელი, პაუელი, ფიში, რუფუსი, იოჰანსონი, კინსელა, კიშიშევი (ბრაუნი 87), იენსენი, სტუარტი, პრინგლი (ბარტლეტი 67), სალაკო (პარკერი 75)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ჰესკი, რუფუსი
43 515 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:0 ტოტენჰემი**
1:0 სქოულზი (40), 2:0 სოლსკიაერი (84)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ფ. ნევილი, ბრაუნი, სილვესტრი, ბექემი, ბათი (გიგზი 72), კინი, სქოულზი, იორკი (სოლსკიაერი 72), შერინგემი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ტოტენჰემი: სალივანი, ს. კემპბელი, კარი, პერი, ანდერტონი, შერვუდი, ლ. ფერდინანდი, კ. არმსტრონგი (კორსტენი 63), კლემენსი, კინგი, ტელველი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: იორკი, გ. ნევილი, ფერდინანდი
63 583 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:0 მიდლსბრო**
1:0 დი კანიო (42)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, უინტერბერნი, სონგი, შტიმაცი (პოტსი 46), ს. პირსი, ტ. სინკლერი, კარიკი, ლამპარდი (მონკუ 46), კანო, დიავარა, დი კანიო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, ფესტა, ეჰიოგუ, ინსი, მასტო, კუპერი (კარამბუ 63), სტამპი, ვილანი, დინი (ჟობი 76)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: მონკუ, ფლემინგი, ეჰიოგუ, მასტო, ინსი
გაძევება: ეჰიოგუ (87)
25 459 მაყურებელი

**სანდერლენდი — ევერტონი**
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

# თითქმის უცვლელად



REUTERS ბარეთისიდან

გუშინ „მიდლსბროს" მწვრთნელად ტერი ვენეიბლზი დაინიშნა, ბრაიან რობსონი (მარცხნივ) კი მენეჯერად გადაიყვანეს

„ფილბერტ სტრიტის" მინდორზე ყველაფერი ძალიან სწრაფად და ამგვარი შეხვედრისთვის თითქოსდა იოლად გაირკვა: მასპინძელ „ლესტერსა" და „ლიდსს" შორის შეხვედრაში ნახევარი საათიც არ იყო გასული და მასპინძლები 3:0-ს იგებდნენ.

სამი თავური და სამი გოლი. სხვანაირად, სამი დარტყმა და სამი გოლი. ლიდსელთა მეკარე პოლ რობინსონს ვერც კი დაადანაშაულებდი. თამაში აშკარად წაგებული იყო. სტუმართა რიგში კი პირველად თამაშობდა „ვესტ ჰემიდან" გადმოყვანილი რიო ფერდინანდი. აყლაყუდა გენიოსის დებიუტი უილბლო გამოდგა, თუმცა „ლიდსმა" ჩვეულ მოუღლელობას არ უღალატა, საქმის ადრევე მომთავებულ „ლესტერს" კი მეორე ტაიმში მოქანცულობა დაეტყო. ალან სმიტის მეცადინეობით მარკ ვიდუკამ ერთი საპასუხო შეტენა კარში და სტუმრებმაც ფრთა გაშალეს. სურათი არც იორკშირელთა კაპიტნის ლუკას რადებეს გაძევების შემდეგ შეცვლილა. მითუმეტეს, რომ დევიდ ოლირიმ მოედანზე სამთავიანი შესვენების შემდეგ შემოუშვა გარემარბი ჰარი კიუელი, ვინაც ჩვეული რეიდები კი მოახერხა, მაგრამ ერთი ნაღდი ბურთი კარს გადააცილა. ოლივიე დაკურის საჯარიმო დარტყმა მასპინძელთა ძელმა აისხლიტა. მოკლედ, ლიდსელებმა ეგრეც ვერ მოახერხეს თავიდანვე დაკარგულის ამოქაჩვა.

ცხრილის შუაში გაჩხერილ, ტრავმებით ტანჯულ „ლიდსს" ეგებ ჩემპიონთა ლიგის დღევანდელ თამაშზე უფრო ეჭირა თვალი და პატარა „ფილბერტ სტრიტზე" რომის ოლიმპიურ სტადიონს თუ ხედავდა, სადაც „ლაციოს" უნდა შეერკინოს. თუმცა, აქედან რა სარგებელი გამოადნო, იოლი დასანახია. „ლესტერი" ხომ წლევანდელი სეზონის აღმოჩენაა.

ამასობაში ერთი ჭაპანწყვეტით, პატრიკ ვიეირას გვიანი გოლით მოიგო „არსენალმა" შინ, „ჰაიბერიზე". გლენ ჰოდლის „საუთჰემპტონი" კი ზედიზედ წაგებათა შემდეგ სადღაც ბოლო გაჩერებისკენ ჩაქანდა. მითუმეტეს, რომ „დერბი ქაუნთიმ" ძალიან მოულოდნელად სეზონის პირველი გასვლითი გამარჯვება მოიპოვა იფსვიჩში.

მაჩანჩალათა ჯახში „ბრედფორდმა" სტენ კოლიმორისა და უტეხი პიტერ ბიგრის გოლებით გამოგლიჯა გამარჯვება სტუმარ „ქოვენთრის", რომელიც 80-ე წუთამდე იგებდა შეხვედრას.

შინ უძლეველმა „ლივერპულმა" იოლად წააქცია „ჩარლტონი" 3:0 და ემილ ჰესკიმ კვლავ გაიტანა.

„ოლდ ტრეფორდზე" ჩასულ „ტოტენჰემს" გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონოდა — შაბათს მეთერთმეტე წელიწადი შესრულდა, რაც ლონდონელებს იქ არ მოუგიათ. „იუნაიტედმა" პოლ სქოულზის ბრწყინვალე და მომჯობინებული და ტრადიციულად შესვლაზე შემოსული ოლე გუნარ სოლსკიაერის გოლებით იმარჯვა. ფერგიუსონის გუნდმა ერთი პირადი რეკორდიც ჩაიწერა დავთარში — შინ წაუგებლად ჩაატარა 36-ე საპრემიერლიგო შეხვედრა: ორი წლის წინათ რომ „მიდლსბროსთან" დამარცხდა მშობლიურ კედლებში, იმის შემდეგ აღარ წაუგია. „იუნაიტედმა" მახვილგონივრული კომბინაციებით მოქანცა მეტოქე, ვეტერანი ტედი შერინგემი კი კვლავაც საუცხოოდ ირჯებოდა. „ტოტენჰემს" ტრადიციულად სოლ კემპბელი კაპიტნობდა, რომელიც სეზონის ბოლოს ბოსმანური წესით ალბათ „ოლდ ტრეფორდის" გუნდში გადავა.

კვირას კი „ჩელსიმ" მეორე მანჩესტერულ გუნდს, „სიტის" უმასპინძლა. კლაუდიო რანიერის მიერ წამოწყებული პერესტროიკა „ჩელსის" ცხრილის ქვედა ნაწილში გვაძებნინებს, თუმცა „სიტიც" იქავეა გამაგრებული და ამ ვითარებაში ეგებ შეხვედრის შედეგი ლონდონელთათვის სათუო ყოფილიყო, მაგრამ მოთამაშეთა კლასს ხომ თავისი გააქვს. „სიტის" არა ჰყავს ჯანფრანკო ძოლა და ჯიმი ჰასელბაინკი, ამიტომაც ამგვარ ბრძოლებში ყოველთვის წაგებული გამოდის. ეს თუ იყო იმის ერთადერთი მიზეზი, რომ პირველ ტაიმში კომფორტულად დაწინაურებულმა „ჩელსიმ" მეორე ნახევარში მიღწეულის შენარჩუნება მოახერხა, თორემ პოლ დიკოვის პირველ საპასუხოს უეჭველად მოჰყვებოდა მეორე და რანიერის თავისტკივილი მერე გენახათ. „სიტის" თავზეხელაებულ შეტევებს კი თავკაცობდა თინეიჯერი შონ რაიტ-ფილიპსი, გერი „არსენალის" დიდი მეგოლის იან რაიტისა. და ...ყმაწვილი შონი ასე განაგრძობს, ალკრავინ იტყვის, რომ ის იანის გერია. არამედ პირიქით, აღნიშნავენ, ეს კაცი შონის მამინაცვალია და ერთ დროს ფეხბურთელი იყოო.

პრემიერლიგის ცხრილი კი ამ ტურის შემდეგ თითქმის არ შეცვლილა — ეს არის, „ვესტ ჰემი" აცოცდა მეექვსე ადგილზე, რახან წამხდარ „მიდლსბროს" აჯობა პაოლო დი კანიოს გოლით.

ჰოდა, „მიდლსბრომაც" მეტი აღარ დააყოვნა და გუშინ ახალ მწვრთნელად ტერი ვენეიბლზი დანიშნა. ძველი, ბრაიან რობსონი, კლუბში მენეჯერად დაიტოვეს.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 16 | 12 | 3 | 1 | 41:10 | 31 | 39 | 8 | 7 | 1 | 0 | 26:4 | 22 | 22 | 8 | 5 | 2 | 1 | 15:6 | 9 | 17 |
| 2 | არსენალი | 16 | 9 | 4 | 3 | 24:13 | 11 | 31 | 8 | 7 | 1 | 0 | 17:4 | 13 | 22 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 9 |
| 3 | ლესტერი | 16 | 8 | 5 | 3 | 17:12 | 5 | 29 | 8 | 4 | 3 | 1 | 10:8 | 2 | 15 | 8 | 4 | 2 | 2 | 7:4 | 3 | 14 |
| 4 | ლივერპული | 16 | 8 | 3 | 5 | 32:23 | 9 | 27 | 8 | 7 | 1 | 0 | 19:6 | 13 | 22 | 8 | 1 | 2 | 5 | 13:17 | -4 | 5 |
| 5 | იფსვიჩი | 16 | 8 | 3 | 5 | 23:17 | 6 | 27 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 12 | 8 | 5 | 0 | 3 | 14:10 | 4 | 15 |
| 6 | ვესტ ჰემი | 16 | 6 | 6 | 4 | 22:17 | 5 | 24 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:8 | 3 | 12 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 2 | 12 |
| 7 | ასტონ ვილა | 15 | 6 | 6 | 3 | 18:13 | 5 | 24 | 7 | 4 | 3 | 0 | 12:4 | 8 | 15 | 8 | 2 | 3 | 3 | 6:9 | -3 | 9 |
| 8 | ნიუკასლი | 16 | 7 | 3 | 6 | 18:16 | 2 | 24 | 8 | 4 | 1 | 3 | 10:8 | 2 | 13 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:8 | 0 | 11 |
| 9 | ტოტენჰემი | 16 | 7 | 2 | 7 | 22:23 | -1 | 23 | 8 | 7 | 1 | 0 | 17:6 | 11 | 22 | 8 | 0 | 1 | 7 | 5:17 | -12 | 1 |
| 10 | სანდერლენდი | 15 | 6 | 5 | 4 | 15:16 | -1 | 23 | 7 | 4 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 15 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 8 |
| 11 | ლიდსი | 15 | 6 | 4 | 5 | 22:22 | 0 | 22 | 8 | 5 | 0 | 3 | 16:12 | 4 | 15 | 7 | 1 | 4 | 2 | 6:10 | -4 | 7 |
| 12 | ევერტონი | 15 | 6 | 3 | 6 | 19:21 | -2 | 21 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 11 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 10 |
| 13 | ჩარლტონი | 16 | 6 | 3 | 7 | 21:24 | -3 | 21 | 8 | 5 | 2 | 1 | 13:4 | 9 | 17 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:20 | -12 | 4 |
| 14 | ჩელსი | 16 | 5 | 5 | 6 | 28:23 | 5 | 20 | 8 | 5 | 2 | 1 | 21:9 | 12 | 17 | 8 | 0 | 3 | 5 | 7:14 | -7 | 3 |
| 15 | საუთჰემპტონი | 16 | 4 | 5 | 7 | 21:28 | -7 | 17 | 8 | 3 | 1 | 4 | 14:15 | -1 | 10 | 8 | 1 | 4 | 3 | 7:13 | -6 | 7 |
| 16 | სიტი | 16 | 4 | 2 | 10 | 18:30 | -12 | 14 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:11 | -1 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:19 | -11 | 7 |
| 17 | დერბი ქაუნთი | 16 | 2 | 7 | 7 | 19:31 | -12 | 13 | 8 | 1 | 5 | 2 | 10:15 | -5 | 8 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:16 | -7 | 5 |
| 18 | ქოვენთრი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:32 | -17 | 12 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:13 | -8 | 5 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:19 | -9 | 7 |
**არა**, თვლას კი არ ვსწავლობთ, უბრალოდ, სწორედ ასე დაემართა შაბათ საღამოს „პარი სენ ჟერმენსა“ და მის მთავარ მწვრთნელ ფილიპ ბერჟეროს: „სედანი“ ტიტულიან მეტოქეს არ შეუშინდა და ხუთი გოლი შეუგდო, ბერჟერო კი მატჩის დამთავრებისთანავე მეხუთე მწვრთნელი შეიქნა, რომელიც წლევანდელი ჩემპიონატისას ფრანგულმა გუნდმა თანამდებობიდან მოხსნა. პსჟ-მდე თავკაცი „ტულუზმა“, „სენტ ეტიენმა“, „მარსელმა“ (ბრაგა ვითომდა თავისი ნებით წავიდა) და „სტრასბურმა“ გაათავისუფლეს.

„სედანი“ შინ საერთოდ ძლიერად თამაშობს (9 მოგება, 2 ფრე), ამ ტურში კი სულ გადაირია. ანგარიში უკვე მატჩის დებიუტში გახსნა კამერუნელმა ლეგიონერმა პიუს ნდიეფიმ. შემდეგ მასპინძლებს უპირატესობა არ დაუთმიათ და ზოზინა პარიზელებს უამრავი ვისატეხიც გაუჩინეს, თუმცა გოლამდე საქმე აღარ მისულა. ტაიმის მიწურულს სედანელები ცოტათი მოეშვნენ და სტუმართაგან ერთადერთმა რიგიანად მოთამაშე ლორან რობერმა საპასუხოც გაიტანა. შესვენების შემდეგ კი ნდიეფმა აიწყვიტა. მან ორწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაუტანა პსჟ-ს და მატჩის ბედიც გადაწყვიტა. დედაქალაქელთა განადგურების მაუწყებელი გოლები კი ყოფილმა მონაკოელმა ნდიეიმ და მიონემ მიითვალეს.

„სავსებით დამსახურებულად ვართ მეორე ადგილზე. ახლა ვეცდებით, საუკეთესო ოთხეულში დავრჩეთ და ევროსაგზურიც მოვიპოვოთ“ — განაცხადა მასპინძელთა დამრიგებელმა ალექს დიუპონმა. პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი კი, აბა, რა ლაპარაკის გუნებაზე უნდა ყოფილიყო, როცა უმუშევარი დარჩა.

მისი ადგილი კი ლუის ფერნანდესმა დაიკავა. „ფერნანდესი ჩვენს წინადადებას დათანხმდა და პსჟ-ს მენეჯერ-მწვრთნელი იქნება. იგი ხვალიდან (ორშაბათი) შეუდგება მუშაობას და, იმედია, ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის გუნდს სათანადოდ მოამზადებს“ — თქვა კვირას ტელეკომპანია TF1-ის გადაცემა „ტელეფუტში“ „პარი სენ ჟერმენის“ აღმასრულებელმა პრეზიდენტმა ლორან პერპერმა.

41 წლის ფერნანდესს წარდგენა არ სჭირდება, მით უმეტეს, რომ 1998 წელს იგი ბილბაოს „ატლეტიკს“ ჩამოუძღვა თბილისში და ქართველმა ფეხბურთის ქომაგებმა საკმაოდ კარგად გაიცნეს. უბრალოდ გეტყვით, რომ იგი 41 წლისაა და აქამდე „კანი“, პსჟ და „ატლეტიკი“ გაუწვრთნია. პარიზში მან თასების თასი (1996 წ), საფრანგეთისა და ლიგის თასები (ორივე 1995 წ) მოიგო, ბილბაოში კი მისი მთავარი წარმატება ჩემპიონთა ლიგაში გასვლა იყო, როცა საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ აჯობა. „ატლეტიკიდან“ იგი რამდენიმე თვის წასულია და აქამდე „გალათასარაი“, მადრიდის „ატლეტიკო“ და „მარსელი“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ამაოდ.

„სედანზე“ წინ კი „ნანტია“, რომელიც ლიდერი გატანილი გოლების უფრო მეტი რაოდენობის გამოა. არადა, ნანტელები ორიოდ თვის წინ მე-15 ადგილზე იყვნენ. თუმცა მას შემდეგ რვა მატჩში ოკეანისპირელებმა 21 ქულა მოაგროვეს და ახლა გამოტოვებულ თამაშში (ბასტიაში) ქულას თუ მაინც გამორჩნენ, ერთპიროვნული ლიდერები გახდებიან. „გენგამთან“ მასპინძლებს საკმაოდ გაუჭირდათ და რომ არა შეხვედრის მიწურულს ერთობ საეჭვო პენალტი, იქნებ ვერც მოეგოთ. თუმცა მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა და ერიკ კარიერმაც ივარგა.

და საერთოდ, მე-19 ტური ერთობ არასტუმართმოყვარული გამოდგა. მხოლოდ „ლიონმა“ გააზერხა ფრე, დანარჩენ მატჩებში კი მასპინძლებმა გაიმარჯვეს.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 18 | 10 | 3 | 5 | 32:21 | 33 |
| სედანი | 19 | 9 | 6 | 4 | 30:19 | 33 |
| ბორდო | 19 | 8 | 7 | 4 | 25:15 | 31 |
| ლანსი | 19 | 8 | 6 | 5 | 23:18 | 30 |
| ბასტია | 18 | 8 | 4 | 6 | 21:18 | 28 |
| გენგამი | 19 | 8 | 4 | 7 | 21:22 | 28 |
| ლილი | 18 | 7 | 6 | 5 | 18:14 | 27 |
| ტრუა | 19 | 7 | 5 | 7 | 22:26 | 26 |
| ლიონი | 18 | 5 | 10 | 3 | 22:16 | 25 |
| პსჟ | 18 | 7 | 4 | 7 | 29:28 | 25 |
| რენი | 19 | 7 | 4 | 8 | 19:18 | 25 |
| მონაკო | 19 | 7 | 4 | 8 | 26:26 | 25 |
| ოსერი | 19 | 7 | 4 | 8 | 19:22 | 25 |
| სენტ ეტიენი | 19 | 6 | 6 | 7 | 26:27 | 24 |
| მარსელი | 19 | 6 | 3 | 10 | 19:25 | 21 |
| მეცი | 19 | 5 | 6 | 8 | 15:23 | 21 |
| სტრასბური | 19 | 4 | 4 | 11 | 15:38 | 16 |
| ტულუზი | 18 | 3 | 6 | 9 | 16:22 | 15 |

### მეორე დივიზიონი

22-ე ტური. ლე მანი — ანჟერი 2:1; მარტიგი — კანი 0:1; კრეტეი — გენიონი 1:2; კაენი — ლავალი 0:1; აიაჩო — სოშო 0:0; ნიცა — ვასკეალი 1:0; ნიმი — ლე ავრი 2:2. შატორუ — ლორიანი და ბოვე — ნანსი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 22 | 12 | 7 | 3 | 39:15 | 43 |
| ლორიანი | 21 | 12 | 7 | 2 | 32:17 | 43 |
| მონპელიე | 21 | 11 | 8 | 2 | 32:17 | 41 |
| ნიორი | 21 | 11 | 6 | 4 | 36:19 | 39 |
| ლავალი | 22 | 11 | 5 | 6 | 25:17 | 38 |
| ნანსი | 21 | 9 | 6 | 6 | 25:14 | 33 |
| შატორუ | 21 | 8 | 8 | 5 | 27:21 | 32 |
| ლე ავრი | 22 | 6 | 11 | 5 | 28:24 | 29 |
| ლე მანი | 22 | 6 | 10 | 6 | 25:24 | 28 |
| კრეტეი | 22 | 7 | 7 | 8 | 22:23 | 28 |
| ნიმი | 22 | 7 | 7 | 8 | 29:32 | 28 |
| გენიონი | 22 | 7 | 7 | 8 | 21:28 | 28 |
| კაენი | 22 | 6 | 7 | 9 | 21:31 | 25 |
| ნიცა | 22 | 7 | 3 | 12 | 21:34 | 24 |
| მარტიგი | 22 | 4 | 11 | 7 | 20:29 | 23 |
| ვასკეალი | 22 | 5 | 7 | 10 | 19:24 | 22 |
| კანი | 22 | 5 | 6 | 11 | 26:38 | 21 |
| აიაჩო | 22 | 5 | 5 | 12 | 14:27 | 20 |
| ბოვე | 21 | 3 | 10 | 8 | 17:26 | 19 |
| ანჟერი | 22 | 2 | 8 | 12 | 19:38 | 14 |



ჟუმინ ლუის ფერნანდესმა პარიზში დაბრუნება პირველი ვარჯიშით აღნიშნა



დანდი — სენტ ჯონსტონი 1:1. მასპინძელთა გოლის გამტანი ხუან სარა (მარჯვნივ) გიორგი ნემსაძეს ემადლიერება

# მიზანი, რომელიც მართლაც მეტია

## შოტლანდია

XIX ტური

**დანდი 1:1 სენტ ჯონსტონი**

1:0 სარა (13), 1:1 უილკი (90ს.კ.)

დანდი: როკატი, სმიტი, ტვიდი (უილკი 33), დე მარკი, მაროკო, არტერო (კარანსა 67), რაე, ნემსაძე, ბონეტი, სარა (მილნი 89), კანიჯა

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

7 014 მაყურებელი

**ჰარტსი 0:1 რეინჯერსი**

0:1 ალბერტცი (12პ)

**მოზერუელი 1:3 ჰიბერნიანი**

0:1 ზიტელი (38), 0:2 ტოუნსლი (48ს.კ.), 0:3 ზიტელი (54), 1:3 ელიოტი (83)

**აბერდინი 1:2 კილმარნოკი**

0:1 მაკლარენი (38), 0:2 ფაულერი (39), 1:2 სტავრუმი (39)

**სელტიკი 3:1 დანფერმლაინი**

0:1 დეარი (1), 1:1 მორავჩიკი (7), 2:1 ლარსონი (20), 3:1 ჯონსონი (80)

**სენტ მირენი — დანდი იუნ.**

გადაიდო

**დედაქალაქ** ედინბურგში ჩასულ „რეინჯერსს“ იქაური „ჰართსი“ ახალი მწვრთნელით, კრეიგ ლივაინით დაუხვდა და დიდი ბრძოლაც გაუმართა. არადა, გლაზგოელებს თანაქალაქელ „სელტიკთან“ 13-ქულიანი სხვაობის შესანარჩუნებლად (ამან შაბათს იმარჯვა), მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. მოიგო კიდეც დიკ ადვოკაატის გუნდმა, თუმცა ერთი კინკილა პენალტისა და დიდი ოფლისღვრის წყალობით — გადამწყვეტი გოლი, ისევე როგორც შუა კვირაში გერმანულ „კაიზერსლაუტერნთან“, გერმანელმა იორგ ალბერტცმა შეაგდო. ეს მე-12 წუთზევე მოხდა, როცა ექს-რეინჯერსელმა გორდან პეტრიჩმა საკუთარ საჯარიმოში ბარი ფერგიუსონი წააქცია, თერთმეტმეტრიანიდან კი ალბერტცმა ფინელი მეკარე ანტი ნიემი შეაცდინა.

„ჰარტსი“ არ გატყდა, მაგრამ სტუმართა კიდევ ერთი გერმანელი, მეკარე შტეფან კლოსი იდგა კლდესავით და ანგარიში რომ არ გათანაბრდა, სწორედ მისი დამსახურებაა. მართალია, თავის პოლონელ მოგვარესთან შედარებით (ამან სერიალში მთლად ომი მოიგო), გლაზგოელის გარჯა შეიძლება სათქმელადაც არ ღირდეს, მაგრამ მის მიერ მოგერიებული ორი ბურთი მაინც აღსანიშნავია: კლოსმა ჯერ კიდევ ერთი ყოფილი რეინჯერსელი გომილ [illegible] რის დარტყმა გააუვნებელყო, წამატებულ წუთებში კი ენდი კირკის თაურიც უკუაგდო. საინტერესოა, რომ ამ დროს სტუმრები მოედანზე ცხრანილა იყვნენ — 5 წუთის ინტერვალით მსაჯმა ამერიკელი კლაუდიო რეინა და ჰოლანდიელი არტურ ნუმანი გააძევა.

„დღეს იღბალი მართლაც ჩვენს მხარეს იყო — თქვა შტეფან კლოსმა — თუმცა მას შემდეგ, რაც მეტოქეზე ორი კაცით ნაკლებნი დავრჩით, უკეთესად ავთამაშდით. რაც მთავარია, ჩვენ ძალებში დავრწმუნდით და ვფიქრობ, აწი არც ჩემპიონობაზე ფიქრია არარეალური“.

„სელტიკმა“, როგორც ზემოთ ვთქვით, წინა დღით მოიპოვა დაგეგმილი სამი ქულა, თუმცაკი მომხვდურ „დანფერმლაინთან“ 55-ე წამზევე აგებდა. მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — ჩეხმა მორავჩიკმა გაათანაბრა, შვედმა ლარსონმა კი წინ გაიყვანა მასპინძლები. მოგვიანებით, 79-ე წუთზე, სქოთური პრემიერლიგის უპირველეს ბომბარდირს კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ პენალტი ააცილა. „სელტიკს“ დიდი ხანი არ უვიშვიშია და წუთში ყოფილმა ასტონ ვილელმა ტომი ჯონსონმა მესამე შეაგდო.

იმავ დღეს, შაბათს, არ ჩატარდა „სენტ მირენისა“ და „დანდი იუნაიტედის“ მატჩი. შედეგად, ამ გუნდების მიერ გატანილ ბურთთა რიცხვს არაფერი მიმატებია, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეისთვის ჰენრიკ ლარსონს ჩემპიონატში იმდენივე გოლი აქვს გატანილი (23), რამდენიც ამ ორ აუტსაიდერს... ერთად აღებულს.

და ბოლოს, ტრადიციულად, „დანდიზე“. კარგი ამბავი ისაა, რომ გიორგი ნემსაძემ მცირე ტრავმა მოიშუშა და გუნდს დაუბრუნდა. იგებდნენ კიდეც მასპინძლები, მაგრამ მეხუთე წამატებულ წუთზე სტუმრებს დანდელი ლი უილკი დაეხმარა და თავისი გუნდი ქულას დააჯერა.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 19 | 15 | 3 | 1 | 46:20 | 48 |
| ჰიბერნიანი | 19 | 12 | 5 | 2 | 34:13 | 41 |
| კილმარნოკი | 19 | 11 | 3 | 5 | 25:18 | 36 |
| რეინჯერსი | 17 | 11 | 2 | 4 | 37:21 | 35 |
| ჰართსი | 19 | 7 | 4 | 8 | 28:30 | 25 |
| სტ. ჯონსტონი | 19 | 6 | 7 | 6 | 19:25 | 25 |
| დანდი | 18 | 6 | 5 | 7 | 25:19 | 23 |
| მოზერუელი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:29 | 22 |
| დანფერმლაინი | 19 | 5 | 5 | 9 | 16:25 | 20 |
| აბერდინი | 18 | 3 | 8 | 7 | 18:25 | 17 |
| სენტ მირენი | 18 | 3 | 2 | 13 | 12:35 | 11 |
| დანდი იუნ. | 18 | 1 | 2 | 15 | 11:36 | 5 |

## თურქეთი

მე-15 ტური. ანკარაგიუჯიუ — გალათასარაი 1:3; ტრაბზონი — გაზიანთეფი 3:1; იოზგათი — ისთანბული 3:0; ანთალია — ქოჯაელი 2:2; ბეშიქთაში — გენჩლერბირლიგი 0:3; იეთფა — დენიზლი 1:1; რიზე — სამსუნი 0:1; ადანა — ბურსა 1:1; ფენერბაჰჩე — ერზურუმი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 15 | 11 | 1 | 3 | 35:22 | 34 |
| გალათასარაი | 14 | 10 | 2 | 2 | 35:11 | 32 |
| ფენერბაჰჩე | 15 | 10 | 2 | 3 | 37:19 | 32 |
| გაზიანთეფი | 15 | 8 | 5 | 2 | 30:18 | 29 |
| ტრაბზონი | 15 | 8 | 4 | 3 | 32:19 | 28 |
| გენჩლერბირ. | 15 | 8 | 3 | 4 | 20:14 | 27 |
| სამსუნი | 15 | 7 | 4 | 4 | 24:19 | 25 |
| ისთანბული | 15 | 6 | 4 | 5 | 20:21 | 22 |
| იოზგათი | 15 | 5 | 5 | 5 | 22:18 | 20 |
| ანთალია | 14 | 5 | 5 | 4 | 20:21 | 20 |
| ანკარაგიუჯიუ | 15 | 5 | 5 | 5 | 22:26 | 20 |
| დენიზლი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:27 | 17 |
| რიზე | 15 | 3 | 4 | 8 | 14:18 | 13 |
| ბურსა | 15 | 3 | 4 | 8 | 16:32 | 13 |
| ადანა | 15 | 2 | 6 | 7 | 20:27 | 12 |
| ერზურუმი | 15 | 3 | 2 | 10 | 18:35 | 11 |
| ქოჯაელი | 15 | 0 | 6 | 9 | 12:28 | 6 |
| იეთფა | 15 | 0 | 5 | 10 | 16:36 | 5 |

## ავსტრია

22-ე ტური. ადმირა — ლინცერი 1:1; რაპიდი — ბრეგენცი 5:0; რიდი — ავსტრია 0:0; ზალცბურგი — შტურმი 0:1; გრაცერი — ტიროლი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 22 | 12 | 6 | 4 | 44:25 | 42 |
| ტიროლი | 22 | 12 | 5 | 5 | 41:20 | 41 |
| ავსტრია | 22 | 10 | 6 | 6 | 33:20 | 36 |
| გრაცერი | 22 | 10 | 4 | 8 | 32:27 | 34 |
| შტურმი | 22 | 10 | 3 | 9 | 38:30 | 33 |
| ზალცბურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 32:27 | 33 |
| რიდი | 22 | 8 | 6 | 8 | 35:32 | 30 |
| ბრეგენცი | 22 | 6 | 4 | 12 | 27:44 | 22 |
| ადმირა | 22 | 4 | 5 | 13 | 18:51 | 17 |
| ლინცერი | 22 | 3 | 7 | 12 | 23:47 | 16 |

## პორტუგალია

XIII ტური

**ბენფიკა 3:0 სპორტინგი**

1:0 ვან ჰოიდონკი (48), 2:0, 3:0 ჟოაო ტომასი (79, 83)

**კამპომაიორენსე 2:2 მარიტიმუ**

1:0 დუკა (42), 1:1 ჟოელ სანტუში (44), 1:2 ლაგორიუ (69პ), 2:2 დუკა (74)

**ამადორა 2:1 ჟილ ვისენტე**

1:0 კუნედი (34პ), 1:1 ბეკა (76), 2:1 გაუჩო გომეში (83)

**ფერეირა 1:1 ფარენსე**

0:1 ნადერი (60), 1:1 გასპარი (61)

**ლეირია 2:1 სალგეირუში**

0:1 კლაუდიუ (7), 1:1 დუარტე (29), 2:1 დერლეი (79)

**ბეირა მარი 1:0 ავეში**

1:0 რუი მანუელი (23)

**ბრაგა 2:1 პორტუ**

1:0 რიკა (18), 2:0 ბაროსო (24), 2:1 ქაკურდინია (70პ)

**ბელენენსეში 1:0 გიმარაეში**

1:0 მარკუ (44)

**ბოავიშტა 5:1 ალვერკა**

1:0 ლიტუში (4), 2:0 ელტონ სილვა (16), 3:0, 4:0 დუდა (20, 32), 5:0 ბუტი (79), 5:1 ანდერსონი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 13 | 10 | 1 | 2 | 31:9 | 31 |
| ბრაგა | 13 | 8 | 3 | 2 | 23:15 | 27 |
| ბოავიშტა | 13 | 7 | 5 | 1 | 27:11 | 26 |
| სპორტინგი | 13 | 8 | 2 | 3 | 23:13 | 26 |
| ბელენენსეში | 13 | 7 | 4 | 2 | 16:10 | 25 |
| ბენფიკა | 13 | 7 | 3 | 3 | 21:12 | 24 |
| სალგეირუში | 13 | 7 | 0 | 6 | 16:18 | 21 |
| ფერეირა | 13 | 5 | 4 | 4 | 20:13 | 19 |
| ფარენსე | 13 | 5 | 4 | 4 | 17:15 | 19 |
| მარიტიმუ | 13 | 5 | 3 | 5 | 14:12 | 18 |
| ლეირია | 13 | 4 | 5 | 4 | 13:20 | 17 |
| ბეირა მარი | 13 | 4 | 3 | 6 | 13:19 | 15 |
| გიმარაეში | 13 | 3 | 3 | 7 | 17:24 | 12 |
| ალვერკა | 13 | 3 | 3 | 7 | 15:26 | 12 |
| კამპომაიორენსე | 13 | 1 | 7 | 5 | 10:22 | 10 |
| ავეში | 13 | 2 | 2 | 9 | 14:25 | 8 |
| ამადორა | 13 | 2 | 1 | 10 | 11:25 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 13 | 1 | 3 | 9 | 8:20 | 6 |

## საბერძნეთი

მე-9 ტური. პანიონიოსი — აეკ 2:0; ოლიმპიაკოსი — კალამატა 5:2; ქსანტი — პაოკ 0:2; იანინა — პანაჰაიკი 1:1; არისი — იონიკოსი 0:0; ეთნიკოსი — ოფი 1:0; ირაკლისი — პანათინაიკოსი 0:1; ათინაიკოსი — პანილიაკოსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 9 | 7 | 2 | 0 | 31:9 | 23 |
| პანათინაიკოსი | 9 | 5 | 4 | 0 | 14:5 | 19 |
| ირაკლისი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:6 | 17 |
| ეთნიკოსი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:16 | 17 |
| აეკ | 9 | 5 | 1 | 3 | 17:14 | 16 |
| ქსანტი | 9 | 4 | 3 | 2 | 8:8 | 15 |
| არისი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:8 | 14 |
| იონიკოსი | 9 | 3 | 4 | 2 | 14:12 | 13 |
| პაოკ | 9 | 3 | 4 | 2 | 15:14 | 13 |
| პანიონიოსი | 9 | 2 | 5 | 2 | 11:12 | 11 |
| პანაჰაიკი | 9 | 2 | 2 | 5 | 12:18 | 8 |
| ათინაიკოსი | 9 | 2 | 1 | 6 | 11:20 | 7 |
| იანინა | 9 | 1 | 3 | 5 | 12:17 | 6 |
| კალამატა | 9 | 1 | 3 | 5 | 13:20 | 6 |
| ოფი | 9 | 1 | 2 | 6 | 9:17 | 5 |
| პანილიაკოსი | 9 | 0 | 4 | 5 | 4:14 | 4 |

## ჩეხეთი

გადადებული მატჩები: სლავია — სპარტა 1:3; ბლშანი — ბრნო 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 16 | 13 | 1 | 2 | 42:14 | 40 |
| ტეპლიცე | 15 | 8 | 3 | 4 | 27:16 | 27 |
| სიგმა | 15 | 7 | 5 | 3 | 26:15 | 26 |
| პრჟიბრამი | 16 | 7 | 4 | 5 | 24:18 | 25 |
| სინოტი | 16 | 6 | 7 | 3 | 24:18 | 25 |
| ჟიჟკოვი | 16 | 7 | 4 | 5 | 25:24 | 25 |
| ლიბერეცი | 16 | 7 | 3 | 6 | 24:22 | 24 |
| სლავია | 14 | 5 | 5 | 4 | 17:16 | 20 |
| ბოჰემიანსი | 16 | 4 | 7 | 5 | 20:20 | 19 |
| იაბლონეცი | 16 | 4 | 7 | 5 | 15:21 | 19 |
| ბლშანი | 16 | 4 | 5 | 7 | 16:19 | 17 |
| ბრნო | 16 | 5 | 2 | 9 | 16:21 | 17 |
| დრნოვიცე | 16 | 4 | 5 | 7 | 14:19 | 17 |
| ბუდეიოვიცე | 16 | 3 | 6 | 7 | 19:31 | 15 |
| ბანიკი | 16 | 3 | 6 | 7 | 14:28 | 15 |
| პლზენი | 16 | 1 | 6 | 9 | 13:34 | 9 |

## დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე ტური

# რომაელებო, გააბრაზეთ რადებე


REUTERS მადრიდიდან

„ანდერლეხტის“ ჩეხი ფორვარდი იან კოლერი მადრიდის „რეალთან“ შესაბმელად „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ემზადება

**გეხსომებათ,** ლიდსელთა მწვრთნელი დევიდ ოლირი სეზონის დაწყებიდან წუწუნებდა, ნახევარი გუნდი დამტვრეული მყავსო, მაგრამ მუდამ ასე ხომ არ იქნებოდა? პრემიერლიგის ბოლო ტურში „ლესტერის“ წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშა ავსტრალიელმა ჰარი კიუელმა, მომჯობინდა ჯეისონ უილკოქსიც. ახლა ოლირი ამბობს: „ლაციოსთან“ მატჩი ბევრ რამეს გაარკვევს, თუმცა ცდება ის, ვინც მარცხს გვიწინასწარმეტყველებს. დიახ, ჩვენ წავაგეთ „რეალთან“, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ რომში ბევრად უფრო ძლიერი შემადგენლობა გვეყოლება.“

თუ ტრავმამოშუშებულებზე მიდგა საქმე, ერთი ასეთი ფეხბურთელი „ლაციოსაც“ ჰყავს — ხუან ვერონი. სამიოდე კვირის წინ დაშავებული არგენტინელი ახლა კბილებს ილესავს, თავს ჩინებულად ვგრძნობ, ტკივილმა სრულად გამიარა და ბრძოლისთვის მზად ვარო.

მიუხედავად ვერონის დაბრუნებისა, სვენ გორან ერიკსონს პრობლემები მაინც აქვს. დეიან სტანკოვიჩს დისკვალიფიკაცია არ აძლევს თამაშის საშუალებას, ხოლო ანჯელო პერუცი შაბათს, „რეჯინასთან“ მატჩში დაშავდა და ლუკა მარკეჯანიმ შეცვალა. დღევანდელი შეხვედრისთვის პერუცი თითქოს მომჯობინდა, მაგრამ კარის დარაჯის ვინაობა მაინც დაუზუსტებელია.

ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა სინიშა მიხაილოვიჩმა, მაგრამ შეიძლება იუგოსლაველს ამჯერად დაჭიმულმა მყესმა შეუშალოს ხელი. მის შესაცვლელად ფერნანდო კოუტუ და ფრანჩესკო კოლონეზე ემზადებიან, სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის მეტი შანსი კი ამ უკანასკნელს აქვს.

ერთი საინტერესო საკითხიც. კარგად ვიცით, როგორი დამოკიდებულებაც აქვთ ლაციოელ ქომაგებს შავკანიანებთან, „ლიდსის“ კაპიტანი კი სამხრეთაფრიკელი ლუკას რადებე გახლავთ, რომელმაც გასულ კვირაში ფიფასგან ფეირ პლეის პრიზი მიიღო. რადებე ამბობს: „რომაელთა რასისტული შემახილები ვერაფერს დამაკლებს. ამგვარი რამ ინგლისშიც არაერთხელ მომხდარა და მიჩვეული ვარ. ისე, მინდა გავაფრთხილო, შეურაცხმყოფელი სიტყვები რომ მესმის, მეტი მონდომებით ვთამაშობ და მიფრთხილდნენ.“

„არსენალი“ — „ბაიერნის“ მატჩზეც ვთქვათ. არსენ ვენგერს ტონი ადამსისთვის უთხოვია, აუცილებლად უნდა ითამაშოო. საკმაოდ უცნაური თხოვნაა და განმარტებას საჭიროებს. გასულ უქმეებზე „საუთჰემპტონთან“ მატჩში დაშავდა ლონდონელთა ბრაზილიელი სილვინიო და მისი „ჰაიბერიზე“ გამოჩენა სათუოა. რეი პარლოუ დისკვალიფიცირებულია და ამ ორ დანაკარგს კაპიტნის ტრავმაც დაერთო — ადამის ვარჯიშისას დენის ბერხკამპს შეეჯახა. არადა, „არსენალს“ დამარცხების უფლება არა აქვს. მოსკოვური ფიასკოს შემდეგ მეორე წაგება შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს. მაგრამ მეტოქეც რომ არაა ხელწამოსაკრავი? აი, სწორედ ამიტომ სთხოვა ვენგერმა ადამსს, 90 წუთს ტკივილი უნდა დაივიწყოო.

ინგლისელთა საბრძოლო განწყობის თაობაზე გერმანელებმაც უწყიან. „ივნინგ სტანდარდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ოლივერ კანი ამბობს: „ჩვენთვის ლონდონში ფრე სასურველი შედეგია, რადგან ჯგუფში პირველი თამაში მოგებული გვაქვს, „არსენალს“ კი უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს და მხოლოდ მოგებისთვის ითამაშებს.“

გერმანელებს დღეს არ ეყოლებათ კარსტენ იანკერი და ბიქსენტ ლიზარაზუ. იანკერმა „ლევერკუზენთან“ მატჩში ზურგი იტკინა და გუნდს ლონდონში არც გაჰყოლია, ლიზარაზუმ კი ვარჯიშისას კუნთი დაიშავა და დაახლოებით ათი დღე გაუცდება.

გერმანელი ქომაგები წუხან, „ბაიერნმა“ ისევე თუ ითამაშა, როგორც „ლიონთან“, აუცილებლად დამარცხდებაო. ამაზე ოტმარ ჰიცფელდი პასუხობს: „ლიონს“ და „არსენალს“ ნუ შევადარებთ. ფრანგებთან ის ფეხბურთი ვაჩვენეთ, რაც მოსაგებად საკმარისი იყო. „არსენალი“ სხვა საქმეა — ის დიდი გუნდია და ჩვენც შესაბამისად ვითამაშებთ.“

**გიორგი დარჯანია**

## ჰოლანდია

### XVI ტური

**ნაიმეგენი 1:0 ტვენტე**

1:0 იანსენი (45)

**აიაქსი 6:2 ჰერენვენი**

1:0 ვამბერტო (3), 1:1 დ. დე ნოიერი (14), 2:1 მახლასი (19), 3:1 გალაშეკი (41), 3:2 ლურლინგი (63), 4:2 ვან დერ გუნი (70), 5:2 არველაძე (75), 6:2 ვან დერ გუნი (81)

აიაქსი: გრიმი, დე კლერი, პასანენი, ბერგდოლმო, კანუ, ვან დერ ვაარტი, ვან დერ გუნი, გალაშეკი, შ. არველაძე, მახლასი, ვამბერტო (ვინტერი 76)

მწვრთნელი: კო ადრიანსე

38 300 მაყურებელი

**ვალვაიკი 0:0 გრონინგენი**

**ტილბურგი 1:1 ალკმარი**

1:0 ბომბარდა (42), 1:1 დიბი (70)

**სიტარდი 0:1 უტრეხტი**

0:1 გლუშჩევიჩი (86)

**სპარტა 2:1 გრააფსხაპი**

0:1 ტურპინი (15), 1:1 ელხატაბი (16), 2:1 მარილია (30)

**როდა 1:2 პსვ ეინდჰოვენი**

0:1, 0:2 კეჟმანი (69, 80), 1:2 ზაფარინი (81)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ფაბერი, ნიკოლოვი, ჰაიანცე ვან ბომელი, ვოგელი (ლუსიუსი 71), რამზი (ვან დერ დუილენი 81), კეჟმანი, კოლკა, რომედალი (დე იონგი 65)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

13 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 13 | 11 | 1 | 1 | 32:12 | 34 |
| პსვ | 14 | 10 | 3 | 1 | 25:10 | 33 |
| ვიტესი | 14 | 10 | 2 | 2 | 32:20 | 32 |
| აიაქსი | 16 | 9 | 3 | 4 | 39:20 | 30 |
| ნაიმეგენი | 15 | 6 | 8 | 1 | 24:15 | 26 |
| როდა | 15 | 7 | 3 | 5 | 31:24 | 24 |
| ვალვაიკი | 15 | 6 | 5 | 4 | 15:13 | 23 |
| ალკმარი | 15 | 6 | 4 | 5 | 26:24 | 22 |
| ტვენტე | 15 | 5 | 5 | 5 | 25:24 | 20 |
| ბრედა | 14 | 6 | 2 | 6 | 21:21 | 20 |
| უტრეხტი | 15 | 5 | 3 | 7 | 24:29 | 18 |
| ტილბურგი | 14 | 3 | 6 | 5 | 20:21 | 15 |
| ჰერენვენი | 14 | 3 | 6 | 5 | 16:25 | 15 |
| გრააფსხაპი | 16 | 4 | 1 | 11 | 24:31 | 13 |
| სპარტა | 15 | 3 | 4 | 8 | 21:31 | 13 |
| გრონინგენი | 15 | 3 | 4 | 8 | 18:28 | 13 |
| როზენდალი | 15 | 3 | 0 | 12 | 21:40 | 9 |
| სიტარდი | 14 | 0 | 4 | 10 | 7:33 | 4 |

## ბელგია

### XV ტური

**ჰარელბეკე 0:4 ვესტერლო**

0:1 დელენი (32), 0:2, 0:3 მიტროვიჩი (69, 75), 0:4 ტოლენი (85)

**ბევერენი 0:0 სენტ ტრუიდენი**

**შარლერუა 0:0 აალსტი**

აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰოუვეგენი, ფილიპოვიჩი, ტემერმანი, ვან დენ ბოში, რეიჯელი, კესტენსი, აელბრეხტი, დიმბალა, ჯაკობსი, როჟერიო

მწვრთნელი: ჟამ დე კონინკი

**ანტვერპენი 3:1 მეხელენი**

1:0 სეული (57), 2:0 გოტსი (70), 2:1 ვან ჰუტი (73), 3:1 გოტსი (88)

**ლიერსი 1:1 ბეერსხოტი**

1:0 კავენსი (20), 1:1 დეგრიზი (51)

ლიერსი: დემანი, ლაერემანსი, ჰოგკენსი, დაემსი (ბიუსგემსი 75), შეყილაძე, ლეენი, სნოექსი, სომერსი (ჰოორტერსი 66), კლეისი, ვან დოორენი (სპიტერი 59), კავენსი

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

**გენკი 1:0 ლუვიე**

1:0 სკოკო (37)

**გენტი 2:1 სტანდარდი**

0:1 ჩიპი (21პ.), 1:1 ჰოსამი (75), 2:1 რუნიე (90პ.)

**მუსკრონი 2:1 ლოკერენი**

0:1 მბაიო (34), 1:1, 2:1 მარჩინ ჟევლაკოვი (47, 75)

**ანდერლეხტი 2:0 ბრიუგე**

1:0 რადძინსკი (20), 2:0 გოორი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 15 | 14 | 0 | 1 | 53:10 | 42 |
| ანდერლეხტი | 15 | 12 | 3 | 0 | 45:13 | 39 |
| სტანდარდი | 15 | 9 | 3 | 3 | 38:18 | 30 |
| მუსკრონი | 15 | 9 | 1 | 5 | 34:18 | 28 |
| გენტი | 15 | 8 | 3 | 4 | 30:24 | 27 |
| ვესტერლო | 15 | 8 | 3 | 4 | 27:22 | 27 |
| შარლერუა | 15 | 8 | 1 | 6 | 25:29 | 25 |
| ლიერსი | 15 | 7 | 3 | 5 | 26:22 | 24 |
| ბეერსხოტი | 15 | 6 | 1 | 8 | 22:23 | 19 |
| გენკი | 15 | 4 | 6 | 5 | 17:16 | 18 |
| ლოკერენი | 15 | 4 | 6 | 5 | 15:23 | 18 |
| ბევერენი | 15 | 4 | 5 | 6 | 12:27 | 17 |
| ანტვერპენი | 15 | 5 | 1 | 9 | 16:24 | 16 |
| სტ. ტრუიდენი | 15 | 3 | 4 | 8 | 16:26 | 13 |
| აალსტი | 15 | 3 | 4 | 8 | 17:34 | 13 |
| მეხელენი | 15 | 2 | 3 | 10 | 20:35 | 9 |
| ლუვიე | 15 | 1 | 4 | 10 | 11:30 | 7 |
| ჰარელბეკე | 15 | 2 | 1 | 12 | 19:49 | 7 |

## შვეიცარია

### XXI ტური

**ციურიხი 2:0 ბაზელი**

1:0 ყაველაშვილი (33პ), 2:0 ჯამარაული (68)

ციურიხი: პასკოლო, ანდრეული, ფიშერი, კვენტინი, პალასი, ჰელინგა, ჰელდმანი (აკალე 86), ჯანინი, ჯამარაული, ყაველაშვილი (შასო 79), ბიულმანი

**არაუ 1:3 გრასჰოპერი**

0:1 შაპუიზა (29), 1:1 დეგენი (46), 1:2 იაკინი (49), 1:3 შაპუიზა (52პ)

არაუ: ბენიტო, ბადერი, ეგიმანი, პავლიჩევიჩი, ფიხტერი, ბალდასარი (შენვერი 85), ანჯიჩი, სკრეპიჩაკი (იოდიჩი 82), ვიდერკერი, ხომერიკი, სალვო (დეგენი 30)

**სიონი 3:0 ლუცერნი**

1:0 რენუ (37), 2:0 გრიხტინგი (58), 3:0 რენუ (82)

ლუგანო 1:0 სერვეტი

1:0 ბასტიდა (60პ)

**სენტ გალენი 7:0 ივერდონი**

1:0 განე (18), 2:0 ამოა (23), 3:0, 4:0, 5:0, 6:0 განე (55, 56, 73, 78), 7:0 ზელვეგერი (87)

**ლოზანა 2:0 ქსამაქსი**

1:0 კუცბა (50), 2:0 მაცონი (61)

**ყველაფერი** გაირკვა. შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო ტურმა მნიშვნელობა დაკარგა. სიმართლე ითქვას, ამ შაბათ-კვირამდეც ბევრი რამ იყო ცხადი. ერთი ის იყო საინტერესო, რომელი „ქართული“ გუნდი მოხვდებოდა საუკეთესო რვას შორის. ეს ამბავი კვირას გაირკვა. მიხეილ ყაველაშვილისა და გოჩა ჯამარაულის „ციურიხმა“ მოიგო, ლევან ხომერიკის „არაუ“ დამარცხდა და მერვე ადგილიც ციურიხელებმა გაინაღდეს.

ამ ამბავში ძალიან დიდია ჯამარაულისა და ყაველაშვილის დამსახურება, ზოგიერთ მატჩში მათი ჩინებული თამაში რომ არა, გაზაფხულზე მათ გუნდს ეგებ უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად ებრძოლა. „ბაზელთანაც“ ქართველთა კარგი გარჯის წყალობით მოიგო „ციურიხმა“.

მასპინძლებს უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ, მათაც თავიდანვე შეუტიეს, რომლის შედეგიც 33-ე წუთზე მოიმკეს — საჯარიმოში შეჭრილ ყაველაშვილს კანტალუპი ლამის ზედ ჩამოეკიდა, პენალტის დარტყმა თავად ქართველმა ითავა და შვეიცარიის უმაღლეს დივიზიონში თავისი 30-ე გოლი გაიტანა. ამას რამდენიმე გაფუჭებული მომენტი და ჯამარაულის გოლი მოჰყვა, რომელიც გოჩამ ბრწყინვალე გარღვევის შემდეგ გაიტანა. ამ მატჩში ჩვენთვის საინტერესო კიდევ ის იყო, რომ მასპინძელთა თავკაცმა ჟილბერტ გრესმა ჯამარაული თავდამსხმელად ათამაშა.

„ფინალურ ეტაპზე გასვლამ გამახარა, მაგრამ ყველაზე მეტად ის არის სასიამოვნო, რომ „ჰარდთურმზე“ ჩემი გუნდის ისეთი თამაში ვიხილე, როგორიც მინდოდა. დღეს საერთოდ არ მინერვიულია“ — განაცხადა ციურიხელთა პრეზიდენტმა სვენ ჰოტცმა.

სანამ „ციურიხი“ „ბაზელს“ უგებდა, „არაუ“ შინ „კალიებთან“ აგებდა, რაც მთლიანად ექსდორტმუნდელი შტეფან შაპუიზას დამსახურება გახლდათ. შვეიცარიის ნაკრების თავდამსხმელმა დუბლიც შეასრულა და ჰაკან იაკინსაც გაატანინა. „არაუმ“ კი ამას მხოლოდ დეგენის გოლით უპასუხა. 17 წლის დეგენმა რომ შეაგდო, მეორე ნახევარი სულ 27 წამის დაწყებული იყო, მაგრამ „გრასჰოპერი“ ისევ მალე დაწინაურდა. ხომერიკმა მინდორზე 90 წუთი კი გაატარა, მაგრამ თავისიანებს ვერაფრით შეეწია.

ვერ გეტყვით, რა აწყენინა „ივერდონმა“ „სენტ გალენს“, უფრო ზუსტად, მის თავდამსხმელ განეს. მან ივერდონელებს ხუთი გოლი ხომ გაუტანა, ერთხელ ძელსაც გ...რტყა და ერთხელ მეკარესთან პირისპირ ასულმაც ააცილა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 21 | 12 | 5 | 4 | 32:15 | 41 |
| სენტ გალენი | 21 | 11 | 7 | 3 | 42:15 | 40 |
| გრასჰოპერი | 21 | 11 | 3 | 7 | 44:23 | 36 |
| ბაზელი | 21 | 10 | 4 | 7 | 41:33 | 34 |
| ლოზანა | 21 | 10 | 2 | 9 | 34:32 | 32 |
| სიონი | 21 | 9 | 5 | 7 | 27:30 | 32 |
| სერვეტი | 21 | 8 | 6 | 7 | 31:25 | 30 |
| ციურიხი | 21 | 7 | 7 | 7 | 33:27 | 28 |
| არაუ | 21 | 6 | 5 | 10 | 28:40 | 23 |
| ივერდონი | 21 | 5 | 5 | 11 | 24:40 | 20 |
| ლუცერნი | 21 | 5 | 3 | 13 | 26:49 | 18 |
| ქსამაქსი | 21 | 5 | 2 | 14 | 20:53 | 17 |

# ლომთა ალიუმი

**აფრიკის** წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვა, ამ კონტინენტის ფეხბურთის კონფედერაციამ რომ ჩაატარა, კამერუნელი ფეხბურთელების სრული გამარჯვებით დამთავრდა. პირველ ადგილზე იტალიური „პარმის“ 29 წლის თავდამსხმელი პატრიკ მბომა გავიდა. შემდეგი სამი ადგილიც მის თანამემამულეებს ერგოთ — ლორენს, სამუელ ეტოოსა და ჯერემი ნჯიტაპს. ცხადია, „მოუთვინიერებელ ლომთა“ ასეთი წარმატება მოულოდნელი სულაც არ ყოფილა: კამერუნის ნაკრებმა ხომ ჯერ თებერვალში აფრიკის თასი მოიპოვა, სექტემბერში კი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზეც იმარჯვა.

ლომთა გარემოცვაში შეღწევა მხოლოდ „არწივმა“ ნვანკვო კანუმ მოახერხა — „არსენალის“ ნიგერიელი მეხუთე ადგილზე გავიდა.

**აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელები 1970-2000**

| | | |
|---|---|---|
| 1970 | შალიფ კეიტა | (მალი, სენტ ეტიენი) |
| 1971 | იბრაჰიმ სანდეი | (განა, ასანტე კოტოკო) |
| 1972 | შერიფ სულეიმანი | (გვინეა, მაკაბი, ჰაიფა) |
| 1973 | შიმენ ბვანგა | (ზაირი, ზე მაზემბე) |
| 1974 | პოლ მუკილა | (კონგო, CARA ბრაზავილი) |
| 1975 | აჰმედ ჰარასი | (მაროკო, მოჰამედია) |
| 1976 | როჟე მილა | (კამერუნი, ქენონ იაუნდე) |
| 1977 | ტარაკ დჰიაბი | (ტუნისი, ესპერანსი) |
| 1978 | ქარიმ აბდულ რაზაკი | (განა, ასანტე კოტოკო) |
| 1979 | ტომას ნკონო | (კამერუნი, ქენონ იაუნდე) |
| 1980 | ჟან მანგა ონგენე | (კამერუნი, ქენონ იაუნდე) |
| 1981 | ლაკდარ ბელუმი | (ალჟირი, GCR მასკარა) |
| 1982 | ტომას ნკონო | (კამერუნი, ესპანიოლი) |
| 1983 | მაჰმუდ ალ ხატიბი | (ეგვიპტე, ალ აჰლი) |
| 1984 | თეოფილე აბეგა | (კამერუნი, ტულუზი) |
| 1985 | მუჰამედ ტიმუმი | (მაროკო, როიალ არმედ ფორკესი) |
| 1986 | ბადუ ეზაკი | (მაროკო, მალიორკა) |
| 1987 | რაბაჰ მაჯერი | (ალჟირი, პორტუ) |
| 1988 | კალუშა ბვალია | (ზამბია, სერკლ ბრიუგე) |
| 1989 | ჟორჟ ვეა | (ლიბერია, მონაკო) |
| 1990 | როჟე მილა | (კამერუნი, სენ დენი) |
| 1991 | აბედი პელე | (განა, ოლიმპიკი, მარსელი) |
| 1992 | აბედი პელე | (განა, ოლიმპიკი, მარსელი) |
| 1993 | აბედი პელე | (განა, ლიონი) |
| 1994 | ჟორჟ ვეა | (ლიბერია, პარი სენ ჟერმენი) |
| | ემანუელ ამუნიკე | (ნიგერია, სპორტინგი) |
| 1995 | ჟორჟ ვეა | (ლიბერია, მილანი) |
| 1996 | ნვანკვო კანუ | (ნიგერია, ინტერი) |
| 1997 | ვიქტორ იკპება | (ნიგერია, მონაკო) |
| 1998 | მუსტაფა ჰაჯი | (მაროკო, დეპორტივო) |
| 1999 | ნვანკვო კანუ | (ნიგერია, არსენალი) |
| 2000 | პატრიკ მბომა | (კამერუნი, პარმა) |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისი. I დივიზიონი

5 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 001 | კრისტალ პალასი-უიმბლდონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი

7 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 002 | დენ ჰააგი-ზვოლე | 3,6 | 3,1 | 1,8 |

### შოტლანდია

5 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 003 | სენტ მირენი-დანდი იუნაიტედი | 1,8 | 3,2 | 3,2 |

### ბელგია. თასის 1/8 ფინალი

6 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 004 | ანტვერპენი-სენტ ტრუიდენი | 1,85 | 3,2 | 3,5 |

### ჩემპიონთა ლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 5 დეკემბერი | | | |
| 23.45 | 501 | არსენალი-ბაიერნი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 502 | ლიონი-სპარტაკი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.45 | 503 | ლაციო-ლიდსი | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| 23.45 | 504 | რეალი-ანდერლეხტი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | | 6 დეკემბერი | | | |
| 23.45 | 505 | პანათინაიკოსი-ვალენსია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.45 | 506 | შტურმი-მანჩესტერი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 23.45 | 507 | დეპორტივო-მილანი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 508 | გალათასარაი-პსჟ | 1,9 | 3,0 | 3,8 |

### უეფას თასი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 5 დეკემბერი | | | |
| 19.00 | 509 | შტუტგარტი-ფეიენოორდი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 21.00 | 510 | მიუნხენ 1860-პარმა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | 7 დეკემბერი | | | |
| 17.00 | 511 | აეკ-ლევერკუზენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 512 | კაიზერსლაუტერნი-რეინჯერსი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 513 | ვერდერი-ბორდო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.00 | 514 | რუსენბორგი-ალავესი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 515 | სლავია-ოსიეკი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.00 | 516 | ჰამბურგი-რომა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.15 | 517 | პაოკ-ეინდჰოვენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.15 | 518 | ლოზანა-ნანტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 519 | რაიო ვალეკანო-ლოკომოტივი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 520 | ბარსელონა-ბრიუგე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 521 | სელტა-შახტარი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 522 | ინტერი-ჰერტა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 00.05 | 523 | ლივერპული-ოლიმპიაკოსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 01.30 | 524 | პორტუ-ესპანიოლი | 1,75 | 3,0 | 4,2 |

### უეფას თასი. შემდეგ წრეში გასვლა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 5 დეკემბერი | | | |
| 19.00 | 701 | შტუტგარტი | -1,15 | ფეიენოორდი | -3,5 |
| 21.00 | 702 | მიუნხენ 1860 | -1,55 | პარმა | -1,8 |
| | | 7 დეკემბერი | | | |
| 17.00 | 703 | აეკ | -1,5 | ლევერკუზენი | -1,9 |
| 19.00 | 704 | კაიზერსლაუტ. | -2,0 | რეინჯერსი | -1,5 |
| 21.00 | 705 | ვერდერი | -6,0 | ბორდო | -1,03 |
| 22.00 | 706 | რუსენბორგი | -1,25 | ალავესი | -3,0 |
| 22.00 | 707 | სლავია | -3,1 | ოსიეკი | -1,2 |
| 23.00 | 708 | ჰამბურგი | -3,5 | რომა | -1,15 |
| 23.15 | 709 | პაოკ | -7,5 | ეინდჰოვენი | -1,02 |
| 23.15 | 710 | ლოზანა | -2,0 | ნანტი | -1,4 |
| 23.45 | 711 | რ.ვალეკანო | -1,15 | ლოკომოტივი | -3,5 |
| 23.45 | 712 | ბარსელონა | ——- | ბრიუგე | -25,0 |
| 23.45 | 713 | სელტა | -1,1 | შახტარი | -4,0 |
| 23.45 | 714 | ინტერი | -1,25 | ჰერტა | -2,8 |
| 00.05 | 715 | ლივერპული | -1,05 | ოლიმპიაკოსი | -5,0 |
| 01.30 | 716 | პორტუ | -1,01 | ესპანიოლი | -10,0 |

### კალათბურთი. სუპროლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 6 დეკემბერი | | | |
| 21.00 | 801 | ირაკლისი-ეფესი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 21.00 | 802 | რაანანა-ვილერბანი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | | 7 დეკემბერი | | | |
| 21.00 | 803 | ულქერი-პანათინაიკოსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 21.00 | 804 | ლიეტუვოს რიტასი-ცეპტერი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 805 | სპლიტი-სიენა | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 806 | კრკა-მაკაბი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 23.30 | 807 | პო ორტეზი-ბაიერი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 808 | ალბა-ცსკა | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 23.30 | 809 | პარტიზანი-ოსტენდე | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 810 | სკავოლინი-პლანია | 1,05 | 12,0 | 6,0 |

### კალათბურთი. ევროლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 5 დეკემბერი | | | |
| 23.00 | 811 | სკაილაინერსი-ლონდონი | 2,0 | 12,0 | 1,4 |
| | | 6 დეკემბერი | | | |
| 19.30 | 812 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 1,2 | 12,0 | 2,8 |
| 20.00 | 813 | პეტერბურგი-შარლერუა | 1,35 | 12,0 | 2,2 |
| 23.30 | 814 | კინდერი-აეკ | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 815 | ტაუ-ციბონა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 816 | მიულერი-პაოკ | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 23.35 | 817 | ბარსელონა-ბუდუჩნოსტი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 21.30 | 818 | ჟალგირისი-ფორტიტუდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 22.10 | 819 | ჰაპოელი-ოვარენსე | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 23.00 | 820 | პერისტერი-ესტუდიანტესი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 821 | ზადარი-ლუგანო | 1,4 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 822 | ოლიმპია-ბენეტონი | 1,45 | 12,0 | 2,1 |

### კალათბურთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 5 დეკემბერი | | | |
| 04.00 | 823 | ინდიანა-ნიუ ჯერსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 824 | ატლანტა-მაიამი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 04.30 | 825 | კლივლენდი-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 826 | ორლანდო-ბოსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.00 | 827 | მინესოტა-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 828 | საკრამენტო-სან ანტონიო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.30 | 829 | ჰიუსტონი-დალასი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 06.00 | 830 | იუტა-ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.00 | 831 | ვანკუვერი-დეტროიტი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 07.30 | 832 | ლეიკერსი-ფილადელფია | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | | 6 დეკემბერი | | | |
| 04.00 | 833 | ვაშინგტონი-კლიპერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 04.30 | 834 | შარლოტი-ინდიანა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 835 | მაიამი-დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 836 | ნიუ ჯერსი-მილუოკი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 05.00 | 837 | ჩიკაგო-კლივლენდი | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 838 | დალასი-ნიუ იორკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.00 | 839 | პორტლენდი-ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.00 | 840 | სიეტლი-დეტროიტი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 07.30 | 841 | გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| | | 7 დეკემბერი | | | |
| 04.30 | 842 | ორლანდო-დენვერი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.00 | 843 | მილუოკი-ფინიქსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.00 | 844 | მინესოტა-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 845 | სან ანტონიო-ნიუ იორკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 06.00 | 846 | იუტა-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### ჰოკეი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 5 დეკემბერი | | | |
| 04.00 | 901 | ოტავა-პიტსბურგი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 902 | მონრეალი-ბუფალო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 903 | ნიუ ჯერსი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 904 | სენტ ლუისი-ანაჰაიმი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| | | 6 დეკემბერი | | | |
| 04.00 | 905 | ბუფალო-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 906 | რეინჯერსი-ვაშინგტონი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.00 | 907 | ფილადელფია-ტამპა ბეი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 908 | კოლუმბუსი-ანაჰაიმი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 909 | პიტსბურგი-ბოსტონი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.30 | 910 | ატლანტა-კაროლინა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 911 | ფლორიდა-აილენდერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 912 | დეტროიტი-ტორონტო | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 06.00 | 913 | ედმონტონი-ნეშვილი | 1,65 | 4,0 | 2,7 |
| 06.00 | 914 | ფინიქსი-ვანკუვერი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 07.30 | 915 | სან ხოსე-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| | | 7 დეკემბერი | | | |
| 05.00 | 916 | სენტ ლუისი-ტორონტო | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 05.30 | 917 | ჩიკაგო-მინესოტა | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 06.00 | 918 | კალგარი-ნეშვილი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 06.30 | 919 | ლოს ანჯელესი-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

# სამმაგი დუბლის სამმაგი რეკორდი

### 12 ტური

2 დეკემბერი. ბათუმი

**ბასკო 127:78 თსუ**

25:22, 37:14, 25:24, 40:18
**ბასკო:** როჯერსი (7), ბეჟანიშვილი (18), ორმოცაძე (8), ვ. ნაცვლიშვილი (28), ვ. კილაძე (4); მ. მარკოიშვილი (6), ნიკოლაძე (13), საყვარელიძე (2), გ. ნაცვლიშვილი (16), კეშელავა (7), ათუაშვილი, ქარაბაკი (18)
**თსუ:** მაისურაძე (21), ხეცურიანი (11), გ. მარკოიშვილი (15), ახალკაცი (16), მაჭარაძე (6); ზანგურაშვილი (4), არსიაშვილი (5), ნათობაძე, ზამთარაძე
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, გარი არინინი
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

### 13 ტური

3 დეკემბერი. ბათუმი

**ბასკო 104:57 სსუ**

24:15, 23:14, 28:18, 29:10
**ბასკო:** როჯერსი (7), ნიკოლაძე (10), ორმოცაძე (6), ვ. ნაცვლიშვილი (28), ვ. კილაძე; მ. მარკოიშვილი (13), ბეჟანიშვილი (4), საყვარელიძე (15), გ. ნაცვლიშვილი (8), კეშელავა (13), ათუაშვილი
**სსუ:** გ. ცლენტი (4), სორდია (14), ძიძიგური (13), ვ. ქვილითაია (8), ბ. ქვილითაია; გ. ერქვანია (4), ტატუნაშვილი, ლაცუზბაია (14)
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, დავით ჯორბენაძე
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**ზურაბ რატიშვილი ბათუმიდან**

**თსუ** ბათუმში შეუძლოდ მყოფი მთავარი მწვრთნელის ზაზა ზამთარაძის და სამი ტრავმირებული მოთამაშის — ტყუპ ბერიშვილების და ზურაბ სანიკიძის გარეშე ჩავიდა. თბილისელებმა თითქოს თავიდანვე თქვეს უარი ფარზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ საქმის გამკეთებელი ორი მოთამაშე, გულივერ ახალკაცი და შოთა მაჭარაძე სასტარტო ხუთეულში ჰყავდათ. თსუ-ელებმა თამაშში სამქულიანებზე ააწყვეს — მთავარი როლი ყოფილ ბასკოელ ირაკლი მაისურაძეს უნდა ეთამაშა. მისმა პირველივე სროლამ მიზანს მიაღწია. მაისურაძეს მხარი აუბეს შიო ხეცურიანმა და გიორგი მარკოიშვილმა, რომლებმაც ასევე შორიდან იყოჩაღეს. მარკოიშვილმა მეხუთე წუთზე თსუ-ს პირველი ორქულიანი ჩააგდო, მერე ერთიც მიაყოლა და თავისიანები 13:10 დააწინაურა.

„ბასკოს" მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ წუთშესვენება აიღო, რის შემდეგაც ბათუმელები ფარქვეშიდან შეტევებს მიეძალნენ. ამან შედეგი კი გამოიღო, ოღონდ ცოტა მოგვიანებით — თსუ 17:14 იგებდა და ამის მერე დაიწყო ინიციატივის დათმობა. მეოთხედის ბოლო წუთზე მაისურაძემ სამქულიანით გაათანაბრა, მაგრამ ვახტან ნაცვლიშვილმა ანალოგიურად უპასუხა. მაისურაძეს კიდევ ერთხელ მიეცა გათანაბრების შანსი, მაგრამ სირენისთანავე ნასროლი ააცილა.

მეორე მეოთხედში ტომარაძემ გიორგი ნიკოლაძეს დაავალა მაისურაძის მეურვეობა, ხოლო ფარქვეშ ვახტანგ ნაცვლიშვილს და ლევან ქარაბაკს გიგი ნაცვლიშვილი მიახმარა. ქარაბაკი გააქტიურდა, გარღვევებს მოუხშირა და თსუელები მის წინააღმდეგ ოთხჯერ დაჯარიმდნენ. თავიდან ცოტა ინერტული გიგი ნაცვლიშვილიც მოვიდა თამაშის იმტაზე და ახლა იგი დაატყდა რისხვასავით სტუდენტთა ფარს. ამას ის მოჰყვა, რომ მეორე მეოთხედის შუაწელში მასპინძლები 47:31 დაწინაურდნენ.

თსუ-მ წუთშესვენება აიღო, რომელიც „ბასკოს" უფრო წაადგა. ბათუმელებმა დაცვა გაამკაცრეს, რისი წყალობითაც მეტოქეს არაერთი შეცდომა დააშვებინეს. ვახტანგ ნაცვლიშვილმა ოთხი წუთის განმავლობაში ოთხი დაფარება გააკეთა, ვალერი კილაძემ — ორი. ამის შემდეგ ბასკოელები შეტევაშიც გალაღდნენ და ვახტან ნაცვლიშვილმა და ქარაბაკმა ლამის იყო, გარღვევა-ჩატენვების შოუ მოაწყვეს. თსუ-მ კი ამ ოთხი წუთის განმავლობაში ქულა ვერ აიღო. ნავსი მაჭარაძემ გატეხა, რომელმაც ტაიმის დამთავრებამდე 13 წამით ადრე ორი საჯარიმო გამოიყენა. შესვენებაზე წასულმა გუნდებმა ტაბლოზე 62:36 დატოვეს.

საფუძვლიანად დაწინაურებულმა „ბასკომ" მესამე მეოთხედი ახალგაზრდა სათადარიგოებს დააწყებინა, რომლებმაც უპირატესობა სრულად შეინარჩუნეს. საინტერესო არაფერი მომხდარა, სანამ მეოთხედის დამთავრებამდე 3,23 წუთი არ დარჩა და ვახტანგ ნაცვლიშვილმა ახალკაცს დაუფარა. ეს ამ მატჩში ნაცვლიშვილის მე-11 დაფარება გამოდგა. ასე გააუმჯობესა ვატომ საქართველოს ჩემპიონატების რეკორდი ერთ მატჩში დაფარებებში, რომელიც ხუთი წლის წინ თავადვე დაამყარა. ნაცვლიშვილმა ეს არ იკმარა და შეხვედრა 13 დაფარებით დაასრულა — ესეც ახალი ნიშნული ქართველი დამფარებლებისთვის.

28 ქულით, 13 დაფარებით და 11 მოხსნით ნაცვლიშვილმა საქართველოს ჩემპიონატებისთვის არნახული სამმაგი დუბლი შეასრულა — სამივე მაჩვენებელი ათზე მეტია. ბოლოს კი პირად რეკორდზეც ვთქვათ: ნაცვლიშვილს ამერიკაში, ერთ-ერთ ტურნირში მონაწილეობისას, ერთ მატჩში 12 დაფარება გაუკეთებია. ახლა კი ეს მიღწევა ერთით გააუმჯობესა.

მესამე მეოთხედის შემდეგ „ბასკო" 87:60 იგებდა. ცხადია, თამაშს აზრი ჰქონდა დაკარგული და მეტოქეებმა ღია თამაში გააჩაღეს. აქაც მასპინძლებმა იმარჯვეს, უფრო ზუსტად, „ბასკოს" სათადარიგო ახალგაზრდებმა, რომლებსაც ვლადიმერ ბეჟანიშვილი მეთვალყურესავით ჰყავდათ დანიშნული.

კვირას გამართული „ბასკო" — სსუ მასპინძლთათვის გართობად იქცა, ხოლო სტუმართათვის — ცოდვილობად. ამ მატჩზე უფრო საინტერესო ბათუმის საკალათბურთო დარბაზში მიმდინარე ახალი მშენებლობის ნახვა იყო. უკვე ბოლომდეა გარემონტებული სავარჯიშო მოედანი, სადაც ძირითადად ბავშვთა ჯგუფები მუშაობენ. მალე დასრულდება ფიზმომზადების ორი დარბაზის მოპირკეთება-დაკომპლექტება — „ბასკოს" ხელმძღვანელებს ორივე მათ[illegible] განის სპეციალური ტრენაჟორებით აღ[illegible] ჭურვა გადაუწყვეტიათ. ახალ წლამდე ამუშავდება საუნა და საცურაო აუზ[illegible]. სხვათა შორის, ორივე მატჩის განმავლობაში ბათუმში დენი არ იყო, მაგრამ საკალათბურთო დარბაზში შეკრებილთ ეს არ უგრძვნიათ — მძლავრ გენერატორს შუქი მოჰქონდა, ხოლო გათბობის სპეციალურ სისტემას — სითბო.

„ბასკოს" — სსუ კი... ბათუმელებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს და პირველ მეოთხედი და მეორის ნაწილი მეტოქეს ისე უტევდნენ, რომ ბურთი იატაკზე არ დაუგდიათ...



ბასკო — თსუ. გულივერ ახალკაცი (№14) და ბასკოელი მანუჩარ მარკოიშვილი

## საქართველოს ჩემპიონატი. XIII ტური

# აკოლაშვილის გაშვება იქნებოდა?

### 3 დეკემბერი. ვერის ბაღი

**ვითა 84:91 სტუ**

21:25, 25:21, 23:21, 15:24
**ვითა:** მარხვაშვილი (22), ვაშაკიძე (25), ბარბაქაძე (7), ჭირაქაძე (13), მდივანი (8); ბურკაძე (7), ნ. შანიძე (2)
**სტუ:** სულაძე (4), ხოშტარია (20), კეთდია (5), ჩუბინიძე (13), კორძაძე (4); ბ. ბერიშვილი (7), ოთიურიძე (4), ლოსაბერიძე (15), დავითულიანი (15), მიქაძე (4)
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით მაჭავარიანი
**კომისარი:** მურმან ქურიძე

### 3 დეკემბერი. ვერის ბაღი

**აზოტი 83:73 მაკაბი**

21:17, 17:17, 28:21, 17:18
**აზოტი:** ა. ცლენტი (22), გაბისონია (3), კოკოლიშვილი (9), ბერუაშვილი (15), შენგელია (22); ბაბიაშვილი (6), ტურაშვილი (4), ჯიმშელეიშვილი (2)
**მაკაბი:** წოწელია (19), ტუჯანი (8), სარიშვილი (10), ი. შანიძე (30), დაჩუმი (6); ანდღულაძე
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე
**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

### 3 დეკემბერი. ვერის ბაღი

**შევარდენი 70:72 დინამო**

24:21, 22:24, 19:6, 5:21
**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (4), გ. ჩხეიძე (25), გიგაური (4), სუხიშვილი (18), ქევხიშვილი (12); კაზანჯიანი (5), მაჭავარიანი (2)
**დინამო:** თორთლაძე (15), ნინოშვილი, აკოლაშვილი (30), კონჯარია, ნინიაშვილი (11); ჩაგლეიშვილი (8), არაქელიანი (2), მარგველაშვილი, აბულაძე (6)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**როლანდ ლაბუჩიძე**

**ტაშის** გრიალით დასრულდა მეცამეტე ტური და არ იკითხავთ, ვინ დაიმსახურა ოვაციები? თბილისის „დინამოს" მსროლელმა დავით აკოლაშვილმა, რომელიც მეცხრე ეროვნულის შემდეგ „შევარდენმა" გუნდიდან გაუშვა...

„შევარდენი" — „დინამოს" პრინციპულობა უპირველესად იმით იყო გამოწვეული, რომ ორივე ექვსეულში შეღწევას ლამობს. „დინამომ" შეძლო კონკურენტის დამარცხება და ექვსეულში მოხვედრისთვის სერიოზული განაცხადი გააკეთა. უნდა ითქვას, რომ არც „შევარდენი" იყო ჯაბანი, ვაჟკაცურად ებრძოდა მეტოქეს, მესამე მეოთხედის შემდეგ თოთხმეტი ქულითაც კი უგებდა, მაგრამ საავიაციოქარხნელებს ნაშრომ-ნამაგარი მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე დავით აკოლაშვილმა ჩაუყარა წყალში.

ახლა კი მივყვეთ მატჩის მსვლელობას, რომელიც საფინალო სირენამდე გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მართალია, აკოლაშვილის სამქულიანით „დინამო" დაწინაურდა, მაგრამ პირველმა მეოთხედმა „შევარდენის" კარნახით ჩაიარა. „დინამომ" ფარი წააგო და უკანახაზელების ხარჯზე ცდილობდა ფონს გასვლას. აქ კი მოწოდების სიმაღლეზე იდგა აკოლაშვილი, რომელიც იშვიათი სიზუსტით ისროდა სამქულიანებს. დათომ მარტო პირველ მეოთხედში ოთხი ასეთი ტყორცნა განახორციელა, მთლიანად შეხვედრაში კი — შვიდი. სამაგიეროდ, ნერვებს აჰყვა მისი სეხნია, გამოცდილი თორთლაძე და პირველ მეოთხედში თანაგუნდელებს მხოლოდ სამი ქულით შეეწია.

„შევარდენმა" დაწინაურება გიორგი ჩხეიძისა და ლევან ქევხიშვილის წყალობით შეძლო. ორი წუთის შემდეგ ანგარიში იყო 9:5 „შევარდენის" სასარგებლოდ. „დინამო" მეტოქეს მალე წამოეწია, მეხუთე წუთის ბოლოს წინ გასვლაც შეძლო, მაგრამ ორიდან ერთი საჯარიმოს გამოყენებით ნინიაშვილმა მხოლოდ გაათანაბრა — 9:9. „დინამოს" მსროლელებმა „შევარდენი" იძულებული გახადეს, პრესინგისთვის მიემართა, რომელმაც გაამართლა. ერთ მომენტში 8 ქულით წინ გაჭრილ „შევარდენს" მეოთხედის 6 ქულით მოგება თითქმის გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ „დინამო" შეტევისთვის განკუთვნილ 4 წამში ჩაეტია და აკოლაშვილმა მორიგი სამქულიანი მოათავსა მეტოქის კალათში. 24:21 — ასე დამთავრდა პირველი მეოთხედი.

მეორე მეოთხედის მეორე წუთის ბოლოს „დინამო" აკოლაშვილის სამქულიანით ათანაბრებს — 26:26. „შევარდენი" იძულებულია, კვლავ პრესინგს მიმართოს. ისევე, როგორც პირველ მეოთხედში, „შევარდენმა" გასაღები ამჯერადაც მოარგო მეტოქეს და მთელი 10 ქულით — 41:31 მოსწყდა. მოსეშვილმა აქცენტი ტანმაღალ კალათბურთელებზე გააკეთა, მაგრამ... სომეხი ლეგიონერი კარენ არაქელიანი ისე თამაშობდა, როგორც მისი ქვეყნის საკალათბურთო ტრადიციებს შეეფერება. ახალბედა მარგველაშვილმა ბურთის მიღებაც კი ვერ შეძლო და, რა თქმა უნდა, სათადარიგოებში გადაინაცვლა. ფორვარდი კონჯარია პირველივე მეოთხედში დაშავდა და ცენტრში ეულად დარჩენილ ნინიაშვილს, რომელსაც ქევხიშვილისა და სუხიშვილის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა, ფორვარდი ჩაგლეიშვილი მიაშველეს. არც ჩაგლეიშვილის მოუწყვეტია ციდან ვარსკვლავები, მაგრამ სპორტული ჟინი კი გამოავლინა, ვაჟკაცურად იბრძოდა, მთელი მონდომებითა და გულით თამაშობდა.

დინამოელთაგან ისევ უკანახაზელებმა იყოჩაღეს, თორთლაძემ ნერვები ცოტა დაიოკა, აკოლაშვილს მხარი აუბა და „შევარდენს" ათქულიანი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა შემოაღნა. მეოთხედი იწურებოდა და მოსეშვილმა კუთვნილი წუთშესვენებით ისარგებლა, აღსაზრდელებს მითითება მისცა და მათაც იმედი არ გაუცრუეს. თორთლაძის უზუსტესი პასით ნინიაშვილმა „დინამოს" მეორე მეოთხედი მოაგებინა, ხოლო ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა — 45:46.

აი, მესამე მეოთხედში კი „დინამომ" ჩათვლიმა და იგი პირწმინდად წააგო. ეს, რა თქმა უნდა, „შევარდენის" დამსახურება გახლდათ, თორემ „დინამო" იოლად არაფრის დამთმობი არ იყო. მეოთხე წუთზე მეოთხე ჯარიმა მიიღო დავით თორთლაძემ და ფრთხილობდა. „შევარდენმა" მთელი ყურადღება აკოლაშვილზე გადაიტანა, „დინამოს" წინა ხაზის მოთამაშეებმა კი მხოლოდ 6 ქულის გაკეთება შეძლეს. მაშინ, როცა „შევარდენის" მხრიდან მარტო ლადო სუხიშვილმა მოახერხა 10 ქულის მოგროვება. 14-ქულიანი უპირატესობა (65:51) „შევარდენს" მოგების კარგ შანსს აძლევდა.

ბოლო მეოთხედში „შევარდენის" თავზე შავმა ღრუბლებმა იწყეს შექუჩება. თორთლაძის სამქულიანს აკოლაშვილმა ორიც დაურთო და ეს მაშინ, როცა „შევარდენს" ქულაც არ გაეკეთებინა. საავიაციოქარხნელებს ნუგეშად ისღა დარჩათ, რომ მეხუთე წუთის ბოლოს აკოლაშვილმა მიიღო მეოთხე ჯარიმა. „დინამოს" უშედეგო შეტევის შემდეგ გიორგი ჩხეიძის ნასროლმა მიაღწია მიზანს. აქ თორთლაძეს საჯარიმოებით მიეცა ანგარიშის შემცირების საშუალება, მაგრამ მოხდა ის, რაც ძალიან იშვიათად ხდება: „დინამოს" ლიდერმა ორივე საჯარიმო ააცილა და ანგარიში უცვლელი დარჩა — 69:62.

...ანგარიშია 70:66 „შევარდენის" სასარგებლოდ. მას ზუსტად ერთი წუთი აშორებს გამარჯვებას. ბურთს „დინამო" ფლობს. თორთლაძე ჩხეიძეს კბ დაუსხლტა, მაგრამ წინ გიგაური გადაეღობა, რომლისთვისაც ეს მეხუთე ჯარიმა იყო. „შევარდენის" მთავარმა მწვრთნელმა სერგო იშხნელმა წუთშესვენება აიღო და კალათბურთელები დაამშვიდა. თორთლაძემ ამჯერად ორივე საჯარიმო გამოიყენა — 70:68. „შევარდენმა" შეტევის დაგვირგვინება სუხიშვილს მიანდო, მაგრამ უშედეგოდ. საპასუხო შეტევისას „შევარდენი" დაჯარიმდა, აკოლაშვილს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცა, რომელიც გამოიყენა — 70:70. სირენამდე 33 წამია დარჩენილი, „შევარდენმა" მაქსიმალურად გამოიყენა შეტევისთვის განკუთვნილი 24 წამი, სუხიშვილმა კიდევ ერთხელ სცადა ბედი, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. „დინამოს" ზუსტად 10 წამი აქვს დარჩენილი შეტევისთვის. თამაშში ბურთის შემტანმა თორთლაძემ უმალ აკოლაშვილი მოძებნა, რომელმაც პატარა სასწაული ჩაიდინა: სწრაფად გადავიდა მეტოქის ნახევარზე და გაოგნებულ მეტოქეს გადამწყვეტი ბურთი ჩაუგდო. აკოლაშვილმა ყოველივე ისე კარგად გააკეთა, დინამოელებსა და გულშემატკივრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აღტაცებას თვით დამარცხებული გუნდიც კი ვერ ფარავდა.

ჯერჯერობით ძნელია პროგნოზების გაკეთება, მაგრამ კახაბერ შენგელია ისე კარგად შეეწყო „აზოტს", რომ ვიცე-ჩემპიონებს ზედიზედ მეოთხედ ფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ. თბილისელი კალათბურთელების „აზოტში" მოქუჩების შემდეგ ვერავინ იტყვის, რუსთაველებს მოკლე სკამი აქვთო. თუ სეზონის ბოლოს ვიცე-ჩემპიონებმა გოგობერიშვილი დაიმატეს და ფედერაციამ დისკვალიფიცირებული ჯაფარიძეც შეიწყალა, მაშინ „ბასკოს" გვარიანი შრომა მოუწევს ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად.

ვიცე-ჩემპიონმა ოთხეულში დამკვიდრებულ „მაკაბის" შანსი არ დაუტოვა. ცლენტი-წოწელიას დუელში ხშირად აზოტელი რჩებოდა გამარჯვებული, კახაბერ შენგელიამ კი შავკანიანი ლეგიონერები ფარს არ გააკარა, მისთვის საყვარელი კაუჭებით აიკლო მეტოქის კალათი და მიმდინარე ჩემპიონატში ჯერჯერობით საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 12 | 12 | 0 | 1252:833 | 24 |
| აზოტი | 12 | 10 | 2 | 983:807 | 22 |
| სტუ-ჯეოსელი | 12 | 8 | 4 | 1124:1052 | 20 |
| მაკაბი | 12 | 7 | 5 | 1076:990 | 19 |
| დინამო | 12 | 5 | 7 | 992:1056 | 17 |
| თსუ | 11 | 4 | 7 | 932:1030 | 15 |
| შევარდენი | 11 | 4 | 7 | 858:926 | 14 |
| ვითა-სტუ 2 | 11 | 2 | 9 | 896:1096 | 13 |
| სსუ | 11 | 0 | 11 | 752:1075 | 11 |

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა

# საქართველოს ჩემპიონატი. XII ტური

2 დეკემბერი. ვერის ბალი

**სტუ 81:75 შევარდენი**

24:23, 16:22, 22:13, 19:17
სტუ: ბ. ბერიშვილი (13), ხოშტარია (13), დავითულიანი (21), ლოსაბერიძე (9), კორძაძე (7); სულაძე, ოთიურიძე (16), მიქაძე, ჩუბინიძე (2)
შევარდენი: ნ. ნოზაძე (15), გ. ჩხეიძე (17), გიგაური (15), სუხიშვილი (15), ქევხიშვილი (11); ალავიძე, ფრანგიშვილი (2), მაჭავარიანი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით მაჭავარიანი
კომისარი: მურმან ქურიძე

2 დეკემბერი. ვერის ბალი

**ვითა 81:106 მაკაბი**

17:21, 18:25, 30:23, 16:37
ვითა: მარხვაშვილი (17), ვაშაკიძე (21), ერგემლიძე (2), ქირაქაძე (10), მდივანი (16); ჩიხლაძე (3), ბურკაძე (2), ნ. შანიძე, ბარბაქაძე (10)
მაკაბი: წოწელია (22), ი. შანიძე (25), სარიშვილი (19), ტუჯანი (19), დაჩუმი (17); კოქლამაზაშვილი, ანდღულაძე, კრიხელი (2), ქოქოსაძე (2), მჭედლიშვილი, ჯანელიძე, ფიცხელაური
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

2 დეკემბერი. ვერის ბალი

**აზოტი 93:49 დინამო**

23:15, 28:7, 23:11, 19:16
აზოტი: ა. ფლენტი (13), გაბისონია (3), კოკოლიშვილი (3), ბერუაშვილი (5), შუნგელია (4); ბაბიაშვილი (14), აბზიანიძე (3), ჩაჩუა (7), დანელიანი (4), ტურაშვილი (10), მიქიაშვილი (14), ჯიმშელეიშვილი (13)
დინამო: თორთლაძე (3), ნინოშვილი (2), აკოლაშვილი (12), კონჯარია (4), არაქელიანი (4); ჩაჩლეიშვილი (10), ბადრიძე, მარგველაშვილი (2), იაშვილი (5), აბულაძე (5), ყველაშვილი (2)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ანდრიაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

# ნადირობა ფიტულზე

## შევარდენმა ნისკარტი სტუ-ს შეატეხა და დინამოს საკბილო გახდა

გიორგი ბიკაშვილი

**სტუ — „შევარდენის“** მატჩის შემდეგ დამარცხებული „შევარდენი“ აშკარად მსაჯობაზე ტეხდა ჯოხს. წაგებულნი დიდხანს არ ცხრებოდნენ და დაუფარავად გამოთქვამდნენ პროტესტს ამ შეხვედრის არბიტრების მისამართით. განსაკუთრებით მსაჯ ზაზა მაჩალაძის ქმედება არ მოუვიდათ თვალში საავიაციო ქარხნელებს, მას მიკერძოებულ მსაჯობაში ადანაშაულებდნენ.

საბედნიეროდ, სიტუაცია აღარ გამწვავებულა, მატჩის ოქმში, ცხადია, სტუ-ს გამარჯვება გაფორმდა და ზალხიც წავიდ-წამოვიდა.

ჰქონდა კი „შევარდენს“ უკმაყოფილების საბაბი? ამ კითხვაზე შაბათს ვერის ბალში შეკრებილ ქომაგთა დიდი ნაწილი, ალბათ დადებითად გიპასუხებდათ. პირადად ჩვენს აზრს რაც შეეხება, ვფიქრობთ, ერთი-ორჯერ მართლაც შეცდა ზაზა მაჩალაძე, თუმც იმის გათვალისწინებით, რომ ამ ქვეყნად შეუმცდარი არავინაა, ხელაღებით ვერ ვიტყვით, სტუ-ს გამარჯვება მაჩალაძის ინტერესებში შედიოდაო.

მსაჯობაზე საუბარი აქ დავამთავროთ და ახლა იმ სტრატეგიულ შეცდომაზე ვთქვათ, რომელიც თავისდაუნებურად დაუშვა „შევარდენმა“, უფრო სწორად კი ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სერგო იშხნელმა. საქმე ისაა, რომ „შევარდენს“ მეორე დღეს გაცილებით უფრო პრინციპული მატჩი ელოდა ექვსეულში შესაღწევად უშუალო მოცილე „დინამოსთან“. სატურნირო თვალსაზრისით „დინამოსთან“ დაპირისპირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა „შევარდენისთვის“, ამ გუნდმა კი არაფრის მომცემ მატჩში შაბათს თავი შეაკლა სტუ-ს. შედეგად გვარიანად დაქანცულმა „შევარდენმა“ კვირას ახლა „დინამოსთან“ დათმო მატჩი, რომლის მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა, კოლეგა იშხნელისგან განსხვავებით, მოვლენები ზედმიწევნით სწორად განჭვრიტა — „დინამო“ შაბათს უბრძოლველად დანებდა „აზოტს“ და მთელი ძალები „შევარდენთან“ შეხვედრისთვის შემოინახა.

ვერ ვიტყვით, ყოველივე ეს იშხნელმა ვერ გათვალაო. „შევარდენის“ თავკაცს ვერც გამოუცდელობას დავწამებთ, თუმც კონკრეტულ შემთხვევაში მოსეშვილმა მას ჭკუით აჯობა. ეს შეცდომა კი შესაძლოა საბოლოო ჯამში ძალიან ძვირად დაუჯდეს „შევარდენს“, იშხნელს კი კარგა ხანს ჰქონდეს სანანებლად...

შეხვედრის დებიუტში და მერეც სტუ საკუთარ გამარჯვებაში ზედმეტად დაჯერებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რაც, ალბათ, კიდევ უფრო ულვივებდა „შევარდენს“ მოგების იმედს. იშხნელის გუნდი თავიდანვე არაფერში უდებდა ტოლს სტუ-ს, რომლის ლიდერს, თამაზ გიგაურის გადამკიდე ირაკლი ხოშტარიას არაფერი გამოსდიოდა. სტუდენტ ლაშა ლოსაბერიძის ჩაგდებულს შევარდენთაგან ორჯერვე ლადო სუხიშვილმა უპასუხა და თავისი გუნდი დააწინაურა. მალე იმავე ლოსაბერიძემ აღადგინა თანაფარდობა, დავითულიანის გარღვევისა და ბუბა ბერიშვილის სამქულიანის შემდეგ კი სტუ 5 ქულით გაექცა მეტოქეს — 9:4.

„შევარდენი“ მალევე მოეგო გონს, რაც კიდევ უფრო დააჩქარა სერგო იშხნელის მიერ მოთხოვნილმა წუთშესვენებამ. ნიკოლოზ ნოზაძის გონივრული თამაშის წყალობით ერთხანს მდევრის როლშიც მოექცა სტუ, თუმც მერე ბუბა ბერიშვილმა გამოიდო თავი და პირველი მეოთხედი ქულით მაინც მოაგებინა თავისიანებს.

მატჩი იმავე სცენარით გაგრძელდა, მაგრამ ახლა სულ სხვა კალათბურთელებმა გასწიეს ლიდერობა. გოდერძი კორძაძის ნაცვლად მოედანზე შესულმა ვასილ ოთიურიძემ აშკარად გაუმართლა სტუ-ს მთავარ მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილს. სტუდენტთა შეტევებს უმეტესად სწორედ ოთიურიძე აგვირგვინებდა, მოწინააღმდეგის ბანაკიდან კი თამაზ გიგაური გამოირჩეოდა სიზუსტით.

მეტოქეებმა კარგა ხანს ქულა-ქულაში სდიეს ერთმანეთს, ტაიმის მიწურულს კი „შევარდენის“ უპირატესობა გამოიკვეთა. იშხნელის შეგირდებმა ერთიორად მოუჭირეს დაცვით მარწუხებს და კომბინაციურ შეტევებს მიეძალნენ, რაც ნელ-ნელა ანგარიშზეც აისახა. გიგაურის, სუხიშვილისა და ქევხიშვილის ჩაგდებულებით „შევარდენი“ 6 ქულითაც მოსწყდა სტუ-ს, თუმც ტაიმის 5 ქულით მოგება იკმარა.

შესვენების შემდეგ ირაკლი ხოშტარია ამოქმედდა ჩვეულად, მან მალევე გაუთანაბრა „შევარდენს“ ანგარიში, თუმც ეულად მებრძოლმა საკუთარ გუნდისკენ ვერ გადმოხარა სასწორი და სტუ კვლავაც ჩამორჩა მეტოქეს. ამასობაში შეხვედრა უკიდურესად დაიძაბა, აღელვებული კალათბურთელები არანაკლებ ენერგიას მსაჯებთან კამათში ხარჯავდნენ და შედეგად არბიტრებისგან ტექნიკურ შენიშვნას იმსახურებდნენ. მესამე მეოთხედში მსგავსი სასჯელი მსაჯთაგან ორჯერ ხოშტარიას ლაეკისრა და ორჯერაც გიგაურს.

მოგვიანებით სტუ-მ ტემპს უმატა, „შევარდენი“ რამდენჯერმე სწრაფ პირველ შეტევაზე გამოიჭირა და ჯერ ოთიურიძემ აღადგინა თანაფარდობა (56:56), შემდეგ დავითულიანმა წინაც გაიყვანა თავისიანები. მართალია, თამაზ გიგაურმა მალევე აღმოფხვრა ჩამორჩენა, მაგრამ მესამე მეოთხედის მიწურულს ოთიურიძის ზუსტმა საჯარიმომ და ბერიშვილის სამქულიანმა სტუ-ს ოთხქულიანი მარაგი შეუქმნა.

ბოლო ათწუთეული გუნდებმა იმდენად ნერვიულად დაიწყეს, რომ მხოლოდ სამი წუთის შემდეგ მოათავსა ბურთი კალათში სტუდენტმა ალეკო დავითულიანმა. 6 ქულით ჩამორჩენილი „შევარდენი“ არ შედრკა, დაცვა მნიშვნელოვნად გაამკაცრა და გარედან შეუტია. 30 წამში ნოზაძემ და გიგაურმა თითო სამქულიანი ჩაუგდეს სტუ-ს და ანგარიშიც გათანაბრდა — 64:64. მომდევნო ეპიზოდში ლოსაბერიძემ და ნოზაძემ გაცვალეს სამქულიანები, უმალ შევარდენმა გიორგი ჩხეიძემ კვლავაც შორი მანძილიდან ივარგა და თავისიანები დააწინაურა — 70:67.

წუთშესვენების შემდეგ ჭეიშვილმა მოედანზე ირაკლი ხოშტარია დააბრუნა. აქვე 25 წამში ორჯერ დაჯარიმდა „შევარდენის“ გამთამაშებელი ნიკოლოზ ნოზაძე და ხუთი პერსონალურით თამაშს გამოეთიშა. მსაჯებზე განაწყენებულმა იშხნელის გუნდმა ერთ წუთში კიდევ ორი წამყვანი მოთამაშე მოისაკლისა — შეტევაში მეხუთედ დაჯარიმებულ ქევხიშვილს მალე გიგაურიც მიჰყვა.

შეხვედრის დამთავრებამდე ორიოდ წუთიღა რჩებოდა და მოვლენების ამგვარი განვითარებით ფრთაშესხმული სტუ გადამწყვეტი ნახტომისთვის გაემზადა. ბოლო წუთზე ირაკლი ხოშტარიამ ჩაუგდო „შევარდენს“, რამდენიმე წამში კი მანვე სუხიშვილის დაჯარიმება ორ ქულად აქცია. მატჩის გადასარჩენად 5 ქულით ჩამორჩენილ „შევარდენს“ 33 წამიღა რჩებოდა, მაგრამ ჩხეიძეს სამქულიანი გაუცუდდა...

შაბათს ვერის ბალში სხვა არაფერი მომხდარა ისეთი, გამოსარჩევად რომ ღირდეს. თავშიც გითხარით, გასაგებ მიზეზთა გამო „დინამო“ ულაპარაკოდ დანებდა „აზოტს“, „მაკაბიმ“ კი „ვითას“ აჯობა.



სტუ — შევარდენი. ლევან ქევხიშვილი (№9) სტუ-ელებთან, ალეკო დავითულიანთან (№13) და ვასილ ოთიურიძესთან ვერას გახდა

# NBA. რეგულარული ჩემპიონატი

## რეკორდი ხან გშველის, ხან — ვერა

1 დეკემბერი

**საკრამენტო 105:98 ფინიქსი**
საკრამენტო: ვებერი (28 ქულა, 14 მოხსნა)
ფინიქსი: დელკი (21), მარიონი (17 ქულა, 10 მოხსნა), კიდი (16 ქულა, 10 პასი)

**ლეიკერსი 109:100 სან ანტონიო**
ლეიკერსი: ბრაიანტი (43), ონილი (37 ქულა, 16 მოხსნა)
სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 11 მოხსნა), ელიოტი (19), რობინსონი (16 ქულა, 10 მოხსნა, 5 ჩაჭრა)

**ვანკუვერი 76:86 ინდიანა**
(ძირითადი დრო 76:76)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (28 ქულა, 16 მოხსნა)
ინდიანა: როუზი (28), მილერი (20), ბესტი (18 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)

**ჩიკაგო 86:91 ნიუ იორკი**
ჩიკაგო: ბრენდი (26), არტესტი (18)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (26), ჯონსონი (24)

**დეტროიტი 103:93 კლივლენდი**
დეტროიტი: ბაროსი (16)
კლივლენდი: ილგაუსკასი (17)

**ორლანდო 83:80 ნიუ ჯერსი**
ორლანდო: მაკგრეიდი (31)
ნიუ ჯერსი: მარბერი (25)

**მაიამი 92:94 იუტა**
მაიამი: ჯონსი (25), მეისონი (28), გრანტი (17 ქულა, 11 მოხსნა)
იუტა: მელოუნი (27), რასელი (18 ქულა, 6 ჩაჭრა)

**ტორონტო 104:95 კლიპერსი**
(ძირითადი დრო 93:93)
ტორონტო: ვილიამსი (20 ქულა, 15 პასი), ჯექსონი (19),
კლიპერსი: რიჩარდსონი (20), ოდომი (17 ქულა, 9 მოხსნა, 6 დაფარება, 5 პასი)

**ბოსტონი 98:102 მინესოტა**
ბოსტონი: პირსი (25 ქულა, 10 მოხსნა), ბათი (19 ქულა, 12 მოხსნა), უოლკერი (19 ქულა, 11 მოხსნა)
მინესოტა: ბილაფსი (29), გარნეტი (21 ქულა, 13 მოხსნა)

**ფილადელფია 95:74 შარლოტი**
ფილადელფია: აივერსონი (37 ქულა, 10 მოხსნა)
შარლოტი: მაშბერნი (19), დევისი (18)

ამ უქმეებზე გასამართ შეხვედრათაგან უდიდეს ინტერესს მოქმედი და ყოფილი ჩემპიონების — „ლეიკერსისა“ და „სან ანტონიოს“ ჯახი იწვევდა. ბობოლებმა ერთმანეთს სისხლი გაუშრეს, გამარჯვება კი მოქმედ ჩემპიონ „ლეიკერსს“ დარჩა, რადგან იმ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე სწორედ ამ გუნდშია. 22 წლის კობი ბრაიანტმა პირადი რეკორდი დაამყარა, 43 ქულა დააგროვა, აქედან 15 ბოლო მეოთხედში და „სფურზი“ შინ მარცხნაჭამი გაუშვა.

ვიცე-ჩემპიონი „ინდიანა“ ისე ჩავიდა ვანკუვერში, აქამდე დასავლელი გუნდისთვის არ მოეგო. აიზია ტომასის შეგირდებმა უხეირო „ვანკუვერთან“ გატეხეს ნავსი, თუმც ამისთვის დამატებით დროში ოფლის ღვრა დასჭირდათ. მასპინძელმა შარიფ აბდურ-რაჰიმმა სტუმრებს ბოლო მეოთხედში 20 ქულა ჩაუგდო, ამასთან სამიანით შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა, თუმც იქ მას სტუმრებმა საკუთარი კალათისკენ გზა გადაუღობეს და ვინაიდან იმ დღეს დანარჩენი „დათვები“ ტყემალზე იხსდნენ, „ინდიანამ“ ოვერტაიმი 10:0 მოიგო.

სეზონის დაწყებამდე ჩემპიონობის მაძიებელთა მარაქაში გარეული, მერე კი ცხრილის სიღრმეში ჩაძირული „მაიამი“ შინ მოხუც კალათბურთელთა თავშესაფარ „იუტა ჯაზს“ ბოლო მეოთხედში 13 ქულას უგებდა, მაგრამ ტრადიციულად ჩაეძინა შეხვედრის ამ მონაკვეთში და რაღაც სასწაულით უპირატესობა გაფლანგა. სტუმარმა კარლ მელოუნმა მატჩის დამთავრებამდე 2,6 წამით ადრე, 92:92 ანგარიშზე, უახლოესი მეგობრის, ჯონ სტოქტონის აცილებულს დაამატა და „მაიამის“ უკვე მერამდენედ მოასმენინა მისივე გულშემატკივართა ლანძღვა-გინება.

ტორონტოელ „ოქრობიჭს“, ვინს კარტერს ფეხი სტკივა და თავისიანებს ვერაფრით ეხმარება, მის გარეშე კი „რეპტორზი“ ერთი რიგითი გუნდია, რომელსაც „კლიპერსის“ დამარცხებაც უჭირს. ამ ბოლო ხანებში კარტერის წყალობით წამოზრდილმა „დინოზავრებმა“ შინ ძლივსძლივობით, ოვერტაიმში დაამარცხეს ბოლო წლების უსუსტესი გუნდი.

„ფილადელფიას“ „შარლოტის“ ჯინი სჭირდა. სწორედ „შარლოტმა“ გაუწყვიტა სეზონის სტარტზე ათმატჩიანი მოგებების სერია. „სიქსერზმა“ სრულფასოვანი რევანში აიღო — „ჰორნეთსს“ ბოლო შვიდ შეხვედრაში პირველმა აწვნია მარცხის სიმწარე, ფილადელფიელმა ალენ აივერსონმა კი სეზონში ყველაზე მეტი, 37 ქულა მოაგროვა, ამასთან ბოლო წლების ნბა-ს ერთ-ერთმა უძლიერესმა მექულემ მიმდინარე სეზონში 30-ქულიან ზღვარს პირველად გადააბიჯა.

2 დეკემბერი

**დენვერი 103:92 სიეტლი**
დენვერი: მაკდაიესი (37 ქულა, 17 მოხსნა), ლენარდი (22)
სიეტლი: ლუისი (26)

**გოლდენ სტეიტი 78:97 დალასი**
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (20 ქულა, 11 მოხსნა)
დალასი: ნოვიცკი (24), ფინლი (13 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი)

**ჰიუსტონი 85:96 პორტლენდი**
ჰიუსტონი: ფრენსისი (24)
პორტლენდი: სტუდემაიერი (31), ვოლესი (22)

**ვაშინგტონი 90:93 მაიამი**
ვაშინგტონი: სტრიკლენდი (22)
მაიამი: ჯონსი (20), მეისონი (20)

**შარლოტი 94:89 იუტა**
შარლოტი: ვესლი (30), მაშბერნი (21 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი)
იუტა: რასელი (24)

**ნიუ იორკი 100:90 მინესოტა**
ნიუ იორკი: სპრიუელი (37)
მინესოტა: გარნეტი (21)

**ნიუ ჯერსი 74:95 ორლანდო**
ნიუ ჯერსი: ვილიამსი (14)
ორლანდო: მაკგრეიდი (40 ქულა, 10 მოხსნა)

**კლივლენდი 78:112 ფილადელფია**
კლივლენდი: გეტლინგი (13)
ფილადელფია: აივერსონი (27)

**ატლანტა 101:94 მილუოკი**
ატლანტა: ტერი (30)
მილუოკი: ალენი (19)

„სიეტლ სუპერსონიქსის“ ახალგამომცხვარი მწვრთნელი ნეიტ მაკმილანი პირველად გაწბილდა. მისი გუნდი „დენვერ ნაგითსს“ სტუმრობდა და უკვე პირველი ნახევრის შემდეგ 14 ქულით აგებდა. „ზებგერითებმა“ ეს სხვაობა ერთხანს ოთხ ქულამდეც დაიყვანეს, მაგრამ უქმად არც მასპინძლები მდგარან. დენვერელმა ვოშონ ლენარდმა სეზონის პირადი რეკორდი დაიმყარა, მის თანაგუნდელ ანტონიო მაკდაიესს კი იქამდე 4 ქულა დააკლდა.

3 დეკემბერი

**დეტროიტი 93:87 ვაშინგტონი**
დეტროიტი: სტეკჰაუზი (24)
ვაშინგტონი: ლოპესი (23)

**სიეტლი 118:102 გოლდენ სტეიტი**
სიეტლი: პეიტონი (38 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა), პატერსონი (24)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (51 ქულა, 14 მოხსნა)

**ვანკუვერი 79:97 სან ანტონიო**
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (16)
სან ანტონიო: დანკანი (30)

**ბოსტონი 96:87 კლიპერსი**
ბოსტონი: პირსი (25)
კლიპერსი: ოდომი (19)

**ლეიკერსი 99:97 დალასი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (38 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (25 ქულა, 14 მოხსნა),
დალასი: ნოვიცკი (25), ფინლი (22)

**მილუოკი 92:80 ინდიანა**
მილუოკი: რობინსონი (24)
ინდიანა: როუზი (26), ონილი (21)

**ფინიქსი 84:79 პორტლენდი**
ფინიქსი: კიდი (29 ქულა, 6 ჩაჭრა)
პორტლენდი: ვოლესი (16)

მიმდინარე სეზონში ჯერ არავის ჩაუგდია იმდენი, რამდენიც გოლდენსტეიტელმა ყმაწვილმა ანტუან ჯემისონმა სიეტლში. ჯემისონმა 51 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა მისი უსახური გუნდის გამარჯვების გარანტია.

ირაკლი ფირჩხვილი

## ჩოგბურთი

# გუგამ დაიგუგუნა

**ლისაბონი. პორტუგალია. „მასტერსის თასი“. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 3,7 მილიონი $**

### წითელი ჯგუფი

III ტური

**პიტ სამპრასი (3, აშშ) — მარატ საფინი (1, რუსეთი) 6:3, 6:2**

| | თ | მ | წ | სეტ |
|---|---|---|---|---|
| პიტ სამპრასი | 3 | 2 | 1 | 4:2 |
| მარატ საფინი | 3 | 2 | 1 | 4:3 |
| ლეიტონ ჰიუიტი | 3 | 1 | 2 | 3:4 |
| ალექს კორეჩა | 3 | 1 | 2 | 3:5 |

### მწვანე ჯგუფი

III ტური

**ანდრე აგასი (8, აშშ) — მაგნუს ნორმანი (4, შვედეთი) 6:3, 6:2; გუსტავო კუერტენი (2, ბრაზილია) — ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) 6:3, 6:4**

| | თ | მ | წ | სეტ |
|---|---|---|---|---|
| ანდრე აგასი | 3 | 3 | 0 | 6:1 |
| გუსტავო კუერტენი | 3 | 2 | 1 | 5:2 |
| ევგენი კაფელნიკოვი | 3 | 1 | 2 | 2:5 |
| მაგნუს ნორმანი | 3 | 0 | 3 | 1:6 |

**ნახევარფინალი: ანდრე აგასი — მარატ საფინი 6:3, 6:3**

მარატ საფინისთვის კარიერაში პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი კარგად დაიწყო, მაგრამ მეტისმეტად ცუდად დასრულდა. ტურნირის დასაწყისში ორი გამარჯვების შემდეგ, სეზონის ბოლოს მსოფლიოს პირველი ჩოგნობის დასაბევებლად 20 წლის რუსს ერთადერთი მოგება სჭირდებოდა, თუმცა ამ არცთუ ძნელი მისიის შესრულება შეუძლებელი გამოდგა: ჯერ პიტ სამპრასმა, მერე კი კიდევ ერთმა ვეტერანმა ამერიკელმა — ანდრე აგასიმ საფინის ოცნებას წერტილი დაუსვეს.

თუ სამპრასთან წაგების შემდეგ რუსმა გულწრფელად აღიარა, თავად არ ვიცოდი, კორტზე რას ვაკეთებდიო, აგასისთან შეხვედრაში მას საპატიო თავის გასამართლებელი მიზეზი ჰქონდა: მატჩის დასაწყისშივე უხერხულად წაიქცა და ფეხი ისე იტკინა, ექიმ ბილ ნორისის ხელთ არსებული სახვევების მთელი მარაგი დასჭირდა.

თუმცა რუსს შესანიშნავად მოთამაშე აგასისთან გამკლავება ისედაც წარმოუდგენლად გაუჭირდებოდა — ამერიკელი ბურთს ლამის კორტიდან ასხლტომას არ აცლიდა, ისე სწრაფად აბრუნებდა ბადის მეორე მხარეს და ზორბა მეტოქეს მძლავრი არტილერიის ასამუშავებლად დროს არ უტოვებდა.



ანდრე აგასი

ახალი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის დამარცხებამ აგასის ახალგაზრდა ჩოგბურთელთა პოპულარიზაციისკენ მიმართული სარეკლამო კამპანიის — „ახალი ბურთები, გეთაყვა“ (სიტყვების თამაშით ინგლისურად „ბურთები“ მამაკაცის სასქესო ორგანოსაც ნიშნავს) გაქილიკების შესაძლებლობა მისცა: „ვფიქრობ, ჩოგბურთი ისეც შესანიშნავი თამაშია და მხოლოდ ისიცაა საკმარისი მისი პოპულარიზაციისთვის, რასაც ხალხს სთავაზობს, მოთამაშეთა ბურთებსა თუ სხეულის ორგანოებზე მიუთითებლად. ახალი თაობა მუდმივად იზრდება და მხოლოდ დროის საქმეა, ვიდრე მწვერვალზე მოექცევიან. თუმცა სანამ ჯანმრთელობა მიწყობს ხელს, მეც არავის ჩამოვრჩები“.

**გუსტავო კუერტენი — პიტ სამპრასი 6:7 (5:7), 6:3, 6:4**

მეორე ნახევარფინალის წინ მოსკოვში გასამგზავრებლად გამზადებული მარატ საფინი პიტ სამპრასთან მივიდა და ორადორი სიტყვა უთხრა — გთხოვ, მოიგეო. ოთხშაბათიდან მოყოლებული ერთადერთი მარცხი კმაროდა საიმისოდ, რომ გუსტავო კუერტენს კლასიფიკაციაში რუსის გასწრების შანსი დაეკარგა, მაგრამ საფინს თხოვნა ვერც ლეგენდარულმა ამერიკელმა შეუსრულა.

საოცრად მაღალი დონის, თვალსაამური გათამაშებებით გამორჩეულ მატჩში „გუგამ“ მეტოქის მრისხანე მოწოდებების მორჯულება და ფანტასტიკური შემოვლებულების ერთიმეორის მიყოლება მოახერხა, თავად კი გამოუვალ სიტუაციებს არაერთხელ დააღწია თავი. ასე გადაარჩინა ბრაზილიელმა მესამე სეტის დასაწყისში სამმაგი ბრეიკ-პოინტი, მერე კიდევ ორი მატჩის უკანასკნელ გეიმში და კარიერაში პირველად მოუგო „პისტოლ პიტს“.

„გამუდმებით მეკითხებიან, რას ვფიქრობ მსოფლიოს პირველ ჩოგნობაზე, მაგრამ ამ წუთში სულ სხვა პრობლემები მაწუხებს — როგორ ვითამაშებ ხვალ ანდრეს წინააღმდეგ. თავს არ დავზოგავ, ბოლომდე ვიბრძოლებ და ვნახოთ, ეს საკმარისი იქნება თუ არა“ — აღნიშნა აგუგამ.

**ფინალი: გუსტავო კუერტენი — ანდრე აგასი 6:4, 6:4, 6:4**

სამშაბათს ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩში ზურგის და ფეხის კუნთების დაჭიმვასა და ამავე აგასისთან წაგების შემდეგ გუსტავო კუერტენი მზად იყო, უარი ეთქვა თამაშის გაგრძელებაზე: „რამდენიმე საათის განმავლობაში ვფიქრობდი, მორჩა, რაღა აზრი აქვს აქ დარჩენას-მეთქი. მაგრამ მეორე დილით თავი ცოტა უკეთ ვიგრძენი, მკურნალობამ ნელ-ნელა შედეგი გამოიღო და მეც გადავწყვიტე, გამერისკა“.

ასე, ზურგზე მორგებული კორსეტის, ტკივილგამაყუჩებელი აბებისა და ATP-ის ორი მკურნალის, ბილ ნორისისა და ალექს შტობერის ხშირი მასაჟების წყალობით „გუგამ“ შეუძლებელი შეძლო, ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და მსოფლიოს ურთულესი ტურნირი მოიგო.

შეიძლება ითქვას, მცირე ტრავმები ბრაზილიელს გარკვეულწილად დაეხმარა კიდეც — ჩვეულებრივ „გუგა“ კორტზე მეტისმეტად უკან მოკლათებას და ბურთის ხანგრძლივ გაცვლა-გამოცვლას არჩევს. მაგრამ რაკი ჩვეულ გამძლეობას და მობილურობას ამჯერად მოკლებული იყო, ხშირად რისკავდა და ცდილობდა, გათამაშებები რაც შეიძლება სწრაფად დაესრულებინა.

ალმაფრენით მოთამაშე კუერტენის წინააღმდეგ აგასი უმწეოდ გამოიყურებოდა, საოცრად ბასრი კუთხით მიმართულ დარტყმებს თვალს თუ გააყოლებდა ხოლმე, ტყვიასავით ბექჰენდებსა და მოწოდებებზე რეაგირებასაც კი ვერ ასწრებდა.

საკუთარი უილაჯობით გამწარებულ ანდრეს მატჩში ორჯერ ისე აებნა თავგზა, გეიმები დასრულებული ეგონა და სკამზე აპირებდა ჩამოჯდომას, სანამ მთავარი მსაჯი ტანჯვის გასაგრძელებლად კორტზე არ იხმობდა.

„ჩოგბურთში ყველაზე მეტად ოთხი რამ ფასობს: დიდი სლემის ყველა ტურნირის და დევისის თასის მოგება, ოლიმპიური ჩემპიონობა და სეზონის პირველ ჩოგნად დასრულება. დღეს მან ისეთი რამ მოახერხა, სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრება“ — განაცხადა მოგვიანებით აგასიმ.

„გუგას“ თავისი მიღწევის მნიშვნელობის შეხსენება არ სჭირდებოდა — მატჩი დასრულდა თუ არა, ოჯახის წევრების, ლოჟისა და თანამემამულეებით სავსე ტრიბუნისკენ გასწია და ხელში ვინც მოხვდა, ყველას გადაეხვია.

„ვერც კი გეტყვით, თავს როგორ ვგრძნობ, ეს თითქოს ადამიანისთვის უცნობი შეგრძნებაა. პროვინციულ ფლორიანაპოლისში გაზრდილი ბიჭი ვერც კი ვიოცნებებდი მსგავს წარმატებაზე“.

კუერტენი პირველი სამხრეთამერიკელი გახდა, ვინც სეზონი კლასიფიკაციაში პირველმა დაასრულა და 1990 წელს მაიკლ ჩანგის შემდეგ პირველი მოთამაშეა, ვინც ზედიზედ სამპრასის და აგასის დამარცხება შეძლო. ვინ იტყვის, რომ ლისაბონში მოპოვებული 1,4 მილიონი დოლარი „გუგაზე“ მეტად ვინმემ დაიმსახურა?

**ავთანდილ სვანიძე**

## კრივი

# ტიტო დიდი ჩემპიონია!

## ვარგასმა ვერ ივარგა

**როგორც** იქნა, კრივმა და ხალხმა მიიღო ის, რაც ეკუთვნოდა! დიდი ორთაბრძოლა, დიდი ოსტატობა და დიდი სანახაობა. ლას ვეგასის „მენდალი ბეი კაზინოს“ რინგზე ფედერაციისა (იბფ) და ასოციაციის (ვბა) ქამრებისთვის ერთმანეთს შეერკინენ წაუქცეველი, წონებში მოგზაური ფელიქს „ტიტო“ ტრინიდადი და ფერნანდო ვარგასი.

ქვესაშუალო წონას და საერთოდაც კრივს, კარგახანია არ უნახავს ამგვარი ორთაბრძოლა.

ჩხუბი თორმეტ რაუნდს გაგრძელდა და ტრინიდადის სასარგებლოდ, ნოკაუტით დასრულდა. რაუნდის წინ დათვლის შედეგები იმგვარი იყო, რომ ვარგასი თუ მოიგებდა, მხოლოდ ნოკაუტით. საპირისპირო კი მოხდა, ამ უკანასკნელ რაუნდში ტრინიდადმა დასცა მოწინააღმდეგე. „მე მოკლე ბრძოლას ველოდი, მაგრამ ვარგასმა თავი დადო“ — თქვა ბრძოლის შემდეგ ორი ქამრის მფლობელმა პუერტორიკოელმა.

ვარგასმა მართლაც ჩინებულად იკრივა ბრძოლის შუა რაუნდებში. მაგრამ 10-ე, 11-ე და 12-ე რაუნდები პირწმინდად დათმო, გამხსნელ რაუნდში კი ორჯერ ჩავარდა ნოკდაუნში.

მესამე რაუნდში ტრინიდადმა ქამარსქვემოთ მოარტყა ვარგასს და თითქოს ეს იქცა ამ უკანასკნელის გამოღვიძების ნიშნად. პუერტორიკოელმა თავადაც, კარიერაში მეშვიდედ, საჩემპიონო ბრძოლებში კი მეექვსე ნოკდაუნი იწვნია. მაგრამ ნოკდაუნი რომ ტრინიდადის წამხდენი არაა, ცნობილი ამბავია: 1993 წლიდან მოკიდებული ფელიქსმა 17-ჯერ დაიცვა ფედერაციის ჩემპიონის ტიტული, აქედან კი 6-ჯერ ისე, რომ ნოკდაუნი იგემა.

„მე არ მინდოდა ნოკაუტით მოგება“, თქვა მან „ისედაც პირწმინდად ვიგებდი“.

მეთორმეტე რაუნდის დაწყებიდან ნახევარი წუთი იქნებოდა გასული, როცა ტრინიდადის ცაცია ჰუკმა ვარგასი დასცა. ვარგასი წამოდგა, რათა კიდევ ერთი საშინელი დარტყმა ეგემა — პირდაპირმა მარჯვენამ ის კვლავ გააწვინა ფიცარნაგზე.

ბრძოლა რომ გასრულდა, წაგებულმა არაფერი უთხრა ჟურნალისტებს, ჩემპიონმა კი დიდად აქო მოწინააღმდეგე და ბრძოლასაც „დიადი“ უწოდა. „მენდალი ბეიში“ შეყრილი 11 ათასი მოსეირე მართლაც საუცხოო კრივის მომსწრე შეიქნა. ისეთი ამბავი იყო, მხოლოდ მძიმე წონის დიდი შერკინებისას რომ ატყდება ხოლმე.

„ვარგასი დიდი ჩემპიონია, მაგრამ დღეს მე უფრო ძლიერი ვარ“, გამოაცხადა ტრინიდადმა, რომელმაც გზად შემოყრილი ისეთი ხალხიც კი დაამარცხა, „ოქროს ბიჭი“ ოსკარ დე ლა ჰოია და დევიდ რიდი რომ არიან.

ჩხუბის მომწყობი, რაღა თქმა უნდა, დონ კინგი იყო.

ამ გაქნილმა კაცმა უკვე გამოაცხადა ერთი პატარა საიდუმლო! თუკი მძიმე წონაში გაბატონებული, დღეის უძლიერესი მოკრივე როი ჯონსი წონაში დაიკლებს, ტრინიდადი მასაც გამოიწვევს.

„როი, გაემზადე, ჩვენ მოვდივართ“, შესძახა პრესკონფერენციაზე.

აქამდე წაუგებელმა ვარგასმა კი პირველად წაიმტვრია ფეხი. თუმცა, ის მეტად ამაყი ყოფილა იმისთვის, რომ ტრინიდადს შეარჩინოს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**







„მენდალი ბეის“ დარბაზში შეკრებილ 11 ათას მაყურებელს შორის იყო მაიკ ტაისონიც, რომელმაც დიდი ინტერესით უცქირა ტრინიდადისგან ვარგასის ძლევას

## ჰოკეი

1 დეკემბერი

**ვაშინგტონი — ბოსტონი 3:2**
1:1 1:0 1:1

**ბუფალო — პიტსბურგი 4:6**
1:2 3:2 0:2

**ნიუ ჯერსი — აილენდერსი 0:0**

**ატლანტა — ტამპა 5:3**
1:0 2:2 2:1

**ნეშვილი — ჩიკაგო 1:2**
0:0 1:2 0:0

**ფლორიდა — დეტროიტი 1:3**
0:2 1:0 0:1

**კოლორადო — დალასი 4:2**
1:0 1:1 2:1

2 დეკემბერი

**ტორონტო — რეინჯერსი 8:2**
2:0 4:1 2:1

**ლოს ანჯელესი — მინესოტა 3:2**
2:0 0:2 1:0

**ტამპა — დეტროიტი 3:0**
3:0 0:0 0:0

**სენტ ლუისი — ფლორიდა 5:2**
2:2 1:0 2:0

**ბოსტონი — ვაშინგტონი 0:2**
0:0 0:0 0:2

**კალგარი — მონრეალი 1:1**
0:0 1:0 0:1 0:0

**ოტავა — ფილადელფია 5:3**
3:0 0:1 2:2

**კოლუმბუსი — ატლანტა 1:2**
0:1 0:1 1:0

**ფინიქსი — დალასი 2:5**
0:3 2:1 0:1

**პიტსბურგი — ბუფალო 2:3**
0:1 0:2 2:0

**ვანკუვერი — ედმონტონი 5:2**
2:0 1:1 2:1

3 დეკემბერი

**ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი 4:0**
0:0 2:0 2:0

**აილენდერსი — ნიუ ჯერსი 1:1**
0:0 1:0 0:1 0:0

**რეინჯერსი — კოლორადო 3:6**
0:1 2:1 1:4

**ჩიკაგო — კოლუმბუსი 5:0**
2:0 1:0 2:0

**კაროლინა — ოტავა 0:2**
0:0 0:2 0:0

**ედმონტონი — სან ხოსე 3:3**
2:0 1:1 0:2 0:0

# ქართველები ინდოეთში



ნანა ალექსანდრია

დელიდან

**რეპორტაჟისთვის** სათაურს რომ ვირჩევდი, იმედი მქონდა, ბოლომდე შევინარჩუნებდი. არ მეგონა, ქართველები ასე პანტაპუნტით თუ დავტოვებდით საჭადრაკო ბრძოლის ველს. II რაუნდში კიდევ 3 ქართველი გამოეთიშა ჩემპიონატს და თითო-თითო მოჭადრაკის ამარა დავრჩით: ნანა იოსელიანი — ქალებში (ჩვენი ქეთევან კახიანი გერმანიის სახელით გამოდის), ზურაბ აზმაიფარაშვილი — ვაჟებში. სასიამოვნო ამბით დავიწყებ.

მსოფლიოს ჩემპიონ ალექსანდრ ხალიფმანთან და მსოფლიოს თასის მფლობელ ვიში ანანდთან ერთად II რაუნდში ჩაერთო თამაშში ტურნირის მე-8 რეიტინგის მფლობელი ზურაბ აზმაიფარაშვილი. მისი მეტოქე იყო ახალგაზრდა უკრაინელი დიდოსტატი, ამჟამად გერმანიაში მცხოვრები ვლადიმირ ბაკლანი. ზურაბმა I პარტია თეთრებით დამაჯერებლად მოიგო. დაძაბული ბრძოლის შემდეგ II პარტიაში ყაიმი დაფიქსირდა და ქართველი დიდოსტატი შემდეგ რაუნდში გავიდა, სადაც მისი მეტოქე იქნება ცნობილი ამერიკელი დიდოსტატი, წარსულში ჩემი ბურევესტნიკელი. თანაკლუბელი ბორის გულკო, ყოფილი საბჭოთა დისიდენტი, სსრკ-ს ექს-ჩემპიონის, ანია ახშარუმოვას მეუღლე. საბჭოთა კავშირიდან გულკოს დიდხანს არ უშვებდნენ, ანიამ და ბორისმა წითელ მოედანზე აქციები მოაწყვეს, გრძელვადიანი შიმშილობაც კი გამოაცხადეს. მახსოვს, საპროტესტო აქციის დროს დიდი კითხვისნიშნიანი მაისურები ეცვათ...

ჩემპიონატის პრესცენტრში ყველა ლაპარაკი ანანდის გარშემო ტრიალებს. აქტუალური თემაც კი — ზედიზედ მეორედ „მის ინდოეთის“ „მის მსოფლიოდ“ არჩევა — ანანდს დაუკავშირეს. გაირკვა, რომ „მის ინდოეთის“ ცერემონიალზე ანანდი ჟიურის წევრი იყო და სწორი არჩევანიც გააკეთა.

თეთრებით ვიში ანანდის ბრწყინვალე გამარჯვება მოლდოველ დიდოსტატ ვიქტორ ბოლოგანთან პირველ ორ რაუნდში ჩემპიონატის საუკეთესო პარტიად მონათლა. პარტიის შემდეგ გამარჯვებულმა ანანდმა მილოცვა არ მაცალა: „შენ მაგარი, მაზალო ტიპი ხარ!“ — მითხრა მოკლედ, ანანდს უნდა ვუქომაგოთ, ძალიან ბევრი ქართული სიტყვა იცის, უყვარს ხაჭაპური, საცივი, ფხალეული, მჭადი, აჯიკა, შებოლილი სულგუნი, თანაც ძალიან კარგად თამაშობს, საოცრად სიმპათიური პიროვნებაა და მწვრთნელიც ქართველი ჰყავს — ელიზბარ უბილავა. მეტი რა გვინდა.

მსოფლიოს ჩემპიონატი ანანდმა ნიანგებით სავსე წყალს შეადარა, არ ვიცი, რის შემოვეჭმებიო. ანანდი მესამედ ცდილობს მსოფლიოს ჩემპიონატის „გადაცურვას“. პირველად კასპაროვს „შემოეჭამა“ 1995 წელს, ნიუ იორკის მატჩის ბოლოში 5:4 იგებდა. მე-10 პარტიაში კასპაროვმა უძლიერესი სადებიუტო სიახლე გამოიყენა. ეს პარტია გადამწყვეტი აღმოჩნდა მატჩში. მეორედ ანანდი კარპოვს „შემოეჭამა“ — 1998 წელს ლოზანაში. ეს მარცხი უსამართლო და დაუმსახურებელი იყო. ვიშიმ ნოკაუტ სისტემით 6 მატჩი ითამაშა, ზოგ შემთხვევაში დამატებითი პარტიებით. კარპოვი კი მხოლოდ ფინალში ჩაერთო და დაღლილ ანანდს წაგებული მატჩი მოუგო. ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატში ანანდს არ უთამაშია, ლას ვეგასი ალექსანდრ ხალიფმანის გამარჯვებით დამთავრდა.

დელიში ხალიფმან-ლუტის ძირითადი მატჩი 1:1 დამთავრდა. შემოკლებული კონტროლით დამატებითი მატჩი ხალიფმანმა მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად აგრძელებს ბრძოლას. მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ერთ დიდოსტატს ვგულშემატკივრობ — სერგო მოვსესიანს, ჩეხეთში მცხოვრებ თბილისელ სომეხს, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ ერთიანული თამაშის სეანსის დროს დამარცხა. საოცრად ცოცხალი, კეთილგანწყობილი, კონტაქტური სერგო უამრავ ენას ფლობს, გამართულად საუბრობს ქართულსაც. II რაუნდში სერგომ დამატებით დროში სძლია მოლდოველ დიდოსტატ იორდაჩესკუს.

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი სვანი შემოგვრჩა: ნანა იოსელიანი და ქეთევან კახიანი-გერშინსკა, ყველას მაგივრად მათ უნდა იძიონ შური. II რაუნდში ნანას მეტოქე იყო ფინელი ნინა კოსველა, რომელმაც ყველასთვის მოულოდნელად I რაუნდში 2:0 დაამარცხა სტამბოლის ოლიმპიადის „აღმოჩენა“, ინდოელი ვიჯაიალაქშმი („ვიჯიმ“ I დაფაზე II ადგილი აიღო და ერთადერთი მარცხი აწვნია ნანას). ნინა კოსკელამ მსოფლიოს ჩემპიონატში მოსახვედრად ჩრდილოეთ ევროპის ზონალური ტურნირი მოიგო, იგი ერთი წელია, მეხიკოში მუშაობს ფირმა „ერიკსონის“ მენეჯერად. ნანამ ნინას I პარტია მოუგო, მეორეში კი უკეთეს პოზიციაში ენერგიის დაზოგვის მიზნით ყაიმზე შეუთანხმდა და II რაუნდში გავიდა.

კარგი მატჩი მოუგო იუგოსლაველ დიდოსტატ მარია მანაკოვას ჩვენმა სვანმა გერმანელმა ქეთევან კახიანი-გერშინსკამ. III რაუნდში მან ქეთევან არახამიას ნაცვლად ჩინელ ცინზე უნდა იყაროს ჯავრი.

თუ ჩეხოვის „სამი და“ მოსკოვში წასვლას ნატრობდა, სამი და — არახამია ოჩამჩირეში დაბრუნებაზე ოცნებობდა. ვერ დაბრუნდნენ (როგორც ამბობენ, მათ სახლში დღესაც კაზაკები ცხოვრობენ) და მიმოიფანტნენ მსოფლიოში: უფროსი და ამერიკაში გათხოვდა, უმცროსი — ინგლისში, შუათანა ქეთი არახამია კი შოტლანდიაში, თუმცა მოქალაქეობის გამოცვლას არ აპირებს. ქეთიმ თავისი მომავალი მეუღლე, სადაზღვევო კომპანიის მენეჯერი, ოსტატი ჯონათან გრანტი პირველად საჭადრაკო დაფასთან დაამარცხა ლიხტენშტეინში 1995 წელს. ეს გამარჯვება ქეთისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა — შეიქმნა ოჯახი და გაჩნდა შესანიშნავი ელენე. საჭადრაკო დაფასთან ქეთი არახამიას ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოუპოვებია. 1986 წელს იგი გახდა 20 წლამდე გოგონათა მსოფლიოს ჩემპიონი (12,5 ქულა 13-დან!); 3-ჯერ ითამაშა პრეტენდენტთა ტურნირში, 2-ჯერ საქართველოს გუნდთან ერთად მოიგო საჭადრაკო ოლიმპიადა; ნოვი სადის ოლიმპიადაზე კი 1990 წელს მოაგროვა სარეკორდო 12 ქულა 12-დან! ამჯერად, სამწუხაროდ, ქეთიმ ვერ გაგვახარა. ცინი — არახამია 1,5:0,5. კიდევ ერთი ქართველი გამოეთიშა ჩემპიონატს, კიდევ ერთი ჩინელი მიიწევს წინ.

მთავარი დარტყმა ქართულ საჭადრაკო თავმოყვარეობას ჩიბურდანიძე — პეპტანის მატჩში ელოდა... მაია ჩიბურდანიძე პოპულარულია დელიში. 1984 წელს აქ მაიამ ვაჟთა ძლიერი საერთაშორისო ტურნირი მოიგო, დიდოსტატის ნორმაც შეასრულა ვაჟებში და ჭადრაკის ისტორიაში ამ წოდების მფლობელი მეორე ქალი გახდა ნონას შემდეგ. გამარჯვებული მაია თვით ინდირა განდიმ მიიღო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი ატმის ხეც აყვავდა (როგორც მითხრეს, „მაია“ ინდური სახელია და ატმის ყვავილს ნიშნავს), ინდირა განდი სიცოცხლეს გამოასალმეს... მაიას თამაშსაც გამოეცალა სიცოცხლე. რას იზამ, დრონი მეფობენ და არა მეფენი. ქალთა ჭადრაკის მოცარტი, 17 წლისა მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი (რეკორდი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სამუდამოდ დარჩება გინესის რეკორდების წიგნში) ის აღარ არის, რაც იყო... დაფასთან იჯდა თავწაკრული მაია, თავი კი აშკარად არასასურველ იმპულსებს იძლეოდა. სად გაქრა პოზიციის საოცარი წვდომა, საშიშროების პეტროსიანისეული შეგრძნება და მთავარი — მებრძოლი სული. ოლიმპიადის დროს მაიაზე ვბრაზობდი, რატომ არ იბრძვის-მეთქი. არ მინდოდა, დამეჯერებინა, რომ ბრძოლა აღარ შეუძლია. ახლა ჩემს თავზე გავბრაზდი, რატომ მავიწყდება, რომ მაიამ მეტად სერიოზული ავარია გადაიტანა, ერთი თვის განმავლობაში მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა... კორინა პეპტანი — მაია ჩიბურდანიძე 1,5:0,5 და ახალგაზრდა რუმინელი დიდოსტატი II რაუნდში ნანა იოსელიანს ხვდება. კორინამ ნამდვილად ივაჟკაცა, კმარა.

საინტერესო გამოდგა ინგა ხურცილავასა და 17 წლის ვიქტორია ჩმილიტეს მატჩი. ლიტველმა დიდოსტატმა ოლიმპიადაზე I დაფა მოიგო (9,5 ქულა 12-დან!), იქამდე კი, ყველასთვის მოულოდნელად, დუბლი გააკეთა: მოიგო ლიტვის ჩემპიონატი ქალებშიც და ვაჟებშიც (დიდოსტატ ვიქტორ გავრიკოვთან ერთად!). ისევე როგორც ინგას, ვიქტორიასაც გაუმართლა I რაუნდში. სამწუხაროდ, II რაუნდშიც ჩმილიტეს გაულიმა ბედმა. ინგას თეთრებით რევანში უნდა აეღო პირველ პარტიაში მარცხისთვის. მან შეწირულ პაიკში გადამწყვეტი უპირატესობა მიიღო. უპირატესობის რეალიზება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ხურცილავამ არასწორი გზა აირჩია. ჩმილიტემ, ძნელად დასანახ ერთადერთ საყაიმო გაგრძელებას მიაგნო და მატჩი მოუგო — 1,5:0,5.

მსოფლიოს ჩემპიონატის I რაუნდის მსგავსად II რაუნდის შემდეგაც ბევრი მოჭადრაკე ქალი „დავკარგეთ“ — სამი. ჩინელებმა და რუსებმა კი კვლავ თითოთითო. როცა ინდოელები ჩემპიონატში მხოლოდ ანანდის ამარა დარჩნენ, იწყინეს, მაგრამ გული არ გაუტეხიათ, არა უშავს, რომი ერთ დღეში არ აშენებულაო. მართლებიც არიან იმედს რომ არ კარგავენ, ისეთი კარგი პირობები აქვთ და იმდენი ნიჭიერი ახალგაზრდა ჰყავთ, რომ შედეგი მარტო ანანდთან კი არა, მალე სხვებთანაც მოვა. მე კი წარსულ დიდებას ვიხსენებ, ახალი რომის აშენებაზე ოცნება კი მიჭირს. მართალია, ნიჭიერი ახალგაზრდა ჩვენც საკმაოდ გვყავს, მაგრამ... დიდი პროფესიონალის გაზრდას დიდი ფული სჭირდება. რა მოხდება, რომ ჭადრაკს სერიოზული სპონსორი გამოუჩნდეს, მაგალითად, „მაგთი“ — „ჩვენ ვფიქრობთ ქართულ ჭადრაკზე ის, ვინც ფიქრობს, ირჩევს „მაგთის“. ძლიერო ფირმებო, ძალიან გთხოვთ, იფიქრეთ და მოიფიქრეთ. ქართულ ჭადრაკს დღეს თქვენი დახმარება სჭირდება!




ზურაბ აზმაიფარაშვილი

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 5 დეკემბერს ჟურნალისტთა სახლში დაგეგმილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატის ლევან თედიაშვილის პრესკონფერენცია არ გაიმართება.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია





ლოკომოტიველ გიორგი კახიანსა (მარცხნივ) და ყოჩ რატი ურუშაძეს დღესაც მოუწევთ მეტოქეობა

# ეროვნული ფინალი თასის პრეზენტაციით

ფინალი
თბილისი. ეროვნული
5 დეკემბერი

ლოკომოტივი 1 — სტუ-ყოჩები

**დღეს** ქართველი ფეხბურთელების ნაცოდვილარით შეწუხებულ „ეროვნულის“ მწვანე მინდორზე ქართველი მორაგბეები შედგამენ ფეხს, მოედნის შუაგულში გამწკრივდებიან და საგანგებოდ დამზადებულ თასს შეავლებენ მზერას. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ აქამდე ქვეყნის უპირველეს სპორტულ სარბიელს მხოლოდ საერთაშორისო სარაგბო მატჩებისთვის უმასპინძლია — რუსების ძლევასაც მოსწრებია, თავხედი გერმანელების გალახვასაც და რუმინელებისგან ჩვენებურების დაჩაგვრას. დღეს შეხვედრის შედეგის მიუხედავად გამარჯვებული ქართველი იქნება — საქართველოს ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს თბილისური გუნდები „ლოკომოტივი 1“ და სტუ-„ყოჩები“ დაუპირისპირდებიან. დღევანდელი მატჩის გამარჯვებულის გამოცნობა შეუძლებელია. დანამდვილებით მხოლოდ ეს შეიძლება ითქვას — გამორიცხულია, რომელიმე მეტოქემ იღბლის წყალობით მიაღწიოს საწადელს. მოიგებს ის, ვინც უკეთაა მომზადებული და ვისაც მწვრთნელი სწორ ტაქტიკას შეურჩევს. სიურპრიზები ნაკლებადაა მოსალოდნელი. ორივე გუნდი ერთმანეთს კარგად იცნობს და ყოველგვარი დაზვერვის გარეშე სალაღობო რაგბს გააჩაღებენ. მეტოქეები ოპტიმალური შემადგენლობით გავლენ მოედანზე, მოულოდნელობა შეიძლება .მხოლოდ მორაგბეთა განლაგებაში ვიხილოთ. სწორედ ასე მოიქცა ჩემპიონატის ნახევარფინალში რკინიგზელთა თავკაცი თემურ ბენდიაშვილი, მაგრამ არჩეულმა ტაქტიკამ არ გაუმართლა — მთელი პირველი ტაიმი „ლოკომოტივი 1“ პირწმინდად დაჩაგრა ასკ-მ, შეხვედრის მეორე ორმოცწუთეულში კი ჩვეულად ითამაშა და საბოლოოდ 0:17, არმიულ კლუბს 19:17 უქცია და ფინალშიც გააღწია. რკინიგზელები წლეულს საუკეთესო ფორმაში არიან და შემადგენლობაც ღდევანდელ მეტოქეზე უფრო სოლიდური ჰყავთ. თანაც საუკუნის მიწურულს ბენდიაშვილის შეგირდებს დუბლის შესრულების ჩინებული შესაძლებლობა ეძლევათ, საქართველოს თასის მოპოვების შემდეგ „ლოკომოტივი 1“-ს მადა არ განელებია და თვალი ჩემპიონობაზე უჭირავს.

უმადობას არც სტუ-„ყოჩები“ უჩივის, არც მას გაუვლიათ ია-ვარდით მოფენილი გზა. ნახევარფინალში შარშანდელი ექს-ჩემპიონები მოქმედ ჩემპიონს, ბათუმის „დათვებს“ გადაეყარნენ და ბევრის აზრით, წინასწარ განწირულებიც იყვნენ, მაგრამ თბილისელებმა ბოლომდე იბრძოლეს, „დათვები“ ზღვისპირა ქალაქში ბეჭებზე გააკრეს და ოქროს მედლები დაათმობინეს. „ყოჩთა“ მესაჭის მალხაზ ჭეიშვილის საქმისადმი სწორი მიდგომა მისაბაძია, სეზონის წინ წამყვანი მორაგბეების გარეშე დარჩენილმა გუნდის გადახალისებას მიჰყო ხელი და ამ პროცესს რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩის შედეგიც შეეწირა, მაგრამ დასკვნითი ეტაპისთვის გუნდი ჩვეულად ათამაშდა და ძველი დიდების დაბრუნებაზეც დაიწყო ფიქრი, აღმოჩნდება თუ არა ეს საკმარისი ჩემპიონობის მოსაპოვებლად, ამას დღევანდელი მატჩი დაგვანახებს, სტუ-„ყოჩები“ კვლავაც საჩემპიონო ამბიციებით არის შეპყრობილი და არაფერს დაზოგავს სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

ერთი სიტყვით, იქნება ბრძოლა, ნამდვილი ბრძოლა. არ გვგონია, რომელიმემ მოწინააღმდეგეს ზურგი აჩვენოს და ბრძოლას თავი აარიდოს, სასწორზე ხომ საქართველოს პირველი გუნდის სახელი და საგანგებოდ დამზადებული ორიგინალური თასი დევს, რომლის პრეზენტაციაც „ეროვნულ სტადიონზე“, მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მოეწყობა. მობრძანდით დღეს „ეროვნულზე“ და ჩემპიონატის უმთავრეს პაექრობას დაესწარით.

**ბაჩო სვანიძე**



REUTERS კუალა ლუმპურიდან

# დედოფლის ხელიდან

კუალა ლუმპურის გოლფკლუბ „სიზორთში“ გასრულდა ქალ ყვანჯოსანთა მსოფლიოს თასის გუნდური გათამაშება. პირველ დღეს დაჭერილი ლიდერობა ავსტრალიელებმა კერი უებმა (მარცხნივ) და რეიჩელ ჰეტერენგტონმა ხელიდან აღარ გაუშვეს და ახლა ამიტომაა, მსოფლიოს თასსაც აღარ უშვებენ ხელს. თანაც თასი ისეთ საპატიო ქალბატონს გადაუცია, მალაიზიის დედოფალი ტუანკი სიტი აშაჰი (შუაში) რომ გახლავთ.



# პეთერის პრიზი

*სინსეთ ბიჩზე კუიკსილვერ როქსი პროს მოსერფინგეთა შეჯიბრი გამართულა და ქალთა შორის სამხრეთ აფრიკელ ჰეთერ კლარკს უმარჯვია. ფულად შვიდიათასხუთასი დოლარი რგებია და ზედ კიდევ ათას რვაასი დაუმატებიათ, კუიკსილვერ როქსში ზედიზედ მეხუთედ მონაწილეობისთვის. თუმცა, ეს თანხა არაფერია იმ თასთან შედარებით, რომელსაც შოკ ტრიპლ კროუნი ჰქვია და რომელიც ყველაზე კარგად მოლივლივე ჰეთერისთვის ჩაუხუტებიათ.*

# პრეზიდენტი ეკრანზე

ხუან ანტონიო სამარანჩის ფოტოებს ზღვაში ქვიშასავით ვერავინ დათვლის. ერთი მათგანი ახლახან ლოზანიდან მოვიდა, სადაც სპორტისა და მედიის ურთიერთობებში ახალი ეპოქის დადგომაზეა ლაპარაკი. სპეციალური კონფერენცია მიეძღვნა ამ ამბავს.



REUTERS ლოზანიდან



# საქმიანი საუბარი



REUTERS მიუნხენიდან

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ორი ჩვეულებრივი მამაკაცი 100 გრამის თანხლებით მხიარულად საუბრობდეს, მაგრამ სინამდვილეში მილიონების კი არა, თითქმის მილიარდების ბედი წყდება. მარცხნივ გერმანული მედია ჯგუფის, „ემ ტე ვეს“ თავკაცი, თომას ჰაფაზის, მეორე სხვა მედია გიგანტის, „კირხ მედიას“ თავმჯდომარის მოადგილე დიტერ ჰანია, ხოლო საუბრის საგანი ის 550 მილიონი დოლარია, რომლის აქციებიც პირველმა მეორეს უნდა მიჰყიდოს.

და სპორტი? ის მილიონები „ფორმულა 1“-ის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გახდეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge